# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №52 (3093) პარასკევი, 26 თებერვალი, 1999 წელი. ფასი სახელშეკრულებო.

პარლამენტის თავმჯდომარე

## დინამიკური კულტურული კავშირების აღსადგენად

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივანი ჩინგიზ აბდულაევი, ბაქოს კონსერვატორიის რექტორი ფარხად ბადალბეილი, აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰაჯან ჰაჯიევი, აზერბაიჯანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ გუმბარიძე და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია მიიღო.

როგორც ბოლო დროის რეიტინგულმა გამოკითხვებმა აჩვენა, ჩინგიზ აბდულაევი პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთი პოპულარული ავტორია და მისი წიგნები მრავალ ენაზე არის ნათარგმნი. სულ ახლახან მისი ბოლო რომანი ქართულადაც ითარგმნა და გუშინ საქართველოს საერთაშორისო ნავთობკორპორაციის ინიციატივით ამ წიგნის პრეზენტაციაც მოეწყო.

იხ. მე-2 გვ.

## პატივი მიაგეს იუნკერთა ხსოვნას

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, პარლამენტის ბიუროს წევრებმა პარლამენტის ეზოში არსებულ მემორიალთან პატივი მიაგეს 1921 წელს წითელ არმიასთან ბრძოლებში დაღუპულ იუნკერთა ხსოვნას. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის წინ დაშვებულ იქნა სახელმწიფო დროშა.

პარლამენტის პრესსამსახური.

კანონმდებლები

## მიღწეულია შეთანხმება ბიუჯეტის რეალური პროექტის შესახებ

საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო პროექტს მთავრობა პარლამენტს ამ დღეებში წარუდგენს და მისი განხილვა მომავალი სასესიო კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგით იქნება გათვალისწინებული. ეს გადაწყვეტილება მიიღეს პარლამენტის ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც 25 თებერვალს გაიმართა. სხდომას უძღვებოდა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. ბიუროს სხდომაზე მოწვეული იყო ფინანსთა მინისტრი.

იხ. მე-2 გვ.

ვიზიტი

## ალბერტ გორი საქართველოში მიმდინარე რეფორმებს იმედით უყურებს

კორუფციასთან ბრძოლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა ვაშინგტონში დღეს, რომლის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

იხ. მე-2 გვ.

გვწერენ

## აუცილებელი განმარტება

19 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე პარლამენტარმა გურამ შარაძემ განაცხადა, რომ აგრარულ უნივერსიტეტში გააუქმეს საქართველოს ისტორიის კათედრა და რომ ჩვენთან საქართველოს ისტორია აღარ ისწავლება. აღნიშნულ განცხადებას საკმაოდ სერიოზული ვნებათა ღელვა მოჰყვა.

იხ. მე-2 გვ.

გვეხმაურებიან

## სიფხიზლე გვმართებს ნამდვილად

3 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის გელა ლეჟავას სტატია – „გვემუქრება თუ არა ალკოჰოლიზმი?“ აღნიშნულთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენს აზრს.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ბატონ გელა ლეჟავას.

იხ. მე-2 გვ.

პირველად ქართული მასმედიის ისტორიაში!

ახალი ამბების სააგენტო

პრაიმ-ნიუსი

interfax
интерфакс

ინტერფაქსის ოფიციალური და ექსკლუზიური

დისტრიბუტორი საქართველოში

ტელ: 92 32 14 ფაქსი: 92 32 02
e-mail: pna@pna.com.ge

პრეზიდენტი

## ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი ზრუნავს საქართველოს კულტურაზე



**– მართალია, ევროპას ახალი აღმოჩენებითა და ტექნოლოგიებით ვერ გავაკვირვებთ, მაგრამ ჩვენი წვლილი ევროპის დიდ ოჯახში 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორია და კულტურა იქნება, – განაცხადა 25 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ხოსე მარია ბალესტერთან შეხვედრაზე.**

ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროპაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკას, მის ინსტიტუციონალურ მოწყობას და კანონმდებლობით უზრუნველყოფას. მისი თაოსნობით ხორციელდება კამპანია „ევროპა: საერთო მემკვიდრეობა“ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მონაწილეობით. კამპანია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სტრასბურგში, 1997 წლის სამიტზე, ორ მთავარ იდეას ეფუძნება. კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობა როგორც შემოქმედებითი ღონისძიებებისა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლის საშუალება, კულტურათა ინტეგრაცია საერთო ევროპულ სივრცეში, თითოეული თვითმყოფადობის შენარჩუნებით და მეორე: ბუნების ძეგლების დატვირთვა ესთეტიკური სამეცნიერო-კულტურული, დასვენებისა და ეკონომიკური ღირებულებებით.

ხოსე მარია ბალესტერის ამჟამინდელი ვიზიტის ძირითადი მიზანია თბილისში 2000 წელს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის „დემოკრატიული განვითარება, საბაზრო ეკონომიკა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ პრინციპებისა და სტრატეგიული დოკუმენტების განხილვა. ევროპის საბჭოს აღნიშნული დეპარტამენტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით უკვე სამი წელიწადია თანამშრომლობს ჩვენს ქვეყანასთან. შემუშავებულია კონკრეტული პროგრამებიც, კერძოდ, ძველი თბილისის რესტავრაცია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა აფხაზეთში, თუნდაც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებამდე და კულტურულ ფასეულობათა დაცვისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თბილისში დაგეგმილი კონფერენცია ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი იუბილეს აღნიშვნის წელს. ამ პერიოდისათვის უფრო მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული „აბრეშუმის გზის“ აღორძინების პროექტი. ედუარდ შევარდნაძის აზრით, კონფერენციაში სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ პროექტით დაინტერესებული ქვეყნები.

საქართველოს პრეზიდენტმა სრულად გაიზიარა ხოსე მარია ბალესტერის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხმა ისეთივე დატვირთვა უნდა შეიძინოს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვამ და კანონის უზენაესობის დამყარებამ.

შეხვედრის დასასრულს, სტუმარმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისის მოწვევა წლეულს, ივნისში, სტრასბურგში დაგეგმილი ევროპის საბჭოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

დღეს

## საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალურ ვიზიტად თურქეთს მიემგზავრება

**26 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიემგზავრება თურქეთს, სადაც იგი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა.**

ორდღიანი ვიზიტის დროს, რომლის მიზანია საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება როგორც ორმხრივ, ისე საერთაშორისო ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან. პარალელურად გაიმართება საქართველოს დელეგაციის წევრების სამუშაო შეხვედრები თურქ კოლეგებთან.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება ერთობლივ დეკლარაციას. საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდო.

27 თებერვალს ანკარიდან საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტები გაემგზავრებიან სტამბოლს, სადაც ედუარდ შევარდნაძეს საზეიმოდ მიენიჭება სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. გაიმართება, აგრეთვე, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ბიზნესსაბჭოს სხდომა.

საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის გენერალურ მდივანს, ედუარდ შევარდნაძის სახელობის მეგობრობისა და თანადგომის ფონდის წარმომადგენლებს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

## ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის ტვირთი და პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მძიმე და დიდია, ვიდრე წარმოგვიდგენია

### საქართველოს იუსტიციის მინისტრის ლადო ჭანტურიას მოხსენება მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1999 წლის 19 თებერვალს

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებით მრავალი თაობის ქართველთა სანუკვარი ოცნება ახდა. საქართველო ღირსეულად იმკვიდრებს თავის ადგილს თანამედროვე სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

1918-1921 წლების მცდელობა – საქართველო დამოუკიდებელ და თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო – განუხორციელებელი დარჩა. დღეს ჩვენ გვაქვს ეს დიდი შანსი, დიდი შესაძლებლობა და მის გამოუყენებლობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

ამ სიტყვების განმეორება მე იმისათვის მჭირდება, რომ გავაცნობიეროთ ყველამ – ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენლებმა, თანამდებობის პირებმა თუ რიგითმა ადამიანებმა – თუ რა ისტორიული პროცესის მონაწილენი ვართ: ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის ტვირთი და პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მძიმე და დიდია, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია.

იხ. მე-3 გვ.

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

**ჯ. სეფაშვილი-მურადელის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი-ვოკალისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ჯულიეტა სეფაშვილი-მურადელი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

**ც. ხორავას ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

საბიბლიოთეკო საქმისა და წიგნის პროპაგანდის ორგანიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის სენაკის სარაიონო საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარი **ციური ხორავა** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

დერეფანი

## „ტრანსკასპიური ქარავანი“ საქართველოსაკენ მოდის

სულ ახლახან, რამდენიმე დღის წინათ, ბაქო-სუფსის ნავთობმაგისტრალის მშენებლებმა უკანასკნელი მილი შეადუღეს და დიდი, საერთო გამარჯვება მოგვილოცეს. უკან დარჩა თავდაუზოგავი შრომა, მავანთა ჯიბრი თუ მუქარა... საქართველომ დაუმტკიცა მსოფლიო თანამეგობრობას, რომ მას შესწევს უნარი პრაქტიკულად განახორციელოს ნებისმიერი გრანდიოზული პროექტი. კიდევ ერთი თვეც და კასპიის ადრეული ნავთობი აავსებს სუფსის უზარმაზარ ტერმინალებს. ასე რომ, სამშენებლო თუ პოლიტიკური ციებცხელების შემდეგ დაგვიდგება ნამდვილი „სატანკერო აპრილი“, რომელსაც საქართველოსთან ერთად ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მეგობრებიც იზეიმებენ. „ბაქო-სუფსა“ მხოლოდ პირველი „სასინჯი ქვა“ იყო ჩვენი ნავთობკორპორაციისათვის. მათ პირველებმა „გატეხეს ყამირი“ და ისეთი ფუნქცია შესძინეს ქვეყანას, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური ასპექტით არ მოიაზრება. კიდევ ცოტა ხანიც და ჩვენი საზოგადოებრიობა მეორე დიდი საერთაშორისო პროექტის – თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის დიდი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის მოწმე გახდება. ამის შესახებ გასული ორშაბათის რადიოინტერვიუში უკვე დაბეჯითებით გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება ამ ქვეყნების პრეზიდენტების საერთო ძალისხმევის შედეგია.



იხ. მე-3 გვ.

სახელდახელოდ

## აწრიალდა კრაზანების ბუდე

**ნოვოდვორსკაია, პროხანოვი, კუნიაევი, გიორგაძის მამა პანტელეიმონი, ლეონარდო დევდარიანი, აჭარის საგანგებო დავალებათა მინისტრი გუნდად და სოლოდ ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ ტერორისტი გიორგაძე დისიდენტ გიორგაძედ რომ წარმოეჩინათ, და პრიმიტიული იყო მათი „მსჯელობა“, რადგან არაფერი ჰქონდათ სათქმელი.**

ამ საუკუნის ყველაზე საშიში მოვლენა პრიმიტივიზმია, ერთ-ერთი მაინც საშიშთა შორის. არსის პრიმიტივიზმზე ვლაპარაკობ, თუნდაც პოლიტიკაში (ჟირინოვსკი, მაკაშოვი, ბარკაშოვი), თუნდაც ჟურნალისტიკაში (პრიმიტიული გაზეთების მასობრივი ტირაჟები), გნებავთ – ნებისმიერ დარგში.

ტერორიზმიც ამ რიგშია – მოჰკალ და მოიცილე.

მარტივია, როგორც უვიცობის უბიწოება, როგორც პრიმიტივიზმის პირველყოფილება – მასის აზროვნების ადეკვატური.

ასეთი იყო თავისი არსით რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი ტელეკომპანიის НТВ 24 თებერვლის გადაცემა, რომელიც საერთაშორისო ტერორისტის იგორ გიორგაძის ქვიშით ხეხვას მიეძღვნა.

შეშფოთდა კრაზანების ბუდე, აფორიაქდა – საქართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ბრძანებას ერთობლივი კოლეგიის შექმნისა და 1999-2000 წლებში თანამშრომლობის შესახებ:

– რუსეთს განზრახული აქვს თანადგომა აღმოუჩინოს ქართულ მხარეს იმ პირების დაკავებაში, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოსა

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

### საქართველოს მიერ დსთ რიგების დატოვების შესახებ შევარდნაძეს არაფერი უთქვამს

საქართველოს მიერ დსთ რიგების შესაძლო დატოვების შესახებ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს არ განუცხადებია, – უთხრა პრაიმ-ნიუსს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ.

მისი თქმით, პრეზიდენტმა იაპონელი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა დსთ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების თაობაზე, რომელსაც საქართველოსათვის არაფერი სასიკეთო არ მოუტანა.

შევარდნაძემ იაპონელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იაპონიაში ვიზიტის დასრულების შემდეგ, რომელიც წლეულს მარტის პირველ რიცხვებშია დაგეგმილი, იგი ტაშკენტში შეხვდება აპირებს, სადაც უზბეკეთის პრეზიდენტთან ისლამ ქარიმოვთან დსთ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ყველა ასპექტს განიხილავს, – აღნიშნა აბაშიძემ.

იაპონელ ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დსთ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა, რომ შევარდნაძე დსთ განიხილავს, როგორც საჭირო რეგიონულ გაერთიანებას.

პრეზიდენტის პრესმდივნის თქმით, შევარდნაძემ არაერთხელ თქვა, რომ საჭიროა თანამეგობრობის რეფორმირება, რათა იგი ყველა მისი წევრის ინტერესებს შეესაბამებოდეს და ხელს უწყობდეს ინტეგრაციულ პროცესებს და თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების უსაფრთხოებას.

### დსთ იმიჯზე არ იმოქმედებს

დსთ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებაში მონაწილეობა სუვერენული სახელმწიფოების პირადი საქმეა, – თვლიან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

როგორც პრაიმ-ნიუსს რუსეთის საგარეო უწყების საგანგებო დავალებათა ელჩმა ლევ მირონოვმა უთხრა, იგი არ გამორიცხავს არსებული რეალიების გათვალისწინებით, ამ შეთანხმების ადაპტაციის აუცილებლობას.

სავარაუდოა, რომ შეთანხმების კონკრეტული განხილვა მარტში დაგეგმილ დსთ მორიგ სამიტზე მოხდება, – თქვა მირონოვმა.

„საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კოლექტიური მეთოდით უსაფრთხოების უზრუნველყოფა უფრო მომგებიანია“, – ხაზი გაუსვა მან.

„შეთანხმებიდან საქართველოს, აზერბაიჯანის და უზბეკეთის გამოსვლა, დანარჩენი ექვსი ქვეყნის გაერთიანებას გამოიწვევს“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს მირონოვმა.

შეთანხმებაში მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვის შემცირებამ არ უნდა იმოქმედოს დსთ იმიჯზე, – თვლის რუსი დიპლომატი.

### მშვიდობის-მყოფელები ყურადღებას აძლიერებენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნების პროცესის აქტივიზაციასთან და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მოახლოებასთან დაკავშირებით ყურადღებას აძლიერებენ.

მიწის ზოგიერთმა სადავო მონაკვეთმა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას შესაძლოა უთანხმოება გამოიწვიოს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის, – უთხრა პრაიმ-ნიუსს შერეული სამშვიდობო კონტინგენტის ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა ანატოლი კრასოვსკიმ.

კონფლიქტის ზონაში სტაბილურობის შენარჩუნების საკითხები გუშინ მხარეებს შორის დაგეგმილ მორიგ შეხვედრაზე განიხილებოდა, რომელშიც სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

თბილისის და ცხინვალის აზრით, კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებამდე დაპირისპირების ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნა აუცილებელია.

ინფორმაციები მოგვაწოდა: პრაიმ-ნიუსმა.

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჟუ ჟუნძის მოლაპარაკებები გაიმართა.

ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ გუშინ მოსკოვში განაცხადა, რომ ბელორუსიის ტერიტორიაზე შესაძლოა დააბრუნონ ბირთვული იარაღი, რომელიც ადრე რუსეთში გაიტანეს.

ალპებში თოვლის ზვავების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ გუშინ დილით 29-ს მიაღწია. სამხედრო ვერტმფრენები სტიქიური უბედურების ზონიდან ადამიანთა ევაკუაციას განაგრძობენ. 10 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ფინანსები

### ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 26 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.8816 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 1.3487 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.3900 | ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.4021 | ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0682 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.1046 | ლარი. |

დღეს

### ამინდი

**დასავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ზოგან წვიმა, მთაში თოვლი, დასავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში.
დაბლობში: ღამით 0+5; დღისით +10+15.
მთაში: ღამით -3+2; დღისით +5+10.
მაღალ მთაში: ღამით 0-5; დღისით 0+5.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის ქარი 10-15, ღამით ზოგან 17-22 მეტრი წამში.
ბარში: ღამით -2+3; დღისით +11+16.
მთაში: ღამით: 0-5; დღისით +6+11.
მაღალ მთაში: ღამით -3-8; დღისით +1+6.

**თბილისში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. ღამით -1+1; დღისით +14+16.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

საბაჟო

## ბიუჯეტში შეიტანეს

გუშინდელი ოპერატიული ინფორმაციით, ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 14284,7 ათასი ლარი, დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 1004,9 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა გამოავლინა საბაჟო წესების დარღვევის 2 ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 15020 ლარი.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

საქართველოს რესპუბლიკა
№52. პარასკევი, 26 თებერვალი, 1999 წელი.

## პარლამენტის თავმჯდომარე
# დინამიკური კულტურული კავშირების აღსადგენად

(პირველი გვერდიდან)

როგორც ჩინგიზ აბდულაევმა პარლამენტის თავმჯდომარესთან საუბარში აღნიშნა, ინტერესი ქართული კულტურის მიმართ აზერბაიჯანში დიდია და მისთვის სასიხარულო ფაქტი იყო, რომ საქართველოში ესოდენ დიდი ინტერესით ეცნობიან აზერბაიჯანულ ლიტერატურას. მისივე თქმით, ორი ქვეყნის მწერალთა კავშირებს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ და ეს მეგობრობა დღეს კონკრეტულ კულტურულ პროექტებში ელინდება. დაგეგმილია აზერბაიჯანში ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნა და რეგულარული გამოცემა, იგივე გაკეთდება საქართველოშიც. უკვე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოში აზერბაიჯანული მუსიკის ფესტივალის მოსაწყობად, ხოლო ბაქოში მოუთმენლად ელიან ოპერის თეატრში „ქეთო და კოტეს" პრემიერას.

ზურაბ ჟვანიამ საუბარში ხაზი გაუსვა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის მნიშვნელობას რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში და აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის კულტურული თანამშრომლობის დინამიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება პოლიტიკურ თანამშრომლობას. სამწუხაროდ, გასულ პერიოდში შექმნილმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ შეაფერხა ეს კავშირები და ამიტომ საქართველოს პარლამენტი აქტიურად დაუჭერს მხარს ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგმება.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

## კანონმდებლები
# მიღწეულია შეთანხმება ბიუჯეტის რეალური პროექტის შესახებ

(პირველი გვერდიდან)

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განაცხადა, ფინანსთა სამინისტროსთან კონსტრუქციული მუშაობის შედეგად, შეიძლება ითქვას, მიღწეულია შეთანხმება ბიუჯეტის რეალური პროექტის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პროექტი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ვარიანტია. ბიუჯეტის გასავალი შემცირდება 70 მილიონი ლარის ფარგლებში.

ფინანსთა მინისტრმა დავით ონოფრიშვილმა განაცხადა, რომ საბოლოო ანგარიშით, ბიუჯეტის შეკვეცის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილებაა, შემცირება არ შეეხება დაცულ მუხლებსა და გადაუდებელ ხარჯებს. როგორც აღინიშნა, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სტრუქტურა მოღვაწეობს ბიუჯეტის დახვეწასა და კორექტირებაში. პარლამენტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა განსახილველად წარმოადგენს რეალისტური პარამეტრებით ჩამოყალიბებული ბიუჯეტის პროექტს და დაიცავს კიდეც მას პარლამენტში.

**საქინფორმი.**

## გვეხმაურებიან
# სიფხიზლე გვმართებს ნამდვილად

(პირველი გვერდიდან)

საქართველო – ქართველი ადამიანი, თავისი დიდსულოვნებითა და ტემპერამენტით, შეიძლება ითქვას, ყოველთვის თავის სიმაღლეზე დგას და იდგა, მაგრამ ყოველი ბოროტების სათავე შფოთი და შინაამლილობებია, რომლებიც წინა წლებში საქართველომ გაიარა. მართალია, დღეს ჩვენი ქვეყანა საგრძნობმა სიმშვიდემ მოიცვა, მაგრამ სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის შეგრძნება მშვიდობის დროს ელინდება ხოლმე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა გავიხსენოთ, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ ალკოჰოლიზმი, როგორც ეპიდემია, ისე მძვინვარებდა. აღნიშნულს ნათელყოფს ცნობილი მხედართმთავრის სიტყვები: „ბრძოლის ველზე არ ბერდებიან – ბერდებიან ბრძოლის შემდეგ". ალბათ, ეს ასეა.

ბედნიერებაა, როცა საქართველოში ჯერჯერობით არ მძვინვარებს ალკოჰოლიზმი (რა თქმა უნდა, მცირედი გამონაკლისის გარდა), მაგრამ თითოეული ჩვენგანი ვალდებულია შემოკრას წმინდა სალოცავთა ზარები, რათა თავიდან ავიცილოთ ის დიდი საფრთხე, რომელიც მრავალ ქვეყანას დამუქრებია შინაამლილობებისა თუ ომების შემდეგ.

გვინდა მაგალითისათვის მოვიყვანოთ უკვე განვითარებული ქვეყნის, საფრანგეთის მაგალითი. საფრანგეთი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ქვეყანაა, იგი პირველ ადგილზეა მსოფლიოში ალკოჰოლის მოხმარების მიხედვით (ერთ სულ მოსახლეზე – 13 ლიტრი წელიწადში), მოსახლეობის 10 პროცენტი დასაქმებულია ალკოჰოლის წარმოებაში, ან მის რეალიზაციაში. საფრანგეთში მამაკაცების 28 პროცენტი და ქალების 10 პროცენტი ალკოჰოლს მოიხმარენ ჭარბად და პათოგენური დოზებით, რისი დასტურიცაა ის, რომ იქ სიკვდილიანობის 6,4 პროცენტი დაკავშირებულია ალკოჰოლის ჭარბად მიღებასთან.

დაე, იყოს მაგალითი. ჩვენთვის ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება, რა თქმა უნდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით.

მედიცინის განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია „ინტერმედის" სახელით:

**შოთა მშვენიერაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

**დავით გოდაბრელიძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

### ფილმზე მუშაობა უკვე სამი წელია შეჩერებულია

„სამი წელია ფილმზე მუშაობა შეჩერებულია", – უთხრა ბეას კორესპონდენტს რეჟისორმა რეზო ესაძემ, რომელმაც 7 წლის წინათ დაიწყო ფილმის გადაღება სათაურით „ჭერი".

რეჟისორის ინფორმაციით, მუშაობა დასრულებულია, ნეგატივს კი ფინანსების უქონლობის გამო ვერ აწყობენ. „კინოწარმოებას ერთიანი თანხა ესაჭიროება, ბიუჯეტიდან კი ნაწილ-ნაწილ გვაძლევენ ფულს, რაც ფილმის დასრულებას არ ყოფნის", – აღნიშნა ესაძემ.

ფილმი საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს ასახავს. მასში დაკავებულნი არიან მსახიობები ზურაბ სტურუა, ეკა ჩხეიძე, ედიშერ მაღალაშვილი, ლიანა ასათიანი და სხვანი.

## ვიზიტი
# ალბერტ გორი საქართველოში მიმდინარე რეფორმებს იმედით უყურებს

(პირველი გვერდიდან)

კონფერენციაში, რომელიც აშშ ვიცე-პრეზიდენტის ალბერტ გორის მიერ არის ორგანიზებული, მსოფლიოს 90 ქვეყნის მთავრობათა ხელმძღვანელები მონაწილეობენ, – აცნობებს პრაიმ-ნიუსს საქართველოს საელჩოდან.

ნიშანდობლივია, რომ მონაწილეთა რაოდენობამ ორგანიზატორთა მიერ დაგეგმილს სამჯერ გადააჭარბა. როგორც თავის გამოსვლაში გორმა განაცხადა, „ორმა ქვეყანამ საპროტესტო ნოტაც კი გამოაგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მათ ოფიციალურად არ მიიწვევდნენ კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებს გაწყვეტდნენ".

კონფერენციის მონაწილეებს გუშინ აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი მიესალმა.

გუშინვე ალბერტ გორმა კონფერენციის მონაწილეთათვის ოფიციალური სადილი გამართა, რომლის დროსაც მცირე საუბარი შედგა ლორთქიფანიძესა და აშშ ვიცე-პრეზიდენტს შორის.

„გორმა დიდი დაინტერესება გამოხატა საქართველოში მიმდინარე პროცესებით და აღნიშნა, რომ იმედით უყურებს ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული რეფორმების კურსს", – უთხრა პრაიმ-ნიუსს ვაჟა ლორთქიფანიძემ.

აშშ-ში საქართველოს ელჩის თედო ჯაფარიძის თქმით, აშშ ხელისუფლება დიდი პატივითა და ყურადღებით ეკიდება კონფერენციაზე ჩამოსულ ქართულ დელეგაციას. „კონფერენციის სესიებზეც და ოფიციალურ მიღებებზეც საქართველოსათვის ყველაზე საპატიო ადგილებია გამოყოფილი".

დღეს კონფერენციაზე მოხსენებით გამოვა ვაჟა ლორთქიფანიძე.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გუშინ აშშ მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შეხვდა. აღნიშნულ სტრუქტურას სამინისტროს დეპარტამენტის სტატუსი გააჩნია და ხელს უწყობს საწარმოთათვის კრედიტების გამოყოფას, მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სახელმწიფოსათვის მცირე ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მიყიდვას.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ საქართველოში მიმდინარე რეფორმების მიმართ დაინტერესება გამოთქვა. შეხვედრისას მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მცირე ბიზნესთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გასაცნობად და საქართველოს მთავრობასთან ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად თბილისში ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვა.

გუშინვე ქართულ-ამერიკული ბიზნესსაბჭოს ინიციატივით, ვაჟა ლორთქიფანიძე ამერიკის მსხვილი კომპანიებისა და ფირმების წარმომადგენლებს შეხვდა. ბიზნესმენებმა ხაზი გაუსვეს, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას იძლევა.

**პრაიმ-ნიუსი.**

## გუშინ
# ღვაწლის ღირსეულად დაფასება

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა ამ უმაღლესი სასწავლებლის 70 პროფესორ-მასწავლებელი.

25 თებერვალს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა მენგელიამ ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები გადასცა ღვაწლმოსილ პედაგოგებს და კიდევ ერთხელ აღნიშნა ამ განსაკუთრებული ტრადიციების მქონე ინსტიტუტის მნიშვნელობა და როლი დიდ საერთაშორისო ოჯახში საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის. სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ქვეყნის მეთაურის სახელით მადლიერება გამოთქვა იმ ადამიანების მიმართ, რომელთა ფასდაუდებელი ამაგითა და შრომით აღიზარდა არაერთი ღირსეული თაობა. ისინი დღეს ქვეყანაში თუ საერთაშორისო ასპარეზზე იცავენ საქართველოს სახელსა და ღირსებას.

# გადაეცათ სამშობლოს ჯილდოები

25 თებერვალს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ დაბა ტაბახმელაში გამართულ იუნკერების ხსოვნის აქციაში მიიღო მონაწილეობა.

ამ დღეს მინისტრმა ქართველ ოფიცრებსა და გენერლებს მთავრობის უმაღლესი ჯილდოები გადასცა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის და ქართული არმიის ჩამოყალიბებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის პირველი ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენებით დაჯილდოვდნენ გენერლები თამაზ დუმბაძე და ჯემალ ჭუმბურიძე. ეროვნული გვარდიის რამდენიმე ოფიცერი დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის". თავდაცვის მინისტრის დაცვის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი არჩილ ქორიძე პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის" ანტისახელმწიფოებრივი ქმედების აღკვეთისას გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისათვის.

**საქინფორმი.**

## გვწერენ
# აუცილებელი განმარტება

(პირველი გვერდიდან)

ამასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორია ისწავლება იმ მოცულობით, რაც დადგენილია ჩვენი პროფილის უმაღლესი სასწავლებლისათვის. არსებობს პოლიტოლოგიისა და საქართველოს ისტორიის კათედრა, რომელიც დაკომპლექტებულია საკმაოდ ძლიერი სპეციალისტებით.

სასწავლო დატვირთვა საგან „საქართველოს ისტორიაში" 1253 საათს შეადგენს, რაც ორი საშტატო ერთეულისთვისაა საკმარისი, ფაქტობრივად კი ამ საგანს 2,5 საშტატო ერთეული ემსახურება. ცხადია, არ შეიძლება ორკაციანი კათედრის შექმნა. ამიტომაც არის ამ საგანთან გაერთიანებული პოლიტოლოგიაც.

პერსპექტივაში საქართველოს ისტორიაში საათები გაიზრდება, რაც დამოუკიდებელი კათედრის გახსნის საშუალებას მოგვცემს.

ინფორმაციისათვის საჭიროდ ვთვლი განვაცხადო, რომ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ის ეროვნული უმაღლესი სასწავლებელია, რომელშიც არავისზე ნაკლები პატრიოტები არ მოღვაწეობენ, რაც არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი საქმიანობით. ასეთი მოუფიქრებელი განცხადებები გამიზნულია სიტუაციის დასაძაბავად, რაც პარლამენტარს არ ეპატიება.

**სულიკო თავბერიძე,**
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე.

## განცხადება
# საქართველოში მცხოვრებ უკრაინის მოქალაქეთა საყურადღებოდ!

უკრაინის თბილისის საელჩო საქართველოში დროებით მცხოვრებ უკრაინის მოქალაქეებს აცნობებს, რომ უნდა დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე.

უკრაინის კანონმდებლობით განსაზღვრული საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა საკონსულო აღრიცხვა სავალდებულო ღონისძიებაა და მიზნად ისახავს დაამყაროს უკრაინის მოქალაქისა და სახელმწიფოს მუდმივი სამართლებრივი ურთიერთობა ორმხრივი უფლება-მოვალეობების რეალიზაციის, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ თავის მოქალაქეთა დაცვის უზრუნველსაყოფად.

დამატებით გაცნობებთ: 1998 წლის აპრილიდან უკრაინის თბილისის საელჩო საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს უცვლის ძველი ნიმუშის (ყოფილი სსრ კავშირის) საზღვარგარეთულ პასპორტებს ახალი ნიმუშის საზღვარგარეთულ პასპორტებზე, აგრეთვე გასცემს უკრაინის საზღვარგარეთულ პასპორტებს.

საელჩოს მისამართია: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. №75.
ტელეფონი: 94-10-43.
მიღების დრო: სამშაბათი, ხუთშაბათი – 10.00-დან 16.00-მდე.

## სახელდახელოდ

(პირველი გვერდიდან)

და მისი პრეზიდენტის ინტერესების საწინააღმდეგო მოღვაწეობას ეწევიან, – განაცხადა სერგეი სტეპაშინმა ხელმოწერის პროცედურის დამთავრებისთანავე.

შემფოთდებოდნენ, აბა რა, რადგან ის „პოლიტიკურ-ემიგრანტული" საქმიანობა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ტერორისტულ-დივერსიული აქტების მომზადება-განხორციელებაში გამოთქმება ხოლმე ალარ განიხილება როგორც თავისუფალ მეწარმეთა კომერციული საქმიანობა, უწყინარი კერძო ბიზნესი, და ოფიციალურად რუსეთის სამართალდამცავთა მოღვაწეობის არეალში მოექცა.

აწრიალდნენ, ააწრიალეს მფარველები თვისი და სასწრაფოდ შემოაგდეს ეთერში „რუსეთის სატკივარით დატვირთული გადაცემა" – არიქა, იკარგებაო სახელი რუსეთის, როგორც დემოკრატიული იდეალებისა გამო დევნილთა შემფარებელი ქვეყნის.

ნოვოდვორსკაია, პროხანოვი, კუნიაევი, გიორგაძის მამა პანტელეიმონი, ლეონარდო დევდარიანი, აჭარის საგანგებო დავალებათა მინისტრი გუნდად და სოლოდ ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ ტერორისტი გიორგაძე დისიდენტ გიორგაძედ რომ წარმოეჩინათ, და პრიმიტიული იყო მათი „მსჯელობა", რადგან არაფერი ჰქონდათ სათქმელი.

პანტელეიმონ გიორგაძის ტირადების გარჩევას („მოგვეადგნენ გასაჩხრეკად, ორი საათი კარი არ გაეუღე და მერე მეგობრების დახმარებით წავიდნენ". ასე აუწიოკებიათ), რა თქმა უნდა, არ შევუდგები.

ორიოდ სიტყვა, ორიოდ სხვაზე.

ვერ გეტყვით, რა ნიშნის მიხედვით აირჩიეს ლეონარდო დევდარიანი ექსპერტად. თუ იმიტომ, რომ მისივე განცხადებით, მასაც წაუყენეს ბრალდება საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტში მონაწილეობის შესახებ, აშკარად გაბითურდნენ, რადგან დევდარიანმა განაცხადა, როდესაც გაერკვნენ, რომ უდანაშაულო ვიყავი, თავი დამანებესო.

მორალი – უდანაშაულოებს საქართველოში არ ერჩიან!..

მაგრამ ეს გადაცემის კონტექსტიდან აშკარად ამოვარდნილი დასკვნაა.

თუ იმიტომ მიიწვიეს, რომ იგი ჩეკისტური საქმის სპეციალისტია და მის მტკიცებას – გიორგაძეს ვიცნობდი როგორც დიდ პროფესიონალსო – ბრმად უნდა ვენდოთ?

# აწრიალდა კრაზანების ბუდე

მოდით, ვკითხოთ ნამდვილ პროფესიონალებს გიორგაძის „დიდი პროფესიონალიზმის" თაობაზე.

**გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი მინისტრი, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მთავარი კონსულტანტი:**

– იგორ გიორგაძე არ ყოფილა დიდი პროფესიონალი და ვერც გახდებოდა, რადგან მისი ცხოვრების მიზანი ყოველთვის კარიერის გაკეთება იყო. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ როგორმე მინისტრი გამხდარიყო. მას განსაკუთრებით ეხერხებოდა ხელმძღვანელობისათვის თვალებში ნაცრის შეყრა.

ძველ თანამშრომლებს კარგად ახსოვთ, რადგან ეს უშიშროების კომიტეტის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი იყო, რა ჩაუწერა იგორ გიორგაძეს საატესტაციო დახასიათებაში ცნობილმა პროფესიონალმა, პოლკოვნიკმა გივი ხოჯავამ.

– Верить ему нельзя. Способен на всякие гадости.

აი, ასე, ბატონო ლეონარდო...

* * *

ბევრი იწვალა პოეტმა სტანისლავ კუნიაევმა თავისი მჭლე „არგუმენტების" გასამაგრებლად და ისღა მოახერხა, რომ განაცხადა – ქართველი მწერლები ჩემი მეგობრები არიან – ჭილაძეები, შოთა ნიშნიანიძე.

შოთა ნიშნიანიძის ავტორიტეტი განსაკუთრებით მოიშველია: იგიო, თქვა, დარწმუნებული ვარ, შინაგანად აღშფოთდება, როდესაც ნახავს და გაიგებს, რომ რუსეთი ჰკარგავს თავისუფლებისათვის დევნილთა შემფარებელი ქვეყნის სახელს.

შოთაც გარიეს, პოეტი და შემოქმედი, რომელსაც, საყოველთაოდ ცნობილია, პოლიტიკიდან განდევილის გზა აქვს არჩეული. ხშირად უთქვამს – ჩრდილში ვდგავარ, ასე უფრო უჩინო ვარ და აქედან უკეთ და ობიექტურად ვხედავ ცხოვრების მშფოთვარე მდინარებას.

შოთა ნიშნიანიძეს მიაჩნია (ესეც არაერთხელ განუცხადებია), რომ მსოფლიოში უდიდესი მწერლობა რუსული მწერლობაა და ეამაყება, რუსი მწერლებიც (რომელთა შორის მას ბევრი მეგობარი ჰყავს) ასეთივე თვალით უყურებენ დიდ ქართულ პოეზიას.

ამ სიმაღლეებიდან, ბატონო სტანისლავ კუნიაევ, ადგილი აღარ რჩება პოლიტიკური ძიძგილაობისა და ბინძური თამაშებისათვის.

დღეს, 26 თებერვალს ედუარდ შევარდნაძე თურქეთს მიემგზავრება ოფიციალურ ვიზიტად არა მოსკოვს – სამიტზე.

ცამდე მართალი ყოფილა: პრეზიდენტმა ფეხი არ უნდა გადააბიჯოს იმ ქვეყნის საზღვარს, რომლის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავს უფლებას აძლევენ ლანძღონ სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტი (უპრეცედენტო ფაქტი ცივი ომის შემდეგ).

თუ მაინცა და მაინც პრეზიდენტებზე აქვთ გართულება, რაღა შორს მიდიან?!

**და თუ მაინცა და მაინც სახელის გატეხვაზეა საუბარი, ნტვ-მ, რომელიც აქამდე ობიექტური ტელეკომპანიის სახელით სარგებლობდა, ამ გადაცემით დიდად საეჭვო გახადა მოუსყიდველობა თვისი.**

**არმაზ სანებლიძე.**

## ნეკროფილია
# „სახალხო პატრიოტული კავშირი" ქვეყნის მოსახლეობას მომავალ არჩევნებში კომუნისტებისა და იგორ გიორგაძის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს

25 თებერვალს თბილისში, „საქართველოს პატრიოტთა კავშირის" წევრებმა გამართეს მიტინგი, რომელიც საქართველოს გასაბჭოების 78-ე წლისთავს მიეძღვნა. აქციას დაახლოებით 50 კაცი ესწრებოდა.

მიტინგი გახსნა ე. ხაჭაპურიძემ, რომელმაც დამსწრეთ მიულოცა გასაბჭოების 78-ე წლისთავი და განაცხადა: „1921 წლის 11-12 თებერვალს, საქართველოს მოსახლეობამ, რომელიც აჯანყებული იყო უცხო ქვეყნების დამპყრობლების წინააღმდეგ, თხოვნით მიმართა საბჭოთა რუსეთს დახმარებისათვის. რუსეთმა დიდი დახმარება გაგვიწია, შემოვიდა რუსეთის არმია და საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა".

მიტინგზე გამომსვლელებმა გააკრიტიკეს ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი, დაადანაშაულეს იგი ადამიანის უფლებათა დარღვევებში.

ნ. ბუჩუკურის განცხადებით, „სახალხო პატრიოტული კავშირი" არ დაუშვებს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკში გაერთიანებას, რაც, მისი აზრით, დამღუპველია სახელმწიფოსათვის.

მიტინგის ორგანიზატორებმა საქართველოს მოსახლეობას მომავალ არჩევნებში კომუნისტებისა და იგორ გიორგაძის მხარდაჭერისაკენ მოუწოდეს.

საქართველოს გასაბჭოების 78-ე წლისთავს მიეძღვნა მიტინგები საქართველოს ზოგიერთ ქალაქში, კერძოდ, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბორჯომში, გორში, თელავში, კასპში.

გამომსვლელთა განცხადებით, საქართველომ უნდა გაწყვიტოს კავშირი კაპიტალისტურ სამყაროსთან და ერთიანი დროშის ქვეშ გაერთიანდეს ერთმორწმუნე რუსეთთან.

თბილისში გამართული მიტინგის მსგავსად, გამომსვლელებმა საქართველოს მოსახლეობას მოუწოდეს, მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაუჭირონ კომპარტიასა და იგორ გიორგაძის კანდიდატურას.

**საქინფორმი.**

# საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი: დიდი სამშობლოს – საბჭოთა კავშირის აღდგენისაკენ, ნაბიჯით იარ!

საქართველოს იოსებ სტალინის სახელობის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი აღშფოთებულია იმით, რომ 25 თებერვალი, „საქართველოს გასაბჭოების თარიღი ფეხქვეშ არის გათელილი". საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ მიმართვაში ისინი სასტიკად კიცხავენ სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც, მათივე სიტყვებით, ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ „საქართველოში თურმე კვლავ ცოცხლობს კომკავშირის სახელოვანი ტრადიციები, რომ თურმე აღსდგა და ძლიერდება ორგანიზაცია ახალგაზრდებისა, რომლებიც ცდილობენ გააგრძელონ ძნელაძის თუ გამცემლიძის, რუხაძის თუ კომევოის, კოსმოდემიანსკაიას თუ შევცოვას გმირული საქმეები" და, რომელიც ემუქრება მათ, როგორც ხელისუფლებისათვის არასასურველ, რადიკალურ ორგანიზაციას.

ახალგაზრდა „ლენინელები" აცხადებენ, რომ ვერ შეურიგდებიან მათი „დიდი სამშობლოს – საბჭოთა კავშირის დაშლას და მის დამშლელს" და ბოლომდე „ერთხელ მიცემული ფიცის – საბჭოთა პატრიოტიზმის ერთგული" დარჩებიან.

საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვას ისინი ყოველისმომცველი მოწოდება-ლოზუნგით ამთავრებენ: **„ვარწმუნებთ ყველას, არავინ და არაფერი არ იქნება დავიწყებული! დრო სულ მალე ყველას მიუჩენს საკადრის ადგილს!**

**საქართველოს კომკავშირი, რომელიც სტალინის სახელს ატარებს, იბრძოლებს სრულ გამარჯვებამდე – ერთიანი, ძმური ოჯახის აღორძინებამდე, რომელთან ერთადაც საქართველო კვლავ აყვავებული და ბედნიერი იქნება!**

**ძირს მონობა!**

**გაუმარჯოს 25 თებერვალს!**

**გაუმარჯოს რადიკალურ, შეურიგებელ კომუნისტურ ახალგაზრდობას!"**

თუ ახალი თაობის კომკავშირელები შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ ედუარდ შევარდნაძეს, როგორც მათი „დიდი სამშობლოს დამშლელს", სამაგიეროდ იგორ გიორგაძის, როგორც „სამშობლოს კეთილდღეობისათვის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი მამულიშვილის" დასაცავად მზად არიან, თვით დსთ წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებიც კი შეაწუხონ. დიდად მონდომებულმა თანამედროვე კომკავშირელებმა თავად შეადგინეს საერთო მიმართვის ტექსტი და სეკსა და სახალხო პატრიოტულ კავშირს შესთავაზეს მათ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო მიტინგებზე წარუდგინონ თანამოაზრეებს (მრავალრიცხოვანს!) მხარდასაჭერად.

რას შესჩივიან დსთ სამართალდამცავებს ახალგაზრდა „პატრიოტები"? რას და, თურმე, „საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკვე მეოთხე წელია გრძელდება სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძის უმოწყალო დევნა-შევიწროება. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლებისავე დაკვეთით (საინტერესოდ ჟღერს, – მ. ა.) დსთ-ის წევრი ზოგიერთი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დევნა ორგანიზებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამავე ორგანოების მხრიდან შევიწროებას განიცდიან იგორ გიორგაძის უახლოესი ნათესავები და, პირველ რიგში, ღვაწლმოსილი ადამიანი, ომის ვეტერანი გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე".

კომკავშირელები „შეახსენებენ" ადრესატებს (მთელი დსთ სამართალდამცავებს!), რომ **„სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რომელ ქვეყანასაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, იგორ გიორგაძისა და მისი ოჯახის წევრების დევნა-შევიწროება უკანონოა... და აღშფოთებას იწვევს საქართველოს ყველა პატრიოტში, მთელ ქართველ ხალხში".** მით უმეტეს, რომ, როგორც ამ დიდაქტიკური მიმართვის ავტორები აცხადებენ, „იგორ გიორგაძე დამნაშავე კი არ არის, არამედ სამშობლოს კეთილდღეობისათვის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი მამულიშვილია", და მის დევნას არავის შეარჩენენ. აკი, თავად იძახებიან: „ვგმობთ როგორც საქართველოს, ისე დსთ-ის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მიერ პოლიტიკური მოღვაწის – იგორ გიორგაძისა და მისი ოჯახის წევრების დევნა-შევიწროებას და კატეგორიულად მოვითხოვთ, შეწყდეს ეს უკანონო და აღმაშფოთებელი ქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივმართავთ ყველა კანონიერ ხერხს ამ პიროვნების უფლებების დასაცავად შესაბამისი დაწესებულებების პიკეტირების ჩათვლით".

ასე რომ, სამართალდამცავებო დსთ წევრი ქვეყნებისა, შეერთდით! ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს ქართველი „კომუნისტ-კომკავშირელ-პატრიოტებისაგან" პიკეტირებულ თქვენს დაწესებულებებში შესვლაც ველარ შეძლოთ... ეს დიდი ძალაა!..

**მაია ალუდაური,**
საქინფორმის კორ.

### სამი ბლოკი მუშაობს, ორი – მაზუთს ელოდება

„საქენერგოგენერაციის" მონაცემებით, გუშინ თბილსრესში სამი ბლოკი – მესამე, მერვე და მეცხრე მუშაობდა, ხოლო მეოთხე და მეათე ბლოკები მაზუთის უქონლობის გამო გაჩერებული იყო. ეს სამი ბლოკი 396 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ენგურჰესზე საღამოსა და დღის პიკებზე 200 მგვტ მოდის. სეზონურ ელექტროსადგურებზე – 200, ხოლო მარეგულირებულ ელექტროსადგურებზე – 175 მგვტ, სომხეთიდან 120 მგვტ, ხოლო აზერბაიჯანიდან 60 მგვტ ელექტროენერგია შემოდის.

„საქენერგოგენერაციის" მთავარი ინჟინერი გიორგი მაყაშვილი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს მაზუთის შემოტანის თაობაზე. – სავსე ტანკერები უკვე აზერბაიჯანში დგას.

### გაიმართა ბიძინა ღოღობერიძის საიუბილეო საღამო

გუშინ საქართველოს დამსახურებული მხატვრის, აფხაზეთის დამსახურებული მოღვაწის, მოქანდაკის ბიძინა ღოღობერიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში.

ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, სოხუმის საყმაწვილო თეატრმა „თეთრი ტალღა", ქალთა ვოკალურმა ჯგუფმა „მაფშალიამ" და სხვა შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

საღამო აფხაზეთის კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირის და აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების ინიციატივით მოეწყო.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, ბეამ.**

ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

# ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის ტვირთი და პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მძიმე და დიდია, ვიდრე წარმოგვიდგენია

(პირველი გვერდიდან)

[illegible]

რეფორმა საქართველოში არსებითად დამთავრებულია. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულმა მრავალმა ფუნდამენტურმა საკანონმდებლო აქტმა, ფაქტობრივად, უზრუნველყო საბჭოთა სამართლის დემონტაჟი და ახალი, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შესატყვისი სამართლის სისტემის ჩამოყალიბება. ეს უეჭველად დიდი გამარჯვებაა, თუ გავითვალისწინებთ დროის იმ მცირე მონაკვეთს, რომლის განმავლობაში ეს ტრანსფორმაცია მოხდა.

ქართული კანონმდებლობის განვითარებამ ბევრად გაუსწრო წინ პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობას და ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. თავს უფლებას მივცემ, მოვიტანო უცხოელი ექსპერტების შეფასება იმის თაობაზე, რომ საქართველოში სამართლებრივი უსაფრთხოება საკმაოდ დიდია, ქვეყანა, სამართლებრივი რეფორმების თვალსაზრისით, მკვეთრად გამოირჩევა სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან და იგი საკმაოდ წინ უსწრებს რუსეთსაც კი.

როდესაც სამართლებრივი რეფორმის მიღწევებზე ვსაუბრობ, არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ჩვენი უცხოელი კოლეგების დამსახურება ამ საქმეში. ქართველ ექსპერტებთან ერთად მათ ღამეები უთენებიათ ახალ კანონებზე მუშაობისას. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კანონი მრავალწლიანი ერთობლივი შრომის ნაყოფია და მე კატეგორიულად ვერ დავეთანხმები იმ მოარულ აზრს, თითქოს ეს კანონები სხვა ქვეყნების კანონებიდან იყოს გადმოთარგმნილი. გასაკვირია, რატომ მიიჩნევს ზოგი ჩვენი ოპონენტი რუსულიდან ან საბჭოურიდან გადმოწერილ აქტებს მშობლიურ, ქართულ კანონად და რატომ თვლიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველმყოფ კანონებს უცხოდ.

ჩვენ ვცხოვრობთ ღია მსოფლიოში, საქმიანობა გვიხდება ეკონომიკის გლობალიზების პირობებში და აუცილებელია ვაღიაროთ ის სტანდარტები და ნორმები, რომლითაც ცივილიზებული სამყარო ცხოვრობს. ამასთან, არავინ გვართმევს ჩვენს ტრადიციას, კულტურას, ისტორიას. პირიქით, ახალმა სამართალმა ხელი უნდა შეუწყოს ყოველივე იმის განმტკიცება-გაძლიერებას, რითაც ჩვენ ასე სამართლიანად ვამაყობთ.

ახალი საკანონმდებლო აქტების მიღება უდავოდ დიდი საქმეა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მიღებული კანონების დანერგვა და ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი განხორციელება. ამ ასპარეზზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კანონის ცხოვრება იწყება მაშინ, როცა იგი ხელმისაწვდომია ყველასათვის, როცა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ნორმატიული აქტის ტექსტს და მიიღოს მისთვის სასურველი სამართლებრივი ინფორმაცია. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მესახება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაფუძნებული ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და ხელშეწყობით ჩვენ, ალბათ, უახლოეს მომავალში შევძლებთ ამ გამოცემის უსასყიდლოდ მიწოდებას სახელმწიფო ორგანოებისათვის, პარლამენტისათვის, სასამართლო ხელისუფლებისათვის.

კანონის ტექსტი, ბუნებრივია, განსხვავდება ჩვეულებრივი ლიტერატურული ტექსტებისაგან, ამიტომ მის წაკითხვას, გაგებას და განმარტებას სპეციალური ცოდნა სჭირდება. ამით აიხსნება იმ ადამიანთა სწავლების აუცილებლობა, რომლებმაც ახალი კანონები რეალურად უნდა გამოიყენონ. ამ თვალსაზრისით დიდი როლი უნდა შეასრულოს იურისტებისა და სახელმწიფო მოხელეთა სწავლებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებამ. კანონი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეს მან, ვინც ეს კანონი სახელმწიფოს სახელით უნდა გამოიყენოს. მიღებული კანონების შესწავლა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი პრინციპული მიმართულება უნდა გახდეს.

კანონმდებლობის დანერგვისა და მისი სწორი განხორციელებისათვის უპირველესი ამოცანაა სამართლის ნორმების პროპაგანდა, მისი გავრცელება მოსახლეობაში. განხორციელებული რეფორმის შედეგად ასეულ ათასობით ადამიანმა უკვე იგრძნო რეფორმის დადებითი შედეგები: გახდა მიწის მესაკუთრე, შეუდგა სამეწარმეო საქმიანობას, გახდა ქარხნებისა და სხვა ობიექტების მფლობელი და ა. შ. გულწრფელად გეტყვით, გულდასაწყვეტი მართლაც ისაა, რომ რეფორმის ამ დიდ მონაპოვარს ხშირად ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებენ.

კანონშემოქმედება არ არის ერთჯერადი პროცესი. იგი მუდმივ სრულყოფასა და განვითარებას საჭიროებს. არსებობს სფეროები, რომლებიც ახლებურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი ნაჩქარევი საკანონმდებლო ცვლილებებისაგან. სტაბილური კანონმდებლობა სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურების, შიდა თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე ეფექტიანი წინაპირობაა. ამ მხრივ ჩვენს მეწარმეებს, საქმიან წრეებს მართლაც ბევრი აქვთ სასაყვედურო: როგორი კარგიც უნდა იყოს კანონი, თუ იგი არასტაბილურია, ანუ ხშირად იცვლება, ყოველთვის იწვევს უარყოფით შედეგებს. მერყევი კანონმდებლობა აფრთხობს როგორც შიდა, ისე უცხოელ მეწარმეებს, რომელთათვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მყარი სამართლებრივი ჩარჩოები კაპიტალდაბანდების დასაცავად. მას არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ დღევანდელი მისი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად.

ყველა უნდა შევეცადოთ ერთობლივად შეიქმნას საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის. კანონმდებლობის ხშირ ცვლილებებთან ერთად ამის მიზეზი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების დაუსრულებელი შემოწმებებია. ამ პრობლემას, ალბათ, მოაგვარებს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიებისა" და „სამეწარმეო საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის შესახებ" კანონების ამოქმედება, რომელთა პროექტებზე მუშაობა უკვე დასრულდა.

სამართალშემოქმედების პროცესის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ნორმატიული აქტების ექსპერტიზა. იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ექსპერტიზას — ამოწმებს მათ შესაბამისობას კონსტიტუციასა და კანონებთან. ვფიქრობთ, ხარვეზია კანონმდებლობაში, როდესაც არ ხდება ნორმატიული აქტის ექსპერტიზა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. არადა, საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება კანონზე მეტი იურიდიული ძალის მქონეა. ამან უარყოფითი შედეგები უკვე გამოიღო: სახელმწიფო იძულებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულების საწინააღმდეგო კანონის საფუძველზე მიღებული თანხები უკან დაებრუნებინა. პრობლემად რჩება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების ექსპერტიზა და რეგისტრაცია. ვფიქრობთ, ამ პრობლემას გადაჭრის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადგილობრივი სამსახურის ჩამოყალიბება.

კვლავაც სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერითა და საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარებით საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, მაღალპროფესიული მართლმსაჯულების არსებობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებელი პირობაა. საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილმა გადაწყვეტილებამ თითქოს ეჭვქვეშ დააყენა სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში, რომელმაც შესაძლებელი გახადა რეფორმის გაგრძელება. იანვარში უკვე მესამედ ჩატარდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა. გამოცდაზე გასვლის მსურველთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ამ რეფორმის მიმართ ინტერესი კი არ იკლებს, პირიქით, მატულობს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი სამართლის დანერგვის საქმეში გამოცდებმა დიდი როლი უკვე შეასრულა. დარწმუნებული ვარ, რომ, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, სასამართლო რეფორმა წლეულს წარმატებით დასრულდება.

სასამართლო რეფორმის განხორციელება შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ახალი სამსახურის ჩამოყალიბების გარეშე.

აღსრულების დღეს არსებული სისტემა აღარ შეესაბამება ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნებს. იგი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა ეფექტიან აღსრულებას. იუსტიციის სამინისტრომ დაამთავრა მუშაობა კანონპროექტზე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. მან უკვე გაიარა საკმაოდ საფუძვლიანი ექსპერტიზა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ამ დღეებში კანონპროექტი განსახილველად წარედგინება პარლამენტს. ახალი სააღსრულებო სისტემა უნდა ამოქმედდეს მიმდინარე წლის 15 მაისიდან.

მიუხედავად დღეს არსებული სისტემის ბევრი ნაკლოვანებისა, მე მაინც შევეცდები წარმოვადგინო რამდენიმე ინფორმაცია აღმასრულებელთა მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ განხორციელებული აღსრულებების შესახებ:

სააღსრულებო ფურცლების მიხედვით 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოსაღები იყო 11.291.151 ლარი, რაც 9.566.496 ლარით მეტია 1997 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. აღმასრულებელთა მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1998 წელს ამოღებულია და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულია 4.502.462 ლარი, რაც იმავდროულად 3.852.968 ლარით მეტია გასულ წელთან შედარებით.

1997 წელთან შედარებით თვალშისაცემად გაიზარდა, აგრეთვე, სხვა მაჩვენებლებიც.

სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების მიხედვით, 1998 წელს ამოღებულია 553.168 ლარი, რაც 415.249 ლარით მეტია 1997 წელთან შედარებით.

იმავდროულად, აღმასრულებლებმა 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოიღეს 3.949.294 ლარი, რომლებიც სასამართლოებმა ჯარიმებისა და ბაჟების სახით დააკისრეს ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებს. ეს კი 3.579.524 ლარით მეტია გასულ წელთან შედარებით.

მართალია, 1999 წლისათვის კვლავ საკმაოდ დარჩა ამოსაღები თანხები ნაშთად და ისინი, ალბათ, ამოღებული იქნება, მაგრამ ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ 1997 წელთან შედარებით, 1998 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების ამოღება.

აღნიშნული მონაცემების მოტანა საჭიროდ მივიჩნიე იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ სამსახურს. სწორედ, აუცილებელ აღსრულებაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა.

დღეისათვის დიდ ყურადღებასა და განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმა. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 29 იანვრის ბრძანებულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია პენიტენციური სისტემის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში ეტაპობრივი გადმოცემის საკითხების მოწესრიგების მიზნით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ სისტემის რეფორმირება არ მოიცავს მხოლოდ ერთი უწყებიდან მეორეში გადაცემის საკითხს. პენიტენციური სისტემის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ ევროპის საბჭოსთან საქართველოს თანამშრომლობის 1999 წლის ღონისძიებათა გეგმაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამ სფეროზე: დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით იუსტიციის სამინისტროში უკვე მომზადდა კანონპროექტი „თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასჯელის აღსრულების შესახებ". პროექტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ ევროპული, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი უახლოეს მომავალში განსახილველად გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.

გარდა ამ კანონისა, პენიტენციური სისტემის ნორმალური მუშაობის მიზნით უნდა მომზადდეს ნორმატიული აქტების პაკეტი. აუცილებელია ამ ეტაპზევე დაიწყოს მოქმედი სისტემის ინსპექტირება და ინვენტარიზაცია.

მიმდინარე წლის 27 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, დასრულდა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების პროცესი. ევროპის საბჭოში ინტეგრაციის პროცესი ითხოვს სამართლებრივი დახმარების სფეროში მოქმედ ევროპულ კონვენციებთან მიერთებას. შარშან იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და შესაერთებლად წარედგინა კონვენციები „სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ", „უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ", „კორუფციის პრობლემების სისხლის სამართლებრივი რეგულირების შესახებ". შარშანვე საქართველო მიუერთდა „მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ" ევროპულ კონვენციას.

ფაქტობრივად, დასრულდა „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის" ევროპის კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის შესწავლის პროცესი. მოხსენების პირველადი ვარიანტი წარედგინა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატს, რომელიც განხილვის შედეგებს უახლოეს მომავალში გვაცნობებს.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება უდიდესი მოვლენაა და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც. აუცილებელი იქნება დამატებითი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის აღიარება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ საშუალება გვექნება სარჩელით მივმართოთ მას, აუცილებელი იქნება ევროპის სასამართლოს წევრის წარდგენაც. გადასაწყვეტი იქნება ევროსასამართლოში და ევროპის საბჭოს სხვა სტრუქტურებში სახელმწიფოს წარმომადგენლობის საკითხიც.

უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მართლაც სერიოზულ მუშაობას მოითხოვს, არის ადამიანის უფლებათა სწავლება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს რა მექანიზმები მუშაობს მისი უფლებების დაცვის მიზნით, რა შეუძლია გააკეთოს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი უფლებები. ამ მიზნით აუცილებელია იურიდიული განათლების რეფორმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწორედ ამ სფეროს. ადამიანმა თავისი უფლებების შესახებ ინფორმაცია სკოლიდანვე უნდა მიიღოს. მიზანშეწონილი იქნებოდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა სწავლების ცენტრიც.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შედეგად საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების უმეტესი წილი იუსტიციის სამინისტროს საშუალებით იქნება განსახორციელებელი. აუცილებლად მიმაჩნია იუსტიციის სამინისტროში შეიქმნას სამსახური, რომელსაც უხელმძღვანელებს სპეციალურად ამ მოვალეობით აღჭურვილი მინისტრის მოადგილე.

ევროპის საბჭოს ძირითად დანიშნულებას ადამიანის უფლებათა დაცვა წარმოადგენს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უფლების დარღვევის თავიდან აცილების საკითხს. აქცენტს აკეთებს ე. წ. „დარღვევის პროფილაქტიკაზე". ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო მექანიზმი ამუშავებას იწყებს მაშინ, როდესაც უფლება უკვე დარღვეულია. „დარღვევის პროფილაქტიკის" არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ აღიკვეთოს სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის მხრიდან თვითნებობის ყოველგვარი გამოვლინება და სახელმწიფოში შეიქმნას თვითნებობის შემბოჭავი საკანონმდებლო ბაზა. სწორედ ამ მოვალეობის განხორციელებას ემსახურება საქართველოს ახალი ადმინისტრაციული კოდექსი. პროექტზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებულია.

სამართლებრივი რეფორმის განვითარებისათვის უმთავრესია საქმიანობის კოორდინაცია, როგორც იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე თავად ამ ორგანიზაციებს შორის. განსხვავებით პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან, საქართველოში მათი მოღვაწეობა ვითარდებოდა თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების საფუძველზე. ვფიქრობ, ესეც ჩვენი დიდი დამსახურებაა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ინსტიტუციურ ცვლილებებზე, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს მიმდინარე წელს. დასრულდება იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციის პროცესი. უცხოელი ექსპერტების დახმარებით ჩვენ შევძლებთ ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე სამინისტროს მოდელი.

უკვე ჩამოყალიბდა ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრი, რომელმაც სულ მცირე დროში უკვე დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა.

მიმდინარე წელსვე დასრულდება ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების რეფორმა.

დაბოლოს, ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად გვიწევს დამსახურებული თუ დაუმსახურებელი კრიტიკის მოსმენა. კრიტიკის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უდიდესი მონაპოვარია. მიუხედავად ბევრი ნაკლისა, დემოკრატიულ საზოგადოებაზე უკეთესი რამ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია. ჩვენ ყველა უნდა შევეცადოთ, დავიცვათ ის ახალგაზრდა დემოკრატია, რომლის დიდ მომავალში მე ღრმად ვარ დარწმუნებული.



**საქართველოს იუსტიციის მინისტრის ლადო ჭანტურიას მოხსენება მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1999 წლის 19 თებერვალს**

ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ

# „ტრანსკასპიური ქარავანი" საქართველოსაკენ მოდის



(პირველი გვერდიდან)

„ტრანსკასპიური" გაზსადენი რომ უდიდეს სიკეთესთან ერთად, კიდევ ერთი მძლავრი დასაყრდენი იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების განმტკიცებისათვის, ეს ყველას კარგად გვესმის. მის მშენებლობაზე ათასობით ქართველი იმუშავებს. სწორედ ასეთი მისიითა და მიზნებით შემოდის ჩვენს ყოველდღიურობაში საქართველოს **გაზის საერთაშორისო კორპორაცია**, რომლის პრეზიდენტი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული **ალექსი გოცირიძე** მალე ჩვენი ტელეეკრანისა თუ გაზეთების გვერდების ხშირი და სასურველი სტუმარი იქნება.

მისი პირველი შეხვედრა ჩვენს გაზეთთან ასე დაიწყო:

**— ბატონო ალექსი, ამ დღეებში დასრულდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა, შედუღდა ბოლო მილი და უცებ... ახალი, დიდი საქმის წამოწყება გვაუწყა ჩვენმა პრეზიდენტმა. ასეთი რამ, მოგეხსენებათ, უცბად არ ხდება. ამას, ალბათ, აქვს თავისი წინაისტორიაც.**

— ცხადია, აქვს... საქმე ის გახლავთ, რომ თურქმენეთს გააჩნია თავისი გაზის რეალიზაციის რამდენიმე ვარიანტი. მას შემდეგ, რაც გაურთულდა დამოკიდებულება რუსეთთან, გაზის უამრავი გამოუყენებელი მარაგი დაუგროვდა. აქედან გამომდინარე, თურქმენებმა შექმნეს გაზის გატანის პროექტები ირანის, ავღანეთის, ჩინეთის, რუსეთის მიმართულებებით. ამათგან ყველაზე პრიორიტეტული გახლდათ ირანის მიმართულება, რომელიც ითვალისწინებდა ირანის მეშვეობით ყოველწლიურად 16 მილიარდი კუბმეტრი გაზის გატანას თურქეთში. იყო კიდეც ხელმოწერილი ხელშეკრულებები ამ ქვეყნებს შორის, მაგრამ... მოხდა ისე, რომ ახლახან თურქმენეთის პრეზიდენტმა პრიორიტეტულად გამოაცხადა **„ტრანსკასპიური" გაზსადენი**, რომელიც კასპიის ზღვის გავლით გაივლის აზერბაიჯანს, საქართველოს და გავა თურქეთში. გაზსადენის 700 კილომეტრი აშენდება თურქმენეთის ტერიტორიაზე, შემდეგ იგი 300 კილომეტრზე გაიჭიმება კასპიის ზღვის ფსკერზე, 400 კილომეტრი ჩაიწყობა აზერბაიჯანის, ხოლო 250 საქართველოს ტერიტორიებზე... გაზსადენის საერთო სიგრძე, თურქეთის ტერიტორიის ჩათვლით, დაახლოებით 2000 კილომეტრს შეადგენს.

19 თებერვალს, თურქმენეთის ეროვნული დროშის დღესასწაულის დღეს, თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა ოფიციალურად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ამერიკულ სათავო კომპანია „ბსჯ"-სთან ამ გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. ცხადია, ამ ხელმოწერას წინ უსწრებდა უზარმაზარი მოსამზადებელი მუშაობა, რაზეც თავის ამასწინანდელ გამოსვლაში ბრძანა კიდეც საქართველოს პრეზიდენტმა. თუ უფრო დაწვრილებით გნებავთ, გეტყვით, რომ ამ მხრივ ამერიკის მთავრობის, კერძოდ, კასპიის რეგიონის საქმეში ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწის მორნინგ სტარის ძალიან დიდი ძალისხმევა იყო. ამერიკის ცნობილმა კორპორაციებმა, მაგალითად, „ერნონმა" დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ დაერწმუნებინათ თურქმენეთის ხელმძღვანელობა „ტრანსკასპიური" მიმართულების პრიორიტეტულობაში. ამერიკის მთავრობამ გამოყო დაახლოებით 800 000 დოლარი პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შექმნისათვის, რომლის მომზადების შემდეგაც ყველა მხარე ცხადად დარწმუნდა პროექტის კომერციულ მომგებიანობასა და მისი განხორციელების ტექნოლოგიურ შესაძლებლობებში.

**— რამდენადაც ვიცი, ამ არჩევანს მნიშვნელოვნად აფერხებდა თურქმენეთ-აზერბაიჯანის ცნობილი უთანხმოება კასპიის ზღვის შელფის გაყოფის თაობაზე...**

— მართლაც, სერიოზული უთანხმოება გახლდათ, ვიდრე ამ საქმეში არ ჩაერია საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ამ საკითხის გადაწყვეტაში. ნიშანდობლივი იყო, რომ ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწემ მორნინგ სტარმა ჩვენთან ყოფნის დროს სთხოვა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი და მეგობრული დამოკიდებულება აზერბაიჯანსა და თურქმენეთის პრეზიდენტებთან ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ამასვე სთხოვდნენ მას ცნობილი ამერიკული კორპორაციების ხელმძღვანელები. შედეგი, როგორც ხედავთ, სახეზეა. როგორც ამერიკის მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, შევარდნაძემ გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ პროცესში.

**— საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ბრძანა, რომ „ტრანსკასპიური გაზსადენის" მშენებლობას 28 თვე დასჭირდება. თქვენ უფრო დაწვრილებით ხომ არ გვეტყოდით, როდის დაიწყება და როგორ განხორციელდება მშენებლობა? თუ ელემენტარულ გეოგრაფიას გავიხსენებთ, ამ გაზსადენს, მართლაც, დიდი გზა ექნება გასავლელი.**

— მართალია, უკვე მოეწერა ხელი ხელშეკრულებას წამყვან ორგანიზაციასთან, რომელშიც გაერთიანებულია ამერიკის ორი უმსხვილესი ენერგეტიკული კომპანია „ჯენერალ ელექტრიკი" და „ბეხტელი", მაგრამ ამის შემდეგ ჩამოსაყალიბებელია კონსორციუმი, რის შემდეგაც დაიწყება სათანადო მოლაპარაკებები მაგისტრალის მშენებელ ყველა ქვეყანასთან. აქ შესათანხმებელი იქნება სატრანზიტო ტარიფები, ტერიტორიის გამოყოფისა თუ სხვა საკითხები. პარალელურად დაიწყება, აგრეთვე, მუშაობა დაფინანსებაზე. ჩვენი ინფორმაციით მეთაურ კომპანიად „ბსჯ"-ის არჩევაში დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ეს კომპანია აპირებს ნახევარი თანხის ჩადებას ამ სამმილიარდიან პროექტში, ხოლო დანარჩენ 50 პროცენტს იგი საბანკო სახსრებით მოიზიდავს. ამასთან, გვაქვს ისეთი ინფორმაციაც, რომ ამერიკის რამდენიმე მსხვილი საფინანსო სტრუქტურა მზად არის ამ პროექტის დასაფინანსებლად. თუ ეს პრობლემა დროულად გადაწყდა (რამიც ამერიკის მთავრობაც ძალზე აქტიურად არის ჩართული), შემდეგი ეტაპი — მშენებლობის დაწყებაც არ დააყოვნებს.

**— რამდენადაც ვიცით, გაზსადენის გაყვანის რამდენიმე მეთოდი არსებობს. იმისათვის, რომ მშენებლობის ვადები შეზღუდონ, ზოგჯერ პარალელური მშენებლობის მეთოდსაც იყენებენ ხოლმე. ამ შემთხვევაში როგორ იქნება?**

— როგორც წინასწარი მეხვედრებიდან ჩანს, ყველა ქვეყანაში პარალელურად დაიწყება გაზსადენის მშენებლობის სამუშაოები. რაც შეეხება ვადებს, ცხადია, ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რომელი სამშენებლო ორგანიზაციები მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს. მაგალითად, ზოგიერთი ორგანიზაცია გვპირდება, რომ კასპიის ფსკერზე მილსადენის გაყვანას 9 თვეს მოანდომებენ. ზოგიც ამისათვის 5 თვეს გეგმავს. ამდენად, ის ვადა — 28 თვე, რომელიც აღნიშნა ჩვენმა პრეზიდენტმა, შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს კიდეც.

**— ხომ იცით ჩვენებური ქართული ხასიათის ამბავი. ნავთობსადენმა უკვე ისე გაგვათამამა, რომ შეიძლება რაღაც წინასწარი გათვლებიც გვაქვს იმის თაობაზე, თუ რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას როგორც „ტრანსკასპიური", ასევე რუსეთიდან სამხრეთისაკენ ჩვენი ქვეყნის გავლით უკვე სავარაუდო მაგისტრალები...**

— შესაძლოა, ამ თემაზე ახლა საუბარი ცოტა ნაადრევი იყოს, რადგან ჯერ არც ერთ ამ ქვეყანასთან არ გვაქვს ხელმოწერილი სათანადო ხელშეკრულება. ჯერჯერობით არც ის არის ცნობილი, თუ როგორი ტარიფით გადაიხდიან ისინი სატრანზიტო გადასახადს. მაგალითად, სომხეთში მიმავალი გაზის ტრანზიტის საფასურად რუსეთი გატარებული გაზის 10 პროცენტს გვიტოვებს. შესაძლოა ახალი გაზის მაგისტრალის შემთხვევაში ეს ციფრი ამდენი არ იყოს, რადგან აქ საქმე გვაქვს საერთაშორისო, მაღალი რანგის პროექტთან. ყოველ შემთხვევაში რუსეთი საქართველოს გაელით სამხრეთისაკენ ისეთი გაზსადენის გაყვანას ფიქრობს, რომელიც წელიწადში 16-დან 20 მილიარდამდე კუბურ მეტრ გაზს გაატარებს. თურქმენეთიდან მომავალი გაზსადენი კი სამ ეტაპად აშენდება. პირველი ყოველწლიურად 10 მილიარდის მოცულობის იქნება, შემდეგ კი ეს ციფრი 20, ბოლოს 30 მილიარდს მიაღწევს.

ცხადია, ეს მხოლოდ მილების სიმძლავრეზე არ იქნება დამოკიდებული. აქ მთავარია, თუ როგორი იქნება მომხმარებელი. მაგალითად, თურქეთი აპირებს ეს გაზი ტრანზიტადაც გაატაროს ევროპის ქვეყნებში.

პირველი ეტაპის „ტრანსკასპიური მაგისტრალით" ყოველწლიურად დაახლოებით მინიმუმ 20-25 მილიარდი კუბური მეტრი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიარდ კუბმეტრ გაზს მიიღებს და მოიხმარს, რაც ძალიან დიდი მხარდაჭერა იქნება ჩვენი ბიუჯეტისა და ეკონომიკისათვის.

**— და არა მხოლოდ მათთვის... ეს მნიშვნელოვან რეზერვს შეგვიქმნის, ალბათ, ენერგეტიკის დარგშიც და შეზღუდავს ელექტროენერგიის იმ დანახარჯებს, დღეს რომ გვაქვს...**

— მართალი ბრძანდებით... დღეს, როგორც იცით, მოსახლეობა ელექტროენერგიას მხოლოდ განათებისთვის კი არა, გათბობისთვისაც მოიხმარს. ასე რომ, გაზის მიღების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია ეს ხარჯი სამჯერ და უფრო მეტადაც შემცირდეს. ეს დიდი დახმარება იქნება ჩვენი ელექტროენერგეტიკისათვის და მნიშვნელოვნად მოხსნის ე.წ. „პიკურ სიტუაციებს" ჩვენს ენერგოსისტემაში.



**ასე ოპტიმისტურად დამთავრდა პირველი შეხვედრა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტთან ბატონ ალექსი გოცირიძესთან. იგი მჭიდრო თანამშრომლობასა და ახალ საინტერესო მასალებს შეგვპირდა უახლოესი მომავლისათვის. როგორც შევატყვე, ეს პროცესიც „ბაქო-სუფსის" ნავთობსადენის მსგავსად განვითარდება, რადგან თურქეთსაც და ევროპის სახელმწიფოებსაც ძალზე სჭირდებათ თურქმენული გაზი. იგი ჰაერივით სჭირდება საქართველოსაც.**

**მარტო უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე სამი სასიხარულო მოვლენის მონაწილე გავხდით — საქართველო ანაკლიაში ახალ ღრმაწყლიან ნავსადგურს აშენებს, ჩვენს ქვეყანაზე გაივლის „ტრანსკასპიური"გაზსადენი, მარტის ბოლოს კი სუფსაში ქართული ნავთობტერმინალიდან დატვირთულ პირველ ტანკერს გავაცილებთ.**

**ჩვენს თვალწინ იბადება ახალი საქართველო...**

გია ჭელიძე.

## თვალსაზრისი

# შეუქცევადია რუსეთ-საქართველოს დაშორიშორება?

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №49-50.

ჩვენს საუკუნეში ულებლივ ყველა კოლონიური იმპერიის დარღვევამ და მათ ნანგრევებზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებამ ნათელყო, რომ მათი არსებობა კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის სრულიად შეუსაბამო, ისტორიულად უიმედოდ დრომოჭმული სახელმწიფოებრივ ფორმად იქცა, ხოლო ამგვარი იმპერიების ნაცვლად მსოფლიო ასპარეზზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გამოსვლა — სავსებით კანონზომიერ მოვლენად. ამიტომ დერჟიმორდული მცდელობანი უნიტარული, „ერთიანი და განუყოფელი“, საერთო რუსული სახელმწიფო ენის მქონე რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის, თანამედროვე მსოფლიო ისტორიული განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას ძირეულად ეწინააღმდეგება და არქირეაქციულია, რის გამოც დასამარცხებლადაა განწირული.

როგორც სსრ კავშირის მაგალითზე ვნახეთ, ველიკორუსული შოვინიზმის დაწოლა უცილობლად წარმოშობს ადგილობრივ „თავდაცვით ნაციონალიზმს“, ხოლო მათი ერთობლიობა (მტრული დაპირისპირება) — სახელმწიფოს შინაგან დამანგრეველ ძალას. ამიტომ ველიკორუსული შოვინიზმის ნაოცნებარი „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის იმპერიის რეანიმირების მცდელობა, უწინარესად, თავად რუსეთში მცხოვრები არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებას გამოიწვევს, რაც ისევე იქცევა რუსეთის შინაგანი დაშლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, როგორც ეს სსრ კავშირში მოხდა. ამავე დროს, თავისთავად ცხადია, რომ ასეთ მცდელობებს გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტური უმრავლესობაც, რომლებზეც ველიკორუსული შოვინიზმის დაწოლა უთუოდ მათ კონსოლიდირებას განაპირობებს და საკმაოდ ძლიერ ძალად აქცევს. უეჭველია ისიც, რომ მათ მეტად აქტიურად დაეხმარება დასავლეთიც, რომელიც მაქსიმალურად შეეცდება საშუალება არ მისცეს რუსეთს, კონტროლი დააწესოს კასპიისპირეთის ნავთობით მდიდარ რესპუბლიკებზე და საქართველოზე გამავალ კომუნიკაციებზე, რადგან ეს, ჯერ ერთი, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ინტერესებს, ხოლო მეორე, რუსეთის იმპერიის რეანიმირების შანსს გაუჩენს, რაც დასავლეთს ძილს უფრთხობს.

რუსეთი თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე და ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი სახელმწიფოა, რომელსაც დაახლოებით 150 მილიონი მცხოვრები ჰყავს. იმავდროულად, მას უდიდესი სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშახელი ჰყავს, რის გამოც, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უძლიერეს ქვეყნად გადაქცევისათვის ყველანაირი შესაძლებლობა უხვად აქვს. ამიტომ დღესავით ნათელია, რომ თავისი მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად და უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის რუსეთს სხვათა ტერიტორიების მიტაცება და ამის ხარჯზე იმპერიად აღორძინება, ობიექტურად, არ სჭირდება, მით უმეტეს, ეს მისთვის აუცილებელი არ არის. ამისათვის სრულიად საკმარისია, თავისი კოლოსალური, თავზესაყრელი შესაძლებლობანი გონივრულად აითვისოს და გამოიყენოს.

სხვაგვარად რომ ითქვას, სიღატაკიდან თავის დაღწევისა და თავისი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის რუსეთის წინაშე ამჟამად უმთავრეს, უპირველეს და დაუყოვნებლივ გადასაწყვეტ ისტორიულ ამოცანად დგას არა იმპერიის, არამედ თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენა.

აღსანიშნავია, რომ ეს მშვენივრად ესმის ათასგვარი გაჭირვება-უბედურებით გატანჯულ-გაწამებულ და ჩეჩნეთის ომის მწარე შედეგებით დემორალიზებული რუსი ხალხის დიდ უმრავლესობას და ამიტომაცაა, რომ იმპერიის აღდგენის მოსურნენი საყოველთაო სახალხო მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასობრივი გამოსვლების დროს რუსეთის მოსახლეობის ძირითად მოთხოვნებს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს და არა იმპერიის აღდგენა. ხოლო ის გარემოება, რომ დერჟიმორდებს გარკვეული რაოდენობის მომხრეები ჰყავთ, საერთო სურათს ვერ ცვლის, რადგან ისინი რუსი ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ.

ასეთია ის ზოგიერთი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ველიკორუსული შოვინიზმით გაჟღენთილი წრეების მცდელობებს რუსეთის იმპერიის აღდგენის მიზნით სრულიად უნიადაგოს, მირაჟულსა და უნაყოფოს ხდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოფიციალური რუსეთი კვლავაც შეუპოვრად იბრძვის იმპერიის აღორძინებისათვის, რასაც უამრავი სახელმწიფო ფინანსური სახსრები, დრო და ენერგია უნაყოფოდ ეწირება და ქვეყანას ეკონომიკურად ფიტავს. ეს მაშინ, როდესაც სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის მათი გამოყენება რუსეთს მნიშვნელოვან პოზიტიურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს მოუტანდა. ეს ყოველივე კი ნიშნავს, რომ ოფიციალური რუსეთი თავის მთავარ ძალისხმევას სრულიად ფუჭ საქმეს ახმარს. ამიტომ, თუ მან კვლავაც ასე გააგრძელა, თვალსაწიერ მერმისში იგი მართლაც დაინგრევა, როგორც ეს სსრ კავშირის დარღვევისთანავე დასავლეთში იწინასწარმეტყველეს, მათ მორის, ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ და პოლიტოლოგმა ზ. ბჟეზინსკიმაც, რაც უთუოდ მრავლისმეტყველია; სახელდობრ, იმაზე უტყუარად მიმანიშნებელი, რომ დასავლეთში არსებობენ გარკვეული ძალები, მაგალითად, სპეცსამსახურები, რომლებიც სსრკ დარღვევის შემდეგ უკვე რუსეთის დაშლაზე მუშაობენ მეთოდურად და ინტენსიურად. ამასთან, მეტად ნიშანდობლივია, რომ მათი ადვილად მისახვედრი კონკრეტული მიზნები იმდენად ახლოა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების უმრავლესობასთან რუსეთის პოლიტიკის პრაქტიკულ შედეგებთან, ძალაუნებურად იბადება ძლიერი ეჭვი, რომ ამ პოლიტიკის არსი ძირითადად სწორედ მათი ხრიკების პროდუქტია. კერძოდ, როგორც ჩანს, მათ ველიკორუსული შოვინიზმის გარსში გახვეული თავისი ადგილობრივი აგენტების, ასე ვთქვათ, პირუკუ დერჟიმორდებისა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მოახერხეს რუსეთის მმართველი წრეებისათვის იმპერიის აღდგენის რეალური შესაძლებლობის ილუზიის შექმნა, ამის წყალობით რუსეთი მისი განხორციელებისათვის სრულიად უნაყოფო და მეტად ძვირადღირებული ბრძოლის ჭაობში საფუძვლიანად ჩაითრიეს. ამას კი, პრაქტიკულად, იგი სწორედ იმ კონკრეტულ შედეგებამდე მიჰყავს, რომლებიც რუსეთის საერთო-ეროვნულ საარსებო ინტერესებს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება, მაგრამ ერთობ აძლევს ხელს აღნიშნულ ძალებს და მათ კონკრეტულ მიზნებს ემთხვევა. სახელდობრ: 1. რუსეთისადმი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან უნდობლობის იმ დონემდე გაღვივება, რომ შესაძლებელი აღარ გახდეს მათი რაიმე ფორმით ერთიანი სახელმწიფოს ჩარჩოებში გაერთიანება (რაც გარკვეულწილად ხორციელდება კიდეც); 2. რუსეთის ყურადღებისა და ძალისხმევის გადატანას მის წინაშე უმთავრეს ამოცანად მდგომი პრობლემის — სახალხო მეურნეობის აღორძინების გადაჭრიდან უნაყოფო, ფუჭი მიმართულებით, რათა იგი, რაც შეიძლება ყოველმხრივ, მაქსიმალურად დასუსტდეს (ეს მიზანიც ხორციელდება); 3. რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხებსა და რუს ერს შორის ეროვნული შუღლის რაც შეიძლება გამწვავება, რათა ამით წარმოიშვას ქვეყნის შიგნიდან დანგრევის აქტიური ძალა (როგორც ჩეჩნეთის მაგალითი გვიჩვენებს, ეს მიზანიც გარკვეულწილად უკვე ხორციელდება).

ამდენად, საკმაო საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რუსეთი იმ საერთაშორისო შეთქმულების მსხვერპლი ხდება, რომელსაც მიზნად მისი დანგრევა აქვს დასახული. ჩვენი აზრით, აფხაზეთის პრობლემაც სწორედ ამასთან კავშირშია განსახილველი: აფხაზეთისათვის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, დასავლეთმა, თავისი ღრმა წაყრუებით, რუსეთს მწვანე შუქი აუნთო ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი კუთხის დაპატრონებისათვის. ამან რუსეთ-საქართველოს მკვეთრი ურთიერთდაშორება განაპირობა. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება, რადგან ოფიციალურ რუსეთს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაუცნობიერებია, თუ აფხაზეთის სახით რა „დანაელთა ძღვენი“ მიართვეს და კვლავაც ჯიუტად ებღაუჭება მას, თუმცა, ამით უკვე საკმაოდ დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ზარალი ნახა და არც უახლოესი მერმისი უქადის უკეთესს.

ერთი სიტყვით, რუსეთს თავისი ამჟამინდელი ტერიტორიული ერთობა აქვს შესანარჩუნებელი, ის კი ამ დროს სხვებისას ეპოტინება და იმპერიად აღდგენაც სურს, თანაც კიდევ უფრო მკაცრად უნიტარულისა, ვიდრე საბჭოთა კავშირი იყო, რომლის რეანიმირებასაც, როგორც ცნობილია, თანამედროვე კომუნისტები ესწრაფვიან, ოღონდაც მისი მოდერნიზებული, სახელდობრ, ევროკავშირის ტიპის გაერთიანების სახით. მაგრამ, ეს რომც მოხდეს, ეს სავარაუდო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ანუ სსრკ ველარ იქნება, რადგან ევროკავშირი სრულებითაც არ არის ამგვარი რესპუბლიკების გაერთიანება. მაშასადამე, გამოდის, რომ კომუნისტებს სინამდვილეში სურთ არა სსრ კავშირის აღდგენა, არამედ სხვა ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანების ჩამოყალიბება. ეს კი თავისთავად მიგვითითებს, რომ სსრ კავშირი ევროკავშირის ტიპის გაერთიანების სახით ვერაფრით ვერ აღდგება. თუმცა, ისიც ერთობ საეჭვოა, რომ რუსეთისა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბაზაზე ახლა ევროკავშირის ტიპის გაერთიანების ჩამოყალიბება საერთოდ შესაძლებელი იყოს.

ევროკავშირის, როგორც ნებაყოფლობითი გაერთიანების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მის წევრ ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანი პარტნიორული დამოკიდებულებაა, რომელიც თავისთავად გულისხმობს ურთიერთნდობის მაღალ დონეს ამ ქვეყნებს შორის. რუსეთსა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობას შორის კი, ჯერჯერობით, სწორედ ურთიერთნდობის მწვავე დეფიციტი, ურთიერთუნდობლობის მაღალი წინაღობა არსებობს. ამიტომ ევროკავშირის ტიპის გაერთიანების შექმნამდე სწორედ ამ ურთიერთუნდობლობის გაფანტვაა აუცილებელი, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ დროს მოითხოვს.

ევროკავშირი, როგორც ამას უბრალო ემპირიული დაკვირვებაც გვიჩვენებს, ესაა ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და დემოკრატიზმის მაღალი დონის ქვეყნების გაერთიანება, რომელთაც, ამ თვისებათა გამო, ცივილიზებულ, პარტნიორულ ურთიერთობათა მაღალი კულტურაც აქვთ. რუსეთი და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები კი ამ თვისებებით, უდავოა, დიდად ჩამორჩებიან ევროპულ ქვეყნებს და ამიტომ, საჭირო კონდიციამდე მისვლისათვის, მათ ასევე გარკვეული დრო სჭირდებათ. მით უმეტეს, რომ თავად ევროკავშირიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა.

ასე რომ, თანამედროვე ეტაპზე რუსეთისა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბაზაზე ევროკავშირის ტიპის გაერთიანების ჩამოყალიბება სრულიად გამორიცხულია, ამიტომ, როდესაც რუსი კომუნისტები ამ ტიპის სსრ კავშირის შექმნას გვპირდებიან, ისინი უბრალოდ ან ცრუობენ, ან მხედველობაში აქვთ ადრინდელი სსრ კავშირის კოსმეტიკურად შელამაზებული მოდელი, რომელშიც „უფროსი ძმა“ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ჰეგემონი, რასაკვირველია, ისევ რუსეთი იქნება. ასეთი მტკიცება სრულიად საფუძვლიანია, თუ გავითვალისწინებთ, ჯერ ერთი, საბჭოთა პერიოდის გამოცდილებას, რომელმაც ნათლად გვიჩვენა სსრ კავშირის უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურების რუსი მოხელე კომუნისტების დიდმპყრობელური ბუნება; მეორე, რუსეთის ახლანდელი კომუნისტების მჭიდრო ალიანსს დერჟავენიკებთან, რომლებიც პატრიოტულ ლოზუნგებს ეფარებიან, და მესამე, რუსეთის სახელმწიფო დუმის კომუნისტი დეპუტატების (მაგალითად, ბაბურინი და К) დიდმპყრობელურ პოზიციას საქართველოს მიმართ. დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს ლენინისეული ის დახასიათებაც, რომლის მიხედვითაც რუსი კომუნისტები კარგად რომ გადაფხეკო, მათში ველიკორუს შოვინისტს აღმოაჩენ.

ერთი სიტყვით, კომუნისტების მიერ შემოთავაზებული ასეთი სსრ კავშირის აღდგენას არავითარი პერსპექტივა არ აქვს, რადგან ეს მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ ინტერესებს ძირეულად ეწინააღმდეგება.

მიუხედავად ამისა, რუსეთსა და დანარჩენ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთდაახლოებისა და შემდეგ ცივილურ გაერთიანებად ჩამოყალიბების შანსი მაინც არსებობს, რომლის ბირთვადაც დსთ შეიძლება იქცეს. ასეთი გაერთიანება თითოეულ მათგანს მართლაც წაადგებოდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ მისი წარმოქმნისა და არსებობის უპირველეს, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ოფიციალური რუსეთის მიერ, ბოლოს და ბოლოს, იმის გაცნობიერება, რომ იმპერიად მისი აღორძინება უკვე შეუძლებელია, ყოფილი სსრ კავშირის არარუსი ხალხების მიმართ „ბარინის“ პოზიციებიდან ურთიერთობა წარსულს სამუდამოდ ჩაბარდა და პერსპექტივა მხოლოდ მათთან ცივილიზებულ ურთიერთობათა დამყარებას აქვს. თუ რუსეთის მმართველი წრეების „ფსიქიკურ წყობაში“ ასეთი ძვრები მართლაც მოხდა, მაშინ ყოფილი სსრ კავშირის ხალხების ევროკავშირის ტიპის ერთობად ინტეგრირების პროცესის დაწყებას წინ, ალბათ, ველარაფერი დაუდგება. ყოველ შემთხვევაში, იგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს უთუოდ დაათბობს და მათი დაშორიშორების ახლანდელ პროცესს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებას მისცემს. ეს, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანას უთუოდ მრავალმხრივ დადებით შედეგებს მოუტანს და დიდად განაპირობებს მის ყოველმხრივ ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ამავე დროს, თავის მშფოთვარე სამხრეთ საზღვრებთან, სახელდობრ, ჩრდილო კავკასიის მუსულმანურ რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის ქრისტიანული, მისდამი მეგობრულად განწყობილი ძლიერი საქართველოს არსებობა, ობიექტურად, თავად რუსეთისავე სასიცოცხლო სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამება, და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სისუსტის პირობებში პრაქტიკულად ვერავინ შეაფერხებს ყოველმხრივი ინტენსიური კავშირურთიერთობების დამყარებას აღნიშნული რესპუბლიკების სეპარატისტულ ძალებსა და თურქეთს შორის, რის შედეგადაც მძლავრი იმპულსი მიეცემა ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობის აღმავლობას და ამ რეგიონიდან რუსეთის გაძევებისათვის ბრძოლას. მითითებული მოძრაობის წარმატების შემთხვევაში კი, თავისთავად ცხადია, დასაბამი მიეცემა, საერთოდ, რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლის შეუქცევად პროცესს.

ამრიგად, გამოდის, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებაში ჩვენს ქვეყანას, ფაქტობრივად, საკვანძო ადგილი ეკუთვნის, რის გამოც, ყოველმხრივ ძლიერი საქართველოს არსებობა, ობიექტურად, მართლაც რუსეთის სასიცოცხლო სახელმწიფოებრივ ინტერესებში შედის. ამიტომ, რაც უფრო სწრაფად დაიწყება მათი ურთიერთდაახლოების პროცესი, მით უკეთესი და სასარგებლო აღმოჩნდება ორივე ქვეყნისათვის. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა, რასაკვირველია, ეკუთვნის რუსეთს. კერძოდ, მის უნარს უკუაგდოს თავისი ამჟამინდელი ანტიქართული პოლიტიკა და მის ნაცვლად საქართველოსთან ცივილიზებულ ურთიერთობათა დამყარება-განვითარების კურსი აიღოს, რაც თავის სასიკეთო შედეგებს უმოკლეს დროში გამოიღებს.

**შალვა ფაჩულია,**
პოლიტოლოგი.

## პოლიცია

**საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკამ“ ამ დღეებში სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნეს: 15 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოავლინეს და დააკავეს ბოროტმოქმედთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელმაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანა 500.000 ყალბი აშშ დოლარი, საიდანაც 50.000 აშშ დოლარი გაყიდეს ნამდვილ 14.500 აშშ დოლარად.**

**მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი მონაცემებით ამ რაოდენობის ყალბი უცხოური ვალუტის ამოღების შემთხვევა დღემდე არ დაფიქსირებულა პოსტსაბჭოური სივრცის არც ერთ ქვეყანაში.**

**როგორც წინასწარი გამოძიებით დადგინდა, ბოროტმოქმედთა ორგანიზებული ჯგუფი აპირებდა შემოტანილი ყალბი ვალუტა საბანკო სისტემაში შეღწევით მოექცია ზრუნვაში და, თუ ასეთ „არხს“ გამოძებნიდა, უახლოეს პერიოდში დამატებით კიდევ 10 მილიონ ყალბ აშშ დოლარს შემოიტანდა საქართველოში.**

**შეშფოთებას იწვევს ყალბი ვალუტის დამზადების მაღალი ხარისხიც. 1997 წელს, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს თურქეთიდან შემოტანილი ას ორმოც ათასზე მეტი ყალბი აშშ დოლარი და გერმანული მარკა, ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოში სპეციალურად ჩამოსულმა ამერიკელმა და გერმანელმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ყალბი ბანკნოტები უმაღლეს დონეზე იყო დამზადებული და ისინი სპეციალურ კატალოგებში შეიტანეს.**

**ამ დღეებში ამოღებული ყალბი აშშ დოლარები კი, ექსპერტთა ერთსულოვანი აზრით, უფრო მაღალ დონეზეა შესრულებული, ვიდრე 1997 წელს ამოღებული ყალბი 100-დოლარიანი კუპიურები. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდიდა იმის საშიშროებას, რომ ყალბი ვალუტა უფრო ადვილად გაიკვლევდა გზას ფულის ბრუნვაში.**

**ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამგვარი დივერსია რა მდგომარეობაში ჩააგდებდა ჩვენი ქვეყნის საფინანსო სისტემას, ეროვნულ ვალუტას და მთელს მოსახლეობას.**

**გამოძიება, რომელსაც აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საბოლოოდ ახდის ფარდას მომხდარი დანაშაულის ყველა ასპექტს, მანამდე კი „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა სამსახურებმა როგორ განახორციელეს უაღრესად საშიში დამნაშავეთა ჯგუფის გამოვლენისა და დაკავების ნამდვილად უნიკალური ოპერაცია.**

# თუ არა ორგანიზებულობა და პროფესიონალიზმი... ნახევარი მილიონი ყალბი აშშ დოლარი რა დღეში ჩააგდებდა ჩვენს მოსახლეობას

ამ ერთი თვის წინათ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა მოიპოვეს ინფორმაცია, რომ თბილისში, ისნის რაიონში, აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლში მცხოვრებ ქალბატონს ცხინვალიდან სისტემატურად ჩამოაქვს ნარკოტიკები და ყიდის.

ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა მალე დაადგინეს ამ ქალბატონის ვინაობაც. იგი აღმოჩნდა აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩაზე, ჯიოევების სახლში მდგმურად მცხოვრები ლამარა მოდებაძე. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ეჭვმიტანილის დასაკავებლად. პოლიციის მუშაკებს იგი ნარკოტიკების შემოტანისა და მისი რეალიზაციის კონკრეტულ ფაქტზე უნდა „გამოეჭირათ“. აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩა ამიტომაც მოექცა ეროვნული ბიუროს თანამშრომლების მუდმივი ყურადღების არეალში.

2 თებერვალს ეროვნული ბიუროს უფროსმა ინსპექტორმა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა დავით არონიამ და ინსპექტორმა, პოლიციის მაიორმა შოთა ბესელიამ ფრიად საყურადღებო ინფორმაცია მოიპოვეს: აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩაზე ჩრდილოეთ ოსეთიდან მარტო ნარკოტიკები კი არა, დიდი რაოდენობით შემოიტანეს ყალბი აშშ დოლარები და ცდილობენ მის რეალიზაციასო.

მაშინვე გადამოწმდა ინფორმაცია, დადგინდა ყალბი დოლარების შემომტანთა ვინაობა და შემოტანილი თანხის ადგილსამყოფელიც — ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელის თამარ ბეკოევას ბინა. ისიც გაირკვა, რომ ეს თანხა ნახევარი მილიონი მაინც უნდა ყოფილიყო. ამ რაოდენობის ყალბი ვალუტა არასოდეს შემოსულა საქართველოში.

დაუყოვნებლივ ამუშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ სამი წლის წინათ, მინისტრის კახა თარგამაძის ინიციატივით ჩამოყალიბებული უაღრესად თანამედროვე და ეფექტიანი მექანიზმი.

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გაერთიანებული ოპერატიული სამსახურები საჭირო შემთხვევაში არა მარტო ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას, არამედ თითოეული სამსახური მობილიზებას უკეთებს თავის საუკეთესო სპეციალისტებს და ერთობლივად ახორციელებენ ყველაზე პასუხსაგებ ოპერატიულ ღონისძიებას, როგორც ლოკალურ უბანზე, ისე მთელი რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით. ძალების კონცენტრირება, მათი მოქმედების სწორად წარმართვა და კოორდინირება ყოველთვის იძლევა სასურველ შედეგს.

მინისტრის მითითებით, აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩაზე ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზაციის საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, ხოლო ყალბი ვალუტის ამოღება და მის შემომტანთა დაკავება (თანაც, აუცილებლად ყალბი ვალუტის რეალიზაციის ფაქტზე) დაეკისრა კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოს. ამ ორი ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პოლიციის გენერალმაიორს ავთანდილ ჩხაიძეს.

ვიმეორებ, არც ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და არც კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს მუშაკებისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა იმავე დღეს დაეკავებინათ, როგორც ნარკოტიკების შემოტანისა და რეალიზაციაზე ეჭვმიტანილი ლამარა მოდებაძე, ისე ყალბი ვალუტის შემომტანთა ჯგუფი. ამოეღოთ ნახევარი მილიონი ყალბი დოლარები.

მაგრამ ნამდვილი პროფესიონალები, ამგვარ ნაჩქარევ ნაბიჯს არ დგამენ. თუ ფაქტზე არ დააკავე ნარკოტიკების გამსაღებელი, ისე ეჭვმიტანილად დარჩება და კანონისა და სასამართლოს მეშვეობით „ხელიდან გაგისხლტება“. რაც შეეხება ყალბი ვალუტის ამოღებასა და ბოროტმოქმედთა დაკავებას — არც აქ ივარგებდა აჩქარება, უნდა დაზუსტებულიყო ბევრი დეტალი, მათ შორის ისიც, რა გზით, რა არხებით აპირებდნენ ყალბი ვალუტის ამ კოლოსალური თანხის რეალიზაციას.

მთელი ათი დღის განმავლობაში ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ ჩხაიძემ, კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა კახა ბაკურაძემ, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ფარეიზ ქირათელიძემ, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ, პოლიციის პოლკოვნიკმა დავით კაჭკაჭიშვილმა, მისმა მოადგილეებმა, პოლიციის პოლკოვნიკებმა გოჩა სისაურმა და ვახტანგ ელგანდაშვილმა, ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსებმა კოტე ყურაშვილმა და ფრიდონ კენკებაშვილმა, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ათობით ოპერატიულმა მუშაკმა რთულ სიტუაციაში კიდევ ერთხელ გამოავლინეს თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი მონდომება და პასუხისმგებლობა.

მუდმივ კონტროლზე იყო აყვანილი ყალბი ვალუტის შემომტანთა მოძრაობა. დადგინდა, რომ ისინი ცდილობდნენ, როგორმე შეეღწიათ საბანკო სისტემაში, რათა ამ სისტემის რომელიმე მუშაკის მეშვეობით ყალბი ვალუტის მთელი მასა ბანკში დატრიალებულიყო. საბედნიეროდ, ეს მათ ვერ მოახერხეს. ამის შემდეგ დაიწყეს ყალბი ვალუტის სხვა შემსყიდველთა ძებნა. მოძებნეს კიდეც ერთი პიროვნება. მას 50 ათას ყალბ აშშ დოლარს ღირებულების 30 პროცენტად, ე. ი. 14.500 ნამდვილ აშშ დოლარად მიჰყიდდნენ.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, „გაშიფრული“ ჰქონდა პოლიციას.

„ვაჭრობა“ 15 თებერვალს, დღის 3 საათზე, ვარკეთილის მეტროსთან მდებარე ბენზინგასამართი სადგურის წინ უნდა შემდგარიყო. დათქმული იყო, რა მარკის და სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანით მივიდოდნენ ყალბი ვალუტის გამსაღებლები და მყიდველები. ესეც, რა თქმა უნდა, უკვე ზუსტად იცოდა პოლიციამ.

დათქმული დროისათვის არც ერთ მხარეს არ გადაუცილებია. ყალბი დოლარების გაყიდვის ფაქტზე დააკავეს ორგანიზებული ჯგუფის ოთხი წევრი — თბილისელები თეიმურაზ კირვალიძეილი, რობინზონ ჭელიძე, თემურ ჯანიაშვილი და ოზურგეთის რაიონის სოფელ ოზურგეთში მცხოვრები როსტომ მეტრეველი. ყალბი 50 ათასი აშშ და 14.500 ნამდვილი აშშ დოლარი პოლიციამ იქვე ამოიღო.

ბენზინგასამართ სადგურთან ბოროტმოქმედთა დაკავებას ხელმძღვანელობდა კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ფარეიზ ქირათელიძე. მასთან ერთად იყვნენ ამ სამმართველოს უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი მერაბ მელუა, ახლად შექმნილი ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და რეალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი მალხაზ ლიპარტია და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი მერაბ აბულაშვილი. სპეციალური სამსახური აწარმოებდა დანაშაულის ფაქტზე ბოროტმოქმედთა დაკავების ვიდეო და აუდიო დაფიქსირებას.

მიიღეს თუ არა ჯგუფის წევრების დაკავების ცნობა, აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩის № 6 სახლს მიადგა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი კახა ბაკურაძე. ამ სახლში ცხოვრობდა ბოროტმოქმედთა ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი თამარ ბეკოევა. პოლიციის ინფორმაციით, მის ბინაში ინახებოდა დარჩენილი ყალბი 450 ათასი აშშ დოლარი. ბეკოევამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ის არაფერ შუაშია, მაგრამ პროფესიონალის მახვილმა თვალმა მაშინვე შეამჩნია ბინის შესასვლელში ჩერებით გაესებული ვედრო. სწორედ ამ ჩერების ქვეშ ელაგა დასტებად შეკრული ყალბი 450 ათასი აშშ დოლარი.

თამარ ბეკოევამ მაშინვე უარყო, რომ მან ჩამოიტანა ფული ჩრდილოეთ ოსეთიდან. მაგრამ ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებათა განხორციელებით მალე გაირკვა, რომ ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიის რესპუბლიკის დედაქალაქში სწორედ მან შეიძინა ნახევარი მილიონი ყალბი ამერიკული დოლარი და მის საფასურში ქ. ორჯონიკიძეში საკუთარი ბინაც დააგირავა.

დანარჩენს, ალბათ, გამოძიება იტყვის. საქმეს იძიებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფი ზაზა ყულოშვილის, გიორგი ბიწკინაშვილის, ლევან წერეთელისა და ირაკლი ხუცურაულის შემადგენლობით.

სწორედ იმ წუთებში, როცა მთავრდებოდა ყალბი ვალუტის ამოღებისა და ორგანიზებული ჯგუფის წევრების დაკავება (ბეკოევას გარდა, პოლიციამ დააკავა მისი კიდევ ერთი თანამზრახველი, თბილისელი ნანა იმერლიშვილი), ასიოდე მეტრის დაშორებით, იმავე აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩაზე, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლები ბიუროს თავმჯდომარის მოადგილის, პოლიციის პოლკოვნიკ გოჩა სისაურისა და საერთაშორისო და რეგიონული ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ ფრიდონ კენკებაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით აგვირგვინებდნენ მეორე ოპერატიულ ღონისძიებას.

მათ დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ახალგაზრდა. იგი აღმოჩნდა თელავის რაიონის სოფელ ართანის მცხოვრები ავთანდილ ქეეხიშვილი. იგი თელავის რაიონის პოლიციის მიერ იძებნებოდა რამდენიმე ყაჩაღობის ჩადენის გამო. ავთანდილ ქეეხიშვილს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 0,2 გრამი ოპიუმი. გაირკვა, რომ ეს ნარკოტიკი მან აეროდრომის დასახლების მე-6 ქუჩაზე მცხოვრებ ლამარა მოდებაძისაგან შეიძინა. ახლა უკვე აღარაფერი უშლიდა ხელს ნარკოტიკების კონტრაბანდასა და რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ქალბატონის დაპატიმრებას.

მისი ბინიდან პოლიციელებმა კიდევ 5 პაკეტი და 20 გრამი ოპიუმი ამოიღეს. ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებათა განხორციელებით დადგინდა, რომ ლამარა მოდებაძემ ცხინვალში 1000 აშშ დოლარად იყიდა 100 გრამი ოპიუმი და თბილისში ჩამოიტანა გასაყიდად. წვრილ „ჩეკებად“ დაფასოებული ნარკოტიკის გასაღებისას თითოეულ გრამში 50 დოლარი მოგება რჩებოდა.

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წამყვანი სამსახურების ერთობლივად განხორციელებული ოპერაცია ბევრ პოზიტიურ გარემოებაზე მიუთითებს. უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულად მოქმედებს ძალების კონცენტრაციისა და მართვის სისტემა, ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში რიგითი ინსპექტორიდან დაწყებული სამსახურების ხელმძღვანელებით დამთავრებული, თითოეული მუშაკი იჩენს მაღალ პასუხისმგებლობას, ორგანიზებულობასა და პროფესიონალიზმს. მათ დიდი სკოლა აქვთ გამოვლილი. ამ წერილში დასახელებული ხელმძღვანელი და რიგითი თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობდა შეიარაღებული ფორმირებებისა და კრიმინალური დაჯგუფებების თარეშის აღკვეთაში, 29 აგვისტოსა და 9 თებერვლის ტერორისტული აქტების მონაწილეთა გამოვლენასა და დაკავებაში...

ფაქტს ვერსად გავექცევით, ჩვენისთანა ოპერატიულ მუშაკებს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა.

**ვალერიან გოგოლაშვილი,**
შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მრჩეველი-სპეციალისტი.

**P. S. 22 თებერვალს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი. აშშ ხელისუფლება, როგორც წესი, სასწრაფოდ რეაგირებს რომელიმე ქვეყანაში ყალბი ამერიკული დოლარების დიდი რაოდენობით გამოჩენაზე და შესაბამის ღონისძიებებსაც ახორციელებს ყალბი ვალუტის დამზადების პირველწყაროს დასადგენად. ამერიკა ძალიან უფრთხილდება საკუთარი ვალუტის სიმყარესა და პრესტიჟს.**

**ამერიკელი ექსპერტები იმავე დღეს შეხვდნენ შსს საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფის წევრებს, გაეცნენ გამოძიების მასალებს. დაადასტურეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოტანილი ყალბი აშშ დოლარების კუპიურები ნამდვილად მაღალ დონეზეა შესრულებული და მით უფრო საშიშია მათი გავრცელება.**

**რაც შეეხება ქართველი სამართალდამცავების მიერ ამოღებული ყალბი დოლარების რაოდენობას — ნახევარ მილიონს, თურმე მსოფლიოში მეორე ადგილზე ვართ. ამ რამდენიმე წლის წინათ, იტალიაში ამოუღიათ 1 მილიონი ყალბი აშშ დოლარი, ნახევარ მილიონიან ზღვარს კი საქართველოს გარდა, დღემდე მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ მიახლოვებია.**

**ამერიკელმა სპეციალისტებმა გამოთქვეს მზადყოფნა, დაეხმარონ საქართველოს სამართალდამცავებს ყალბი ვალუტის პირველწყაროს დადგენაში.**



### სერგო ესაკია ლონდონში იმყოფება

კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი სერგო ესაკია ლონდონში იმყოფება.

იგი შეხვდება სხვადასხვა ფირმებისა და კორპორაციების ხელმძღვანელებს. შეხვედრების თემა კავშირგაბმულობის დარგის განვითარების საკითხები და ტექნოლოგიები იქნება. ეს შეხვედრა არა მარტო სატელეფონო სისტემებს, არამედ ტელერადიოკომუნიკაციებსაც ეხება.

### ტენდერი ნებისმიერ შემთხვევაში გამოცხადდება

„თბილისი-ახალციხე-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება პირველ ეტაპზე 600 მლნ აშშ დოლარი დაჯდება, რომლის დაფინანსებაზე პასუხისმგებლობას თურქეთი აიღებს“, — განუცხადა გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მთავარი ინჟინრის მოადგილემ თორნიკე კუპატაძემ.

1998 წლის აპრილში პროექტის განხორციელებაზე გამართული ტენდერი შეჩერდა დახურულად. საქართველოში იგი უკანონოდ არ შედგა, თუმცა, დაინტერესება 12-მა კომპანიამ გამოთქვა. გამარჯვებულის გამოვლენა თურქეთმა ვერ მოახერხა, ამჯამად თურქული მხარე შემოიტანს წინადადებას პროექტის ორივე ქვეყანაში განხორციელების ერთიანი ტენდერის გამართვის შესახებ. საგარანტიო წერილს 600 მლნ აშშ დოლარზე (400 მლნ დოლარი — თურქეთის მხარის, 200 მლნ — საქართველოს) თურქეთის მთავრობა გასცემს. პასუხისმგებლობა მის განხორციელებაზე კი თურქეთის რკინიგზების, ნავსადგურების და აეროპორტების დირექციებისა და მშენებლობის დეპარტამენტ დაეკისრება.

### კი შესრულდა, მაგრამ...

ყვარელი. წლის დამდეგისათვის დამახასიათებელი დიდი სიძნელეების მიუხედავად, რაიონმა შემოსავლების გეგმა — 139,8 პროცენტით შეასრულა. კერძოდ, ნავარაუდევი 49,6 ათასი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შეტანილია 79,3 ათასი ლარი, თუმცა მასში ძალზე მცირეა საგადასახადო სამსახურის მიერ ამოღებული თანხა.

ამ პრობლემას მიეძღვნა რაიონის გამგეობასთან გამართული საგანგებო თათბირი, რომელზეც გაანალიზეს არსებული ვითარება და დასახეს სამომავლო გეგმები, რომელთა უცილობლად უნდა უზრუნველყოს თებერვლის დავალებათა შესრულებაც და შემდგომში შექმნას საბიუჯეტო დავალებათა სტაბილური რეალიზაციის მყარი საფუძველი.

### 24 თებერვალს ფოთს ეწვიენ

აშშ საზღვაო საზღვრის დაცვის სპეციალისტები ნავსადგურების უსაფრთხოების სფეროში ქართველი მესაზღვრეებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით 24 თებერვალს ფოთს ეწვივნენ. — აცნობს პრაიმ-ნიუსს საქართველოს სასაზღვრო ძალების პრესსამსახური.

ამერიკელი სპეციალისტები თბილისში 21 თებერვალს ჩამოვიდნენ. მათ პირველი სემინარი უკვე გამართეს თემაზე: „ნავსადგურისა და ტერმინალის უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“. შემდგომ რამდენიმე დღეში, ქართველ კოლეგებთან ერთად განიხილავენ ფოთის ნავსადგურის და სუფსის ტერმინალის, ხაზმულეთი და სანაპირო დაცვის უსაფრთხოების ოპერაციებს.

ამერიკელი ოფიცრები, ლეიტენანტი როჩარდ პრუდი — აშშ საზღვაო საზღვრის დაცვის უსაფრთხოების სამსახურიდან და ლეიტენანტი ტოდ ოუენი — საზღვაო საზღვრის დაცვის განყოფილებიდან საქართველოში 4 მარტამდე დარჩებიან.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საინფორმაციო, პრაიმ-ნიუსმა და გეამ.**

# ხიდი KÖPRÜ

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 25 (76)


ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA
DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

## ვიზიტი



## კვლავ კეთილ მეზობელთან

დღეს, 26 თებერვალს თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად მიემგზავრება საქართველოს დელეგაცია ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. 27-28 თებერვალს დაგეგმილია ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებზე ხელმოწერა. როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. ამასთან დაკავშირებით გაიმართება საზეიმო ცერემონია და ა. შ.

მასალებს ამ ვიზიტის შესახებ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

## თურქეთის რესპუბლიკა

## პრეზიდენტს რწმუნების სიგელები გადასცეს

ამა წლის 27 იანვარს, თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტარიელ ლებანიძემ რწმუნების სიგელები გადასცა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს. საქართველოს საელჩოს თანამშრომლებმა თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან სამახსოვრო სურათი გადაიღეს.



## პრესის ფურცლებზე

### ბიულენთ ეჯევითის მთავრობამ ხმების რეკორდული რაოდენობა მიიღო

ბიულენთ ეჯევითის მიერ შექმნილმა მემარცხენე-დემოკრატიულმა პარტიის მთარობამ თურქეთის პარლამენტში 306 ხმა მიიღო, 188 დეპუტატმა ხმა მისცა წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა. 43 დეპუტატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. რესპუბლიკური-სახალხო პარტიის სამმა დეპუტატმა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის გადაწყვეტილების მიუხედავად, ხმა მისცა ეჯევითის მთავრობას. რესპუბლიკის პარლამენტის ისტორიაში პირველად გამოიყენეს ელექტრონული სისტემა. კენჭისყრა 10 წუთში დამთავრდა.

**ყველა გაზეთი 18, 2, 99.**

### „პატრიოტის" ტიპის რაკეტული სისტემები ინჯირლიქში ჩამოიტანეს

როდესაც აშშ ერაყში სამხედრო ობიექტების დაბომბვა დაიწყო, ერაყის მხრიდან საპასუხო თავდასხმის მოსაგერიებლად თურქეთმა ვაშინგტონს „პატრიოტის" ტიპის რაკეტული სისტემები მოსთხოვა. ეს რაკეტები უკვე ჩამოიტანეს ინჯირლიქში, სადაც მდებარეობს ნატოს სამხედრო-საჰაერო ბაზა.

**გაზეთი „ჯუმჰურიეთი", 22, I, 99.**

### წესების დარღვევა დაუშვებელია

„რჯული ხელიდან გვეცლება, ჩვენ თუ არ ავვირჩევთ, თავსაფრის ტარებას აკრძალავენ", – ამგვარი განცხადებები გაისმის საარჩევნო კამპანიაში. პოლიტიკური მიზნით რელიგიური თემების ბოროტად გამოყენება უნდა აღიკვეთოს, – თვლის მოწინავე ინტელიგენცია. გენერალური შტაბის უფროსმა ამის გამო თავისი შეშფოთება პრეზიდენტ დემირელს გაუზიარა. რამდენიმე ხნის წინათ თავის სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა პოლიტიკოსები გააფრთხილა: „პოლიტიკური პარტიები გარკვეული კანონებისა და წესების ჩარჩოებში მოქმედებენ, ამ წესების დარღვევა დაუშვებელია".

**გაზეთი „ჰურიეთი", 27, I, 99.**

### ლალე აითამანი ევროსაბჭოს კომისიის თავმჯდომარე

დედასამშობლოს პარტიის წევრი, თურქეთის პარლამენტის დეპუტატი **ლალე აითამანი** აირჩიეს ევროსაბჭოს პარლამენტართა საბჭოს გარემოს, რეგიონული დაგეგმვისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების კომისიის თავჯდომარედ.

**ყველა გაზეთი, 27, I, 99.**


იხ. მე-6 გვ.


## მოამაგე



## ქართული ეკლესია-მონასტრების ჭირისუფალი

ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1998 წლის 11-14 ივნისს გაიმართა აღმოსავლეთმცოდნეთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია. მრავალეროვან მონაწილეთა შორის ერთი საშუალო ასაკის კაფანდარა ქალი, თითქოს საყვარელი კლასიკური მუსიკააო, ისე უსმენდა ქართულ ენაზე საუბარს. იგი აღმოჩნდა თურქი ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონი **მინე კადიროღლუ-ლიობე**. მან პლენარულ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ტაო-კლარჯეთში მიმდინარე უახლესი კვლევაძიებების თაობაზე. მოხსენებით დაინტერესებული პირები ვერ დაიტია უნივერსიტეტის ე. წ. „მწვანე დარბაზმა". უმრავლესობა ფეხზე მდგარი, კედელს მიყრდნობილი მისჩერებოდა სლაიდებზე აღბეჭდილ ფეოდალური ხანის განუმეორებელ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და ისმენდა მეცნიერის ძუნწ, მაგრამ მართალ სიტყვას არქიტექტურული ფორმებისა და ნაგებობათა დანიშნულების შესახებ.

ნანახმა და მოსმენილმა ძეგლებთან მისვლის, თვალის შევლებისა და ხელის შეხების დაუოკებელი სურვილი გააცხოველა. ამასთან საოცარი სიმშვიდეც მოიტანა. აშკარა გახდა, ქალბატონ **მინე კადიროღლუ-ლიობეს** სახით ტაო-კლარჯეთის ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს თურქეთში ქომაგი და მზრუნველი გაუჩნდა. რაც მთავარია, ასეთი მომავალშიც ეყოლება მისი მოწაფეების სახით. ერთი მათგანი, ქალბატონი **ფაჰითე ბაირამი** საგანგებოდ სწავლობს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, ეუფლება ქართულ ენას.

ქალბატონმა მინე კადიროღლუმ ქუთაისში პროფესიული ინტერესით მოინახულა ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი. მოჩუქურთმებულ თაღებსა და კედლებთან იგი დიდხანს იდგა გარინდებული. პარალელს თუ ავლებდა მისთვის ასე კარგად ნაცნობ ოშკის, ხახულის, იშხანის, პარხალის, ბერთას, ბანას და სხვა ეკლესია-მონასტრებთან, ყველა დეტალის ფირზე აღბეჭდვას ცდილობდა.

ამჯერად ქალბატონი მინე საქართველოში მეორედ ჩამოვიდა. პირველად მას ავადმოსაგონარ 1991 წელს მოუხერხებია ჩამოსვლა ავსტრიელ ტურისტებთან ერთად. მაშინ მათ მარათონული ტემპით მოუვლიათ თბილისი და მისი შემოგარენი. უკან დროზე ადრე გაბრუნებულან. ნანახს მხოლოდ გაუღვივებია ქალბატონ მინეს ინტერესი და საქართველოში უფრო დიდი ხნით ყოფნა ყოველდღიურ ოცნებად გახდომია, რომლის ასრულება ნაწილობრივ ახლა შეძლო. ქუთაისიდან თბილისში წამოვიდა. აქ ჩვენმა თურქოლოგებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა უმასპინძლეს, პირადად გაიცნო ბატონი ვახტანგ ბერიძე. მოხსენება წაიკითხა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ვიზუალურად წარმოადგინა ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესია-მონასტრების დღევანდელი სახე, დაათვალიერა სვეტიცხოველი და სამთავისი, ჯვარი და ანანური. ივნისის ბოლოს ფოტოსურათებით, ბუკლეტებით, წიგნებით, სპეციალისტებთან საქმიანი და თბილი შეხვედრებით გამდიდრებული დაუბრუნდა თურქეთს. ახლა მან ბევრად უკეთ იცის, რა სულმა აამაღლა, ვინ ააშენა და ვინ დაამშვენა ბებერი ტაო, ძველი შავშეთი და კლარჯეთი.

ქალბატონ მინე კადიროღლუ-ლიობეს დამთავრებული აქვს ამერიკული ლიცეუმი სტამბოლში და ანკარის ლაზის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სადაც დასპეციალდა ლათინურსა და კლასიკურ არქეოლოგიაში. ქართულ არქიტექტურულ ძეგლებთან ერთმა უბრალო შემთხვევამ მიიყვანა და სამუდამოდ დააკავშირა. ხელმძღვანელმა აჩვენა რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის მიერ 1986 წელს ლაიფციგში დაბეჭდილი წიგნი „საქართველოს სიმაგრეები და ეკლესიები". „ამ წიგნმა ჩემი ბედი გადაწყვიტა, – იგონებს ქალბატონი მინე, – როდესაც გავიგე, რომ ქართული ძეგლების სახით ასეთი განძი იყო თურქეთში, ვთქვი, მე ამ ძეგლებს უნდა მივუძღვნა ჩემი ცხოვრება-მეთქი". მაშინვე მიაშურა შავშეთსა და ტაო-კლარჯეთს. ნანახმა აღაფრთოვანა და კიდევ უფრო გაუძლიერა ინტერესი. მოიძია და შეისწავლა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ არსებული ლიტერატურა. გადაიღო, აზომა და ჩაიხატა დიდი თუ მცირე ძეგლი. და უკვე 1991 წელს მაინის ფრანკფურტში ინგლისურ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველოს არქიტექტურა – იშხანის ეკლესია".

ქალბატონ მინეს ვუსურვებთ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან უფრო მჭიდრო კონტაქტს, მის კეთილშობილურ საქმიანობაში კი დიდ წარმატებას.


**ცისანა აბულაძე,**
პროფესორი

**ლია ჩლაიძე,**
დოცენტი.


### GÜRCİSTANIN TARİHİ ESERLERİ İNCELENİYOR

Gürcistan'ın ikinci önemli şehri Kutaisi'de Doğu Bilimleri İkinci Uluslararası Konferansı düzenlendi. Konferansın evsahipliğini Kutaisi şehrinin Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi yaptı. Konferans'ta diğer konuşmacıların arasından misafir konuşmacı olarak Türk vatandaşı Mine Kadiroğlu'da söz aldı. Kadıroğlu Türkiye'de olan Gürcü Tarihi eserleri hakkında konuşma yaptı. Bu arada Kadıroğluna ait basımı yapılmış olan Almanya'nın Frankfurt Şehrinde ingilizce "Gürcistan Mimarlığı-İşhanı Kilisesi" kitabı yayınlandı. Ayrıca Mine Kadıroğlu Türkiye'de bulunan Gürcü mimari eserleri araştırmaya devam ediyor.

# პრესის ფურცლებზე

## აბდულა ოჯალანს გაასამართლებენ

საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ბურაკ გიურსელმა** ტელევიზიით განაცხადა, რომ დაპატიმრებული **აბდულა ოჯალანი** ახლა თურქეთის საპატიმროშია, მიმდინარეობს მისი დაკითხვა. თურქეთი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოა და არავის აქვს უფლება ჩაერიოს სასამართლო პროცესში.

## მოსახლეობის ზრდის ტემპი მცირდება

თუსიადის (თურქეთის მრეწველთა და ბიზნესმენთა საზოგადოება) ინიციატივით მეცნიერთა ჯგუფმა ჩაატარა დემოგრაფიული გამოკვლევა, რომლის შედეგად მოამზადეს მოხსენება თურქეთის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდის პერიოდი წარსულს ჩაბარდა, ოცნება 100-მილიონიანი თურქეთის შესახებ, უახლოეს მომავალში ვერ განხორციელდება. მოხსენების მიხედვით, ამჟამად მოსახლეობის წლიური ზრდა 1,4 პროცენტის ფარგლებშია. 25 წლის განმავლობაში ზრდა ათას სულზე 8-მდე და უფრო მეტად შემცირდება და 2050 წლისათვის ნოლამდე დაეშვება.

**ყველა გაზეთი, 14, 1, 99.**

## „საშინელი აღიარება“

ბავარიის მხარის პრემიერ-მინისტრმა შტოიბერმა, რომელიც გერმანიაში ორმაგი მოქალაქეობის წინააღმდეგია, განაცხადა, რომ გერმანიაში მცხოვრები ქურთ მუშათა პარტიის წევრი, 11 ათასი ტერორისტიც ორმაგი მოქალაქეობის მიღებას შეეცდება. ამ რიცხვის სულ მცირე ნახევარი გერმანიის მოქალაქე გახდება. ამ განცხადებამ ანკარაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. თურქეთში შტოიბერის სიტყვები „საშინელ აღიარებად“ შეაფასეს.

**გაზეთი „ჰურიეთი“, 16, I, 99.**

## ზულფუ ლივანელი კენჭს იყრის სტამბოლში, ჰიქმეთ ჩეთინი—ანკარაში

ცნობილი მწერალი და ხელოვანი ზულფუ ლივანელი რესპუბლიკური სახალხო პარტიის ლიდერის დენიზ ბაიკალის სურვილის თანახმად წამოყენებულია პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად და კენჭს იყრის სტამბოლის პირველ საარჩევნო ოლქში. პარლამენტის თავმჯდომარე ჰიქმეთ ჩეთინი კი კენჭს იყრის ანკარის პირველ საარჩევნო ოლქში.

**ყველა გაზეთი, 27, I, 99.**

## თურქეთი მხარს არ უჭერს ერაყის დანაწევრებას

მიმდინარეობს საჰაერო სამხედრო ოპერაციები ერაყის წინააღმდეგ. თურქეთი ამ დროს აგრძელებს თავის ძალისხმევას, რათა ხელი შეუშალოს ერაყის დანაწევრებას. თურქეთს სურს, რომ ერაყი დაემორჩილოს გაერთიანებული ერების გადაწყვეტილებებს, გაუქმდეს ამ ქვეყნის მიმართ შემოღებული ემბარგო, ჩრდილოეთ ერაყსა და ბაღდადს შორის გაიმართოს დიალოგი.

პრემიერ-მინისტრმა ბიულენთ ეჯევითმა არაერთხელ გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება ერაყის დანაწევრების თაობაზე. „თურქეთი არ მიიღებს მონაწილეობას თავის მეზობელი ქვეყნის ხელისუფლების შეცვლაში“, – განაცხადა მან.

**გაზეთი „ჯუმჰურიეთი“, 27, I, 99.**

## „ბეშიქთაში“ მეოთხედფინალში

კალათბურთში ევროპის თასზე „ბეშიქთაში“ პირველად გავიდა მეოთხედფინალში.

**გაზეთი „მილიეთი“, 22, I, 99.**

## თვითმკვლელობებში ტელევიზიას ადანაშაულებენ

მძიმე ცხოვრება, უიმედობა, ხელმოცარულობა, მომავლის წინაშე შიში, აკადემიური წარუმატებლობა და სხვა მსგავსი მოვლენები განსაკუთრებით ძლიერ ზემოქმედებას ახალგაზრდებზე ახდენს. უკანასკნელ სამ თვეში მხოლოდ სტამბოლში თვითმკვლელობის 134 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, აქედან 74 სიკვდილით დასრულდა, სპეციალისტების აზრით, საზოგადოების სულიერ დეპრესიის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ტელევიზია. სადისტურ ფილმებთან ერთად საინფორმაციო მასალების სისხლიანი კადრები საერთოდ და განსაკუთრებით ბავშვებში იწვევს ფსიქიკურ მოშლილობას.

**გაზეთი „მილიეთი“, 27, I, 99.**

## რუსეთი თურქეთის ეკონომიკის დოპინგის როლში

„ჩანთოსანი“ რუსების თურქეთში დაბრუნებამ თურქეთის ბაზარს 2 დღეში 463 ტრილიონი ლირა მოუტანა. ამ ფაქტმა კარგ გუნებაზე დააყენა თურქეთის მცირე ბიზნესის წარმომადგენლები. რუსეთის გემები, რომლებსაც ლალელის (კვარტალი სტამბოლში) მაღაზიები, ექვს თვეს მოუთმენლად ელოდნენ, ბოლოსდაბოლოს ჩამოვიდნენ. ერთი კვირის განმავლობაში სალიფაზარს მიადგა 16 გემი. „ჩანთოსანმა“ მოვაჭრეებმა 40 მილიონი დოლარის საქონელი შეიძინეს. რუსები იძენდნენ არა მარტო საფეიქრო ნაწარმს და ფართო მოხმარების პროდუქციას, არამედ ავტომანქანებსაც. კადიოქოის თავისუფალ ზონაში 19 ათას დოლარად შეიძინეს იაპონიიდან 15 ათას დოლარად შემოტანილი ავტომობილები. რუსებმა ერთი კვირის განმავლობაში იყიდეს 100 ავტომანქანა.

**გაზეთი „საბაჰი“, 17, I, 99.**

## თურქეთი ზამთრის ტურიზმის ქვეყანა ხდება

2000 წლისათვის თურქეთში ზამთრის ტურიზმისათვის განკუთვნილი სასტუმროების სიმძლავრე 10.000 საწოლს მიაღწევს.

**გაზეთი „საბაჰი“, 22, I, 99.**

## ეჯე ერქენი: „სიამოვნებით ვითამაშებ ქართულ კინოფილმში“

ეჯე ერქენი ჯერ კიდევ 20 წლისაა, მაგრამ უკვე თურქეთის ცნობილი კინოვარსკვლავი, რადიოსა და ტელევიზიის პროგრამის პოპულარული წამყვანია. იგი თორმეტი წლის იყო, როდესაც რადიოში დაიწყო მუშაობა. რადიოსა და ტელევიზიაში მუშაობამ მას პოპულარობა მოუტანა. **ეჯე ერქენი** თურქეთში ძალიან უყვართ, მას ხალხი საკუთარი ოჯახის წევრად თვლის. მშობლებს



თავიანთი შვილებისათვის მაგალითად ეჯე მოჰყავთ. ეჯე დიდად აფასებს თავის მსმენელებისა და მაყურებლების მისადმი ასეთ განწყობას და არ ფიქრობს ტელევიზიისა და რადიოს მიტოვებას. იგი ბევრ წინადადებას იღებს კინოსერიალებსა და კლიპებში მონაწილეობის თაობაზე, მაგრამ თითქმის ყოველთვის უარს აცხადებს, მას უფრო სერიოზული კინოფილმები იზიდავს, „თუ იქნება სერიოზული პროგრამა, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ქართულ ფილმში, – განაცხადა ეჯე ერქენმა.

**ჟურნალი „ტელე შამდამი“.**

თარგმნეს
**მურმან და გიორგი ბელთაძეებმა.**

**YENİ OKUL AÇILDI**

**15 Şubat'ta Hulo ilçesine bağlı Tunadzeebi Köyünde yeni orta okul açıldı. Okulun 136 öğrencisi ile Hulo ilçesine bağlı yüksek dağlardaki 5 köye hizmet edeceği belirtildi. 60 yıl önce yapılmış olan ahşap binanın standartlara uygun olmaması sebebiyle yeni okulun inşaatın geçen yılın Ağustos ayında başladı. Okulun yapımını Acaristan Hükümeti finanse ederken, inşaatın yapılmasına 5 köyün nufusu (ahali,halkı) katıldı.**

## კონტაქტები

# საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების ხუთი წელი

## 7. სამეცნიერო თანამშრომლობა

ქართველ და თურქ მეცნიერებს შორის სამეცნიერო ურთიერთობების გააქტიურება ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ დროს დაიწყო. მეცნიერთა კონტაქტები, უპირველესად, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების სასიცოცხლო პრობლემებს შეეხო. ასე, მაგალითად, 1989 წლის ივნისში თურქეთის სამეცნიერო წრეების მიწვევით, რომელსაც წინასწარი მოლაპარაკებები უძღოდა, ქართველი გეოლოგებისა და გეოფიზიკოსების ერთი ჯგუფი, აკადემიკოს მერაბ ალექსიძის ხელმძღვანელობით არზრუმის უნივერსიტეტს ეწვია. მხარეთა შეთანხმებით მათ შეხვედრას ესწრებოდნენ რომის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით შეიმუშავეს ორივე ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი ორი ხელშეკრულება. პირველი ხელშეკრულების საფუძველზე არზრუმის უნივერსიტეტთან შეიქმნა მიწისძვრის შემსწავლელი ცენტრი, ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით დამონტაჟდა სპეციალური აპარატურა, ართვინსა და არზრუმში დაარსდა სეისმოლოგიური სადგურები.

ამ სამეცნიერო ცენტრებსა და სადგურებში დაიწყო აღმოსავლეთ ანატოლიის გეოლოგიურად აქტიური ზონის ერთობლივი სეისმოლოგიური კვლევა, სპეციალური სამეცნიერო მეთოდიკის შემუშავება. ქართველმა მეცნიერებმა ადგილობრივი კადრების მომზადებაც იკისრეს. ქართველმა და თურქმა მეცნიერებმა დაამუშავეს და ევროპის ქვეყნების სპეციალურ ჟურნალებში გამოაქვეყნეს არაერთი გამოკვლევის შედეგი.

მეორე ხელშეკრულება დაიდო აღმოსავლეთ ანატოლიისა და კავკასიის რეგიონების ერთობლივი გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევის მიზნით. ერთობლივმა მუშაობამ მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა საქართველო-თურქეთს საზღვარს იქით, „მეორე მხრიდან“ შეესწავლათ ერთიანი კავკასია – აღმოსავლეთ ანატოლიის გეოლოგიური რეგიონის სეისმოლოგიური და ტექნიკური პროცესები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსალოდნელ მიწისძვრათა პროგნოზისათვის.

უფრო ადრე, წლის დასაწყისში შეიქმნა ქართველ-თურქ მეცნიერთა ერთობლივი ჯგუფი. ჯგუფმა შეიმუშავა პროექტი შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის ეკოლოგიურ თავისებურებათა შესწავლის მიზნით, კერძოდ, დაიგეგმა ჩვენი ქვეყნებისათვის სასიცოცხლო არეალის ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მიზეზების შესწავლა. სამუშაო რეგიონად განისაზღვრა ფსოუ-სარფი-სინოპის ზოლი. დაიგეგმა 12 ერთობლივი ექსპედიციის მოწყობა. პროექტის მონაწილეებად განისაზღვრა **ტრაპიზონის** შავი ზღვის შემსწავლელი ტექნიკური უნივერსიტეტის **სურმენეს** ზღვის კვლევისა და ტექნოლოგიის უმაღლესი სკოლა (თურქეთი), საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრი (**ბათუმი**), საქართველოს ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. პროექტის განხორციელებისათვის საქართველომ გამოყო ორი სამეცნიერო-კვლევითი გემი „ტაო“ და „ფადიმე გოგიტიძე“.

საქართველო-თურქეთის ერთობლივმა ეკოლოგიურმა ცენტრმა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული **იუნესკოს** საერთაშორისო პროგრამის **„MAB“** („ადამიანი და ბიოსფერო“) ფარგლებში მოქმედებდა, საქართველოს ეროვნული კომიტეტის დავალებით, შეიმუშავა საერთო ღონისძიებათა პაკეტი.

სექტემბერში ანკარის უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია „შავი ზღვის ქვეყნების გეოლოგიური პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობდა ქართველ გეოლოგთა ჯგუფი ხუთი კაცის მონაწილეობით.

1992 წლის მიწურულს, თურქეთში გაიმართა შავიზღვისპირა ქვეყნების გეოლოგების, გეოფიზიკოსების და ეკოლოგების სამეცნიერო ფორუმი. საქართველოს, თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთისა და მოლდავეთის მეცნიერებმა ერთი კვირის მანძილზე, განიხილეს საკითხების ფართო სპექტრი: აპენინის ნახევარკუნძულის, ბალკანეთისა და კავკასიის გეოლოგიური აგებულებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევის, ნავთობისა და გაზის საბადოების, სხვადასხვა სასარგებლო მადნეულის ძიების, არატრადიციული ელექტრორესურსების ათვისების, პლანეტის ამ ზონაში მიწისძვრების მომასწავებელი ნიშნების გამოკვლევის შესახებ. ფორუმზე ქართველმა მეცნიერებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტს წარმოადგენდნენ, ისაუბრეს არა მარტო ქართველ სპეციალისტთა მიღწევებზე, არამედ ამიერკავკასიისა და აპენინის ნახევარკუნძულზე გეოფიზიკისა და გეოლოგიის აგებულების შესწავლის დარგში თურქ კოლეგებთან მათი ერთობლივი ნამუშევრების შედეგებზეც. ქართველმა სპეციალისტებმა მოაწყვეს სამეცნიერო ექსპედიციები საქართველო-თურქეთის საზღვრიდან წითელი ზღვის ნაპირებამდე და ერაყამდე. მეორე ექსპედიციამ თურქეთის საზღვრებშიც შეაღწია. ჩვენი მეცნიერების დახმარებით თურქეთის ტერიტორიაზე მოეწყო რამდენიმე სტაციონარული სეისმური სადგური და სხვ.

იხ. მე-7 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №261, 303, 321 (1997), 23, 46, 73, 101, 130, 157, 185, 218, 247, 280, 308, 334 (1998), 24 (1999), დამატება „ხიდი“ №9-24.

## კონტაქტები

# საქართველო-თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების ხუთი წელი

## 7. სამეცნიერო თანამშრომლობა

(მეექვსე გვერდიდან)

1992 წლის 26-28 ოქტომბერს, თურქეთის ქალაქ **კონიაში** გაიმართა ოსმალური აღწერის დავთრების შესწავლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. იგი მოაწყო და დააფინანსა **კონიის** სელჩუკთა უნივერსიტეტისა და **ერლანგენის** უნივერსიტეტის ა. ჰუმბოლდის ფონდმა.

მის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 30-მდე ცნობილი თურქოლოგი. საქართველოდან მიწვეული იყვნენ პროფესორები ცისანა აბულაძე და მიხეილ სვანიძე, რომლებიც შესაბამის თემებზე მოხსენებებით გამოვიდნენ.

სიმპოზიუმის დასკვნით სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად შეიქმნა დავთრებზე მომუშავე სპეციალისტთა საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს. გადაწყდა, აგრეთვე, საერთაშორისო სიმპოზიუმების რეგულარულად გამართვა.



ქალაქ კონიაში.

ქართველი და თურქი მეცნიერების სამეცნიერო კონტაქტები თანდათანობით გაფართოვდება. 1993 წლის გაზაფხულზე ბათუმში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც საქართველოსა და თურქეთის სამეცნიერო ურთიერთობებს მიეძღვნა.

მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია იმ ხანად ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის აზიზ ახვლედიანის, უნივერსიტეტის კათედრის გამგის აბელ სურგულაძის, პროფესორ ფრიდონ სიხარულიძის მოხსენებებმა.

თურქეთის ტერიტორიაზე შავი მეტალურგიის კერების ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობას მიეძღვნა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით ხახუტაიშვილის მოხსენება. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ოთარ გოგუაძე, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე და სხვები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა თურქეთის ვიცეკონსულმა ბათუმში რიფად ქართალმა.

ყოველი ქართველისათვის ახლობელი და მრავლისმთქმელია ტაო-კლარჯეთი, ძეგლები: ოშკი, ხახული, დოლისყანა, იშხანი, ოთხთა ეკლესია, პარხალი, ოპიზა... სწორედ აქეთკენ აიღო გეზი 1993 წლის ბოლოს ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფმა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ნოდარ ჯანბერიძის ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ ადრე, 1902, 1907 და 1917 წლებში ტაო-კლარჯეთის ამ მხარეში ერთ-ერთმა პირველმა მოაწყო ექსპედიციები დიდმა მამულიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც ძეგლების საერთო აღწერილობა და აზომვები დაგვიტოვა. ტაო-კლარჯეთის ძეგლებს სოლიდური ნაშრომები მიუძღვნეს აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ, ფრანგმა ცოლ-ქმარმა ტიერებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ, პროფესორმა პარმენ ზაქარაიამ და სხვ.

აი, რას წერდა ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის შესახებ მისი ხელმძღვანელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აწ განსვენებული, პროფესორი ნოდარ ჯანბერიძე:

„ატობუსით, წინასწარ შემუშავებული მარშრუტით, ათი დღის განმავლობაში მოვიარეთ იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, პარხალი, ტბეთი, ოპიზა, დოლისყანა. მხოლოდ თითო დღით მოგვიწია მუშაობა თითოეულ ძეგლზე. მათი უშუალო ნახვის დროს აღტაცებას ვერ ვფარავდით. რად ღირს თუნდაც იშხანი და ოშკი. ეს დიდებული ნაგებობანი მართლაც განუმეორებელ შთაბეჭდილებებს ახდენენ ფორმათა მონუმენტურობით, შიდა სივრცის გრანდიოზული მასშტაბებით. ხელოვნებათა სინთეზი, რაც არქიტექტურასთან ფრესკების, ქანდაკებებისა და დეკორის ელემენტების ჰარმონიული შეხამებით არის განპირობებული, მართლაც უნიკალურია...

თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლა სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს. გაიზარდა ტაო-კლარჯეთის მხარეში ტურისტების მოგზაურობა, მეცნიერული ექსპედიციების მოწყობა, კინოს მოღვაწეებისა და ჟურნალისტების სტუმრობა, რასაც შედეგად მოჰყვა ახალი მეცნიერული წიგნებისა და სტატიების, ჟურნალისტური ნარკვევების გამოქვეყნება, დოკუმენტური ფილმის შექმნა და ა. შ. ასე, მაგალითად, 90-იანი წლების დასაწყისში ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა და დოკუმენტური ფილმი შექმნა კინორეჟისორმა ალეკო გუგუნავამ. ქართული ისტორიის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას განაგრძობდნენ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები და სხვა მეცნიერები.

ამ მამულიშვილურ საქმეს ხელი მოჰკიდეს ჩვენმა თურქმა კოლეგებმაც. ამის ნათელი მაგალითია თურქი ქალბატონის **მინე კადიროღლუ-ლიობეს** ღრმა დაინტერესება ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებით და მისი მეცნიერული მოღვაწეობა. იგი საქართველოს ჯერ კიდევ 1991 წელს მცირე დროით ეწვია. ქალბატონმა მინემ ღრმად შეისწავლა, აზომა, გადაიღო და ჩაიხატა ტაო-კლარჯეთის ძეგლები და უკვე 1991 წელს მაინის ფრანკფურტში ინგლისურ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველოს არქიტექტურა – იშხანის ეკლესია“.

1998 წლის ივნისში მინე კადიროღლუ-ლიობემ მონაწილეობა მიიღო ქუთაისში გამართულ აღმოსავლეთმცოდნეთა მეორე საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება ტაო-კლარჯეთში მიმდინარე უახლესი კვლევა-ძიების შესახებ.

1995 წელს თურქეთში პირველი ფაუნისტური ექსპედიცია მოაწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა პროფესორ რევაზ ჟორდანიას ხელმძღვანელობით. ექსპედიცია ოთხჯერ მოეწყო. ექსპედიციის წევრები იყვნენ ტაო-კლარჯეთში, შავშეთში, არტაან-ერუშეთში, მდინარე ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში.

ექსპედიციის წევრებმა გარდა წმინდა ბიოლოგიური საქმიანობისა, მონახეს, აღწერეს და ფოტოზე აღბეჭდეს ყველა ძველი ქართული ისტორიული ძეგლი. მათი სამი წლის მეცნიერული მონაპოვარის საფუძველზე სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა კრებული „ქართველი ზოოლოგები თურქეთში“. წიგნი დაბეჭდილია პროფესორების რევაზ ჟორდანიას, არნოლდ გეგეჭკორის, გია ქაჯაიას, მათი ბათუმელი კოლეგის დოცენტ თემურ გოგმაჩაძის და სხვათა მეცნიერული სტატიები.

გარდა ამისა, კრებულში მოთავსებულია პროფესორ რევაზ ჟორდანიას მიერ გადაღებული ქართული ისტორიული ძეგლების – ოშკის, ხახულის, ხანას, ტბეთის, პარხალის, ოთხთა ეკლესიის, ჩანგლის, ხანძთის, იშხანის, ოპიზას და სხვა ძეგლების ფოტოები, რაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**აბესალომ იმედაშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

## თანამშრომლობა

# სამეგობრო გზას გაფრთხილება სჭირდება

ფეხზე წამომდგარ მთებს მდუმარედ შეჰყურებდა მიხეილ გელიაშვილი, მიუხედავად შუა ზამთრისა, ხავერდივით მოხვეოდა სიმწვანე ხევჭალებს. ნაკადულები ხმაურობდნენ, ჩიტები ჟღურტულებდნენ, დაბლა ზღვის ტალღები ლოკავდნენ ნაპირს. როგორ ჰგავს აქაურობა ჩვენს ზღვისპირეთს, ერთნაირი ცა, ერთნაირი ზღვა, მიდამო. ალბათ, ამიტომ მოუწევდათ გული აჭარიდან თუ გურიიდან. ასე შეეხიზნენ ტრაპიზონის ვილაიეთის მთის სოფლებს: მჟავანაძეები, ლორთქიფანიძეები, ნინიძეები, მგელიაშვილები, ბექანიშვილები, ბასილაშვილები, თამაზაშვილები, ნაკაშიძეები, ბოლქვაძეები... დღეს აქ ოცდაათამდე ქართული სოფელია. არ უჭირთ ცხოვრება, თითქმის ყველა სარფიანი საქმით არის დაკავებული. ზოგს ავტოგასამართი სადგურის აქვს, ზოგი თხილის ბიზნესშია ჩართული, ზოგი მესაქონლეობას მისდევს, ზოგი ავტოშემკეთებელი სახელოსნოს მეპატრონეა, ერთი სიტყვით ბედს არ ემდურიან. არიან შეძლებული კაპიტალისტებიც – ფემიდ ჯეიროოღლის (ქირურგიშვილი) **უნიეში** თხილის საკუთარი ქარხანა აქვს, თავისი მაღაზია. შვილმა არქიტექტურული ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა მშენებლობის ბიზნესშია ჩართული. შეძლებულად ცხოვრობს იბრაგიმ მოწყობილიც, საკუთარ ავტოგასამართ სადგურს ამუშავებს, სასადილოში ქართულ კერძებს ამზადებს, კლიენტები გამოულევლად ჰყავს, ჩაქირ გურელს (ჩირინაშვილს) თავისი გაზეთი, რადიო, ტელევიზია დაუარსებია.

უკვირდა მიხეილ გელიაშვილს, ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ გადმოხვეწილი ქართველების უმრავლესობას რატომ დაავიწყდათ მშობლიური ენა. აქ მარტო იბრაგიმ მოწყობილი ლაპარაკობს გამართულად, დანარჩენებს უჭირთ, ცდილობენ მშობლების მიერ ნასწავლი სიტყვების გახსენებას.

მიხეილი თურქეთში 1992 წელს ჩავიდა. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა. მაგრამ მალე მოძებნა საერთო იქაურებთან, სიმართლეს, პატიოსნებას ხომ ერთი ენა აქვს, ერთი არშინით იზომება. ძალიან გამოადგა კიევში ხალხური მედიცინის ცენტრში მიღებული ცოდნა. სულ მალე დაუახლოვდნენ, უანგაროდ ემსახურებოდა. სადაც გამოიძახებდნენ, დაუზარებლად მიდიოდა. არც ღარიბთა მომსახურებას გაურბოდა, ყველას მკურნალობდა იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რაც წლების განმავლობაში დაუგროვდა. **უნიეს** გარშემო მაღალ მთებში გაბნეული სოფლები ფეხით აქვს მოვლილი. სულ მალე დარწმუნდა, რომ იქ მცხოვრებლებს საქართველოსთან დაახლოება ეწადათ. ამიტომ მიხეილის თაოსნობით დაიწყო მიწერ-მოწერა მცხეთის რაიონისა და უნიეს კარედერეს სკოლებს შორის. 1977-1978 წლებში საჩუქრებიც ჩამოუტანა რამდენიმე სკოლას.

1998 წლის აპრილში მისი თაოსნობით მცხეთიდან გაგზავნილი დელეგაცია ეწვია **უნიეს**. ოქტომბერში უნიეს მუნიციპალიტეტის დელეგაცია ჩამოვიდა **მცხეთაში**. შემუშავდა ერთობლივი შეთანხმება, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და განათლების, ბიზნესის, სპორტის, გარემოს დაცვისა და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს.

მიხეილ გელიაშვილი დღესაც უნიესა და მცხეთას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის საქმეშია ჩაბმული. გამოცდილმა მუშაკმა, მშენებელმა ინჟინერმა კარგად იცის, თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა მეგობრობის დესპანად ყოფნა. დაწყებულ საქმეს გაგრძელება და გაფართოება სჭირდება, დღევანდელი სიდუხჭირის დროს საჭიროა მოიძებნოს გზები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.



მცხეთაში ჩამოსულ მიხეილს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ:

*– როგორი განწყობით ხვდებიან თურქი ბიზნესმენები თქვენს საქმიან წინადადებებს?!*

– არ ყოფილა შემთხვევა, რომ დადებითი პასუხი არ მიგვეღო, სრული მხარდაჭერა გვაქვს მუნიციპალიტეტიდანაც, ცდილობენ ყველანაირი დახმარება გაგვიწიონ. მე ჩამოვიტანე წერილი ხალხთა ურთიერთობის დეპარტამენტიდან. უნიეს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, ბატონი **სლეჯიბ ავჯი** სთხოვს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ბატონ კობა ბუჩუკურს დაესწროს ათათურქის მიერ დაწესებულ სპორტულ დღესასწაულს, რომელიც 19 მაისს უნიეში გაიმართება.

*– ეკონომიკურად როგორ წაადგება ჩვენს მშრომელებს ორი ქალაქის ურთიერთთანამშრომლობა?*

– თუ მცხეთაში ან დუშეთში გავხსნით ერთობლივ სავაჭრო ობიექტს, სადაც გაიყიდება თურქული ნაწარმი, რომელიც ხარისხიანი და იაფი იქნება, ამით, მე მგონი, კარგი საქმე გაკეთდება.

*– თუ არის გადადგმული ნაბიჯები სპორტული თანამშრომლობისთვის?*

– გასული წლის აპრილში წეროვნელმა ახალგაზრდებმა ამხანაგური მატჩი გამართეს უნიეს ფეხბურთელებთან, წელსაც ვეცდებით ძიუდოში, სამბოში ჩავატაროთ მეგობრული შეხვედრები.

*– რა უშლის ხელს მეგობრული კავშირების განვითარებას?*

– არაფერი, გარდა ერთისა. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო იმ დევნისა და ძარცვის შესახებ, რასაც თურქეთიდან ჩამოსული მძღოლები განიცდიან საქართველოს გზებზე.

სამეზობლოდ, სამეგობროდ გაწვდილი ხელი ვიღაცეების მოხვეჭის სურვილმა არ უნდა გააჭუჭყიანოს.

ყინული გალღვა, ახლა ამ დიდ სამეგობრო გზას გაფრთხილება სჭირდება.

**ვალერიან მამუკელაშვილი.**

## ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ამა წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა თურქეთის პოპულარული მუსიკოსი, მომღერალი, სახალხო გმირად აღიარებული ხელოვანი ბარიშ მანჩო.

ბარიშ მანჩო 1943 წელს დაიბადა. იგი მამის ისმაილ ჰაქი ბეისა და დედის ქალბატონი რაქათის საამაყო პირმშო იყო. ბავშვობაში ბარიში ელჩობაზე ოცნებობდა. 1954 წელს იგი გალათასარაის (სტამბოლი) ლიცეუმში შედის სასწავლებლად. ამ პერიოდში იგი ხატვითა და მუსიკითაა გატაცებული. 1963 წელს ბელგიის სამეფო კარის, მუსიკალური აკადემიის მსმენელი ხდება. მუსიკალური მოღვაწეობის პირველი პერიოდი მან ეკონომიკურად დუხჭირ ცხოვრებაში გაატარა. იყო მუშა ავტო-პროფილაქტორიაში, ბენზინის გამმართავ სადგურებში, მუშაობდა დუქნებში ეტიკეტების გამფორმებლად, ოფიციანტად, დამლაგებლად და ა. შ.

გთავაზობთ თურქი ჟურნალისტის მეჰმედ ი. ილმაზის წერილს, თურქეთის დიდ ხელოვანზე, რომელიც დაიბეჭდა თურქულ გაზეთ „რადიკალში.



# დიდი ხელოვანი

### ᲑᲐᲠᲘᲨ ᲛᲐᲜᲩᲝᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

ბარიშ მანჩოს გარდაცვალებამ ძალუმად შესძრა მთელი თურქეთი, რაც ბევრი ჩვენთაგანისათვის მოულოდნელი იყო. დიახ, თვალსაჩინო ხელოვანი დავკარგეთ, მაგრამ საყოველთაო მწუხარების ასეთ აზვირთებას, მისდამი სიყვარულის გამოხატულებად რომ იქცა, ადრე არასდროს მოვსწრებივართ.

**ბარიშ მანჩოს** გარდაცვალებას 100-მდე ჟურნალისტი გამოეხმაურა. პრესაში გამოქვეყნებული წერილები უპირატესად ეხებოდა მას, როგორც თვალსაჩინო მოღვაწესა და ხელოვანს. მხოლოდ ერთმა ჟურნალისტმა, ერთულღრულ ოზქოქმა გაზეთ „ჰურიეთში" დაბეჭდილ წერილში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რამაც საზოგადოებრიობის წუხილის ასეთი აფეთქება გამოიწვია. მან შეგვახსენა თუ რა გავლენა იქონია საზოგადოებაზე ადნან კაჰვეჯის გარდაცვალებამ და რა სანატრელი გახადა ჩვენი დღევანდელი ყოფისათვის სახალხო გმირი.

ჩემი ღრმა რწმენით, ბარიშ მანჩოს გარდაცვალებამ ერთხელ კიდევ ყველას დაგვანახა თუ როგორ შეიცვალა თურქეთი და თურქი ხალხი.

ერთ დროს ნაზიმ ჰიქმეთმა თქვა: „თურქი ხალხი ღიმილსაც კი ულვაშებში მალავსო". სწორედ ამ გარემოებამ მისცა დასაბამი თურქ ხალხს ესწავლა თავისი მწუხარებისა და სიხარულის აშკარად გამოხატვა.

ჩვენც მრავალჯერ დაგვიწერია თურქი ხალხის თავშეკავებული და მორიდებული საქციელის შესახებ თავისი სიხარულისა და მწუხარების გამოხატვაში. მაგრამ, როგორც ეხედავთ, ერთ ადგილზე არაფერი დგას. თურქი ხალხიც იცვლება, სწავლობს სიხარულსა და მწუხარების გამოხატვას.

ხალხი გათვითცნობიერების პერიოდს მასმედიასთან ერთად გადის. **მანჩოს** მიმართ ხალხის მიერ მწუხარების ასეთი ფორმით გამოხატვა ძალიან ჰგავდა ორი წლის წინათ პრინცესა დიანას გარდაცვალების გამო ტელევიზორში ნანახსა და გაზეთებში წაკითხულ სამგლოვიარო ცერემონიალს.

**ბარიშ მანჩოს** სახლის ყვავილების ბაღად გადაქცევა და მუსლიმანი თურქისათვის არც თუ ისე დამახასიათებელი სანთლების ანთება, მისი ცხედრის წინაშე სამგლოვიარო სიმღერების შესრულება, უჩვეულო მოვლენა იყო.

**ბარიშ მანჩოს** გარდაცვალებამ ერთი რამ კიდევ დაგვანახვა. **ხალხი თავის გამაერთიანებელ გმირს ეძებს.** განურჩევლად იმისა, მემარცხენეა იგი, მემარჯვენე თუ ღვთის მსახური, ყველას ერთნაირად ძალუძს პატივისცემით დახაროს თავი **ბარიშ მანჩოს** ცხედრის წინაშე. იძერწება ვემაღალი პიროვნება, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, რომელიც ცნობს საერთო ღირებულებების ჭეშმარიტებას. **მანჩოს** პიროვნება დიდ მნიშვნელობას იძენს. ლაპარაკია ადამიანზე, რომელიც რაღაცას ქმნის, არავისთან ჩხუბობს, არ იბღინძება, უბრალო ადამიანს არ ამცირებს და აბუჩად არ იგდებს.

ვისაც სწადია კვალი დააჩნიოს მომავალი, ხვალინდელი თურქეთის ცხოვრებას, იქნება ის სპორტსმენი, პოლიტიკოსი, ხელოვანი თუ ჟურნალისტი, ფეხი უნდა აუწყოს ცხოვრების რიტმს, ხოლო ვინც ამას ვერ შეძლებს, ცხოვრება მას ჩამოიცილებს, წაშლის, გზას კი ღირსეულები გააგრძელებენ.

**ბარიშ მანჩო** ყოველ თურქ დედაში სულ მცირე სიმღერად დარჩება, ხოლო ჩვენს საყოველთაო ცნობიერებაში თავისი უნიკალურობით დაიმკვიდრებს ადგილს.

„რადიკალი",
1999 წლის 5 თებერვალი.

თურქულიდან თარგმნა
ანგია ჯანელიძემ.

## ᲑᲐᲚᲔᲢᲘ



# ნინო ანანიაშვილი თბილისში

მსოფლიოს გამოჩენილი პრიმაბალერინა, ჩვენი ნინო ანანიაშვილი მშობლიურ თბილისს ეწვია. ამჯერად მან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს ძვირფასი საჩუქარი მიართვა — სცენის საბალეტო იატაკი, რომელზედაც პირველად თვითონ იცეკვა და თბილისელები კიდევ ერთხელ მოხიბლა.

**NİNO ANANİAŞVİLİ TİFLİS'E GELDİ**

**Bale dünyasının ünlü yıldızı Tiflis'li Nino Ananiaşvili Şubat ayında Gürcistan'a gelerek Tiflis'teki Tiyatro için Amerika'dan özel Opera ve Bale döşemesini getirdi. Ananiaşvili Getirdiği döşemeyi Opera ve Bale tiyatrosunun sahnesine dekor ederken Yeni Bale dekoruna sahip Bale tiyatrosu sahnesinde Nino Ananiaşvili Çaikovski'nin "Kuğu Gölü" adlı oyununu dans ederek kendi sanatıyla bale severlere sergiledi. Buarada Nino Ananiaşvili ile birlikte Tiflis'e Moskova Bolşoy Tiyatrosu'nun ünlü solisti Sergey Filin ve Büyük Bale Orkestra Şefi Aleksandr Sotnikov'da geldiler.**

## ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Nodar Dumbadze

# SONSUZLUK YASAK

Türkcesi: ALİ ALTUN
Yayına hazırlayan: MEHCURE KARAOREN

**devam**

**VIII. BÖLÜM**

Profesörün Baçana'ya oturma ve dönme izni verdimesinden yirmi gün sonraydı. Odanın kapısı açılıp içeriye çok güzel bir kız girdi. Bu şaşkınlıkla, kahvaltı eden Bulika'nın elinden yoğurt kasesi düştü, yiyecekler üstüne başına döküldü. Bu simsiyah saçlı, yeşil gözlü melek Baçana'nın yatağının ucuna oturdu. Papaz Ioram haç çıkartarak sordu:

"Baçana bey, şimdi de mi Tanrı'ya inanmıyorsunuz?"

"Papaz Ioram, eğer bu bir düş değilse, inanıyorum," diye yanıt verdi, kadının güzelliği ve cesaretine hayret eden Baçana.

"Benim yatağıma otursaydı da isterse rüya olsaydı." dedi Bulika; bunu derken ağzında kaşık olduğunu ancak anladı.

"Size de gelirim!" dedi kız şımarıkça.

"Buyurun efendim, bekliyorum!" dedi Bulika.

"Selam beyler, adım Ketevan, soyadım Andronikaşvili. Hastanenizde tıp tedavisi başmüfettişiyim," diye kendini tanıttı hastalara.

"Pantapon, pensantin ve intersainlerle kıçlarımızı morarttılar, bu bizim doktorların hiç aklı yok mu?! Odaya sizin gibi bir kadının gelmesi, on iğneye değilse beş iğneye değer!" diye bağırdı Bulika. Kızın yüzünden bir mutluluk gülüşü geçti.

"Baçana bey, görmüyor musunuz gülümsüyor, elini dokundur bir, eğer uçmazsa gerçek demektir," dedi Bulika.

"Bayan, izninizle!" dedi Baçana ve kızın güzel parmaklarına dokundu. "Sevinebilirsin Bulik, gerçekmiş!" dedi. Fakat kızın sıcacık elinden elini kurtaramadı. Kız yavaşça parmaklarını Baçana'nın elinden çekip onun bileğini tuttu.

**devamı var**

## ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲝᲖᲐ



– ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ?
– ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ? ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲛᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ (რედაქტორი), ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ, ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲑᲔᲚᲗᲐᲫᲔ, ᲜᲔᲚᲘ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲝᲗᲐᲠ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲥᲐᲠᲐᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ.
ტელ: 99-73-01.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გინდა ჰონკონგი დაარქვი და გინდ – სიანგანი...



ჩინეთი უნიკალური ქვეყანაა. აბა, სხვაგან სად ნახავ სახელმწიფოს, რომლის მთავრობაც ცდილობდეს ერთმანეთს შეუთავსოს ორი ანტაგონისტური სისტემა? ჩინეთში კი ეს ძალზე მარტივად ხდება. სოციალისტური კონტინენტური ჩინეთი საუცხოოდ ეგუება კაპიტალისტურ ჰონკონგს, რომელსაც ახლა სიანგანი ჰქვია, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. მართალია, კონტინენტის მკვიდრთ პრობლემები აქვთ: არ სურთ ჩინელებს, იცხოვრონ სოციალიზმში, ერთი სული აქვთ, როდის გადავლენ ჰონკონგში. ხოლო, სიანგანის დემოკრატიული სასამართლო ძირეულად განსხვავდება კონტინენტის სახალხო სამსჯავროსაგან. ბანაკებში არავის ასახლებენ, პირიქით, გაგებით განიხილავენ იმიგრაციის თითოეულ შემთხვევას. ასეთი შემთხვევების რიცხვი კი უკვე რამდენიმე ათეულ ათასს აჭარბებს და, იმედია, დროთა განმავლობაში მილიარდ-ნახევარი ჩინელი მოქალაქე გადმოვა ამ პატარა კუნძულზე... ბუნებრივია, უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა...

## დსთ-ელ ებრაელებს კომპენსაცია არ ერგებათ?

გერმანული „დი ცაიტი" განმარტავს ნაციზმის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გასაცემი ფონდის დაფუძნებას. კანცლერმა შრედერმა და 12 დამფუძნებელმა კონცერნმა, რომელთა შორის არიან გერმანიის წამყვანი საწარმოები და კომპანიები, საკმაოდ გასაგებად თქვეს, რომ საქმე ეხება „საბოლოო გადასახდელებს", და ფირმები, რომლებმაც შეიტანეს სახსრები ამ ფონდში, ამიერიდან დაცული უნდა იქნენ სასამართლო დევნისაგან. რაც შეეხება ფონდის ოდენობას, გერმანულ პრესაში უკვე გაიჟღერა ციფრმა – 3 მილიარდი მარკა. მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ გადასახადების მოცულობა არ შეიცვალა (იმასთან შედარებით, რაც აშშ-ში წარმოებს), მაშინ ფონდის ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 10 მილიარდისა. გერჰარდს ასეთი მოთხოვნები რეალობისაგან დაშორებულად მიაჩნია. არ არის გადაწყვეტილი არც იმ მექანიზმის საკითხი, თუ როგორ გაიცეს კომპენსაცია აღმოსავლეთ ევროპისა და თანამეგობრობის ქვეყნებში, რაც შესაბამისი სახელმწიფოების შესაბამის ორგანიზაციებთან მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს.

## სინაგოგა სახელმწიფოს უნდა გამოეყოს

გერმანული „დი ვოხე" ამუქებს ისრაელში ულტრაორთოდოქსთა მოძალების თემას. გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები არ მსახურობენ ჯარში, არ იხდიან გადასახადს, ორჯერ უფრო მეტ სახელმწიფო დოტაციასაც იღებენ რელიგიური სასწავლებლების მსმენელებისათვის ჩვეულებრივ სტუდენტებთან შედარებით, და აქვთ არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული შესაძლებლობაც, იცხოვრონ სოციალური შემწეობით. საკმარისია საზოგადოებამ მოინდომოს რომელიმე ამ „მიღწევის" რევიზია, რომ ისინი დაუყოვნებლივ აწყობენ მასობრივ მანიფესტაციას მთელი თავიანთი ჯალაბის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში – „უზენაესი სასამართლოს დიქტატურის" წინააღმდეგ. დიქტატურა, ირონიულად აღნიშნავს გერმანული გაზეთი, ის კი არ არის, რომ უზენაესმა სასამართლომ სარწმუნოების თავისუფლება გააუქმა, ანდა დაადგინა, რომ ამიერიდან ებრაელები ვალდებული არიან ღორის ხორცი ჭამონ. სასამართლომ მხოლოდ აღიარა, რომ სამხედრო ბეგარისაგან ფუნდამენტალისტთა განთავისუფლება კანონს არ შეესაბამება. „დი ვოხეს" აზრით, გაოცებას იწვევს არა ორთოდოქსთა ესოდენ მკვეთრი და ერთსულოვანი რეაქცია, არამედ ის უდიდესი მოთმინებაც, რომელსაც საზოგადოება იჩენს მათ მიმართ. რით აიხსნება ასეთი ვითარება? ისრაელში ხუმრობენ: თუ ვინიცობაა, ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ღმერთი არის, ასე უღმერთოდ ნურავის მოეატყუებინებოთ თავს. მაგრამ ეს ხუმრობაა, ხოლო ილის ყველაზე დიდი გადასახადი, რომელსაც ისრაელის მოქალაქენი იხდიან, და ყველასათვის სავალდებულო სამხედრო ბეგარა – სულაც არ არის სახუმარო საქმე. ამასთან, ფუნდამენტალისტთა მიმართ მეტისმეტ ლიბერალობას იჩენენ სულ სხვადასხვა დონეზე. პრემიერი ნეთანიაჰუ მსჯელობს იმის შესახებ, რომ უზენაეს სასამართლოს, შესაძლოა, ლეგიტიმურობა აკლია – მის შემადგენლობას ხომ არ ირჩევენ! იბადება კითხვა, ესმის თუ არა სწორად პრემიერს ხელისუფლებათა განაწილების პრინციპის არსი. „საერო პარტიებს კოალიციის ბაზაზე ვერა და ვერ მიუღწევიათ იმისათვის, რომ ეკლესია სახელმწიფოს გამოეყოს". გერმანული გაზეთი, რომელმაც თვითონაც ვერ იპოვა პასუხი თავისივე დასმულ კითხვაზე ამ საოცარი მოვლენის მიზეზების შესახებ, დაასკვნის, რომ ამგვარი მაზოხიზმი თანაგრძნობასაც კი არ იწვევს.

## დოლარიზაციის გეგმები

ცენტრალური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებს და დომინგოს რესპუბლიკას განზრახული აქვთ, განიხილონ შესაძლებლობა, მიიღონ დოლარი ეროვნულ ფულად ერთეულად, — ეს განაცხადა პანამაში ვიზიტად მყოფმა პანამერიკული განვითარების ბანკის თავმჯდომარემ ენრიკე იგლესიასმა.

რეგიონის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა ბანკის ხელმძღვანელობას მიმართეს თხოვნით, მოაწყოს საერთაშორისო სემინარი, რომლის დროსაც გააანალიზებენ ეროვნული ეკონომიკების „დოლარიზაციის" დადებით და უარყოფით მხარეებს. ფორუმზე დაგეგმილია, განიხილონ ეროვნულ ფულად ერთეულად დოლარის მიღების ყველა ასპექტი და შესაძლო შედეგები, თქვა იგლესიასმა.

ბანკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „დოლარიზაციის" განხორციელების პერსპექტივები უნდა განიხილონ თითოეული ცალკე აღებული ქვეყნის მიმართ. „ეს პროცესი ეხება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სფეროსაც", ხაზი გაუსვა იგლესიასმა.

ამავე დროს, პანამერიკული განვითარების ბანკის თავმჯდომარემ საჭიროდ ცნო, შემოღებულ იქნეს ერთიანი ფულადი ერთეული სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზრის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში — ურუგვაიში, არგენტინაში, ბრაზილიასა და პარაგვაიში. მაგრამ, იგლესიასმა აღიარა, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა გაიარონ რთული გზა, რომლის მოკლე ვადაში დაძლევაც შეუძლებელია.

## პერუს წყალს მიაქვს



პერუში გრძელდება წვიმის სეზონი. მდინარეებმა ნაპირები გადმოლახა და გარე სამყაროს მოწყვიტა ბევრი სოფელი. როგორც წესი, წვიმის სეზონს, რომელიც იანვრიდან აპრილამდე გრძელდება, ხშირად სდევს თან ძლიერი წყალდიდობა.

## ნეტავი თქვენ!



ჩვენი დასავლეთევროპელი მეზობლები დიდთოვლობას ებრძვიან, წერს ჟურნალი „ოგონიოკი". ისინი თავზარდაცემული უყურებენ ეზოებში წამომართულ მეტრიან თოვლის ზვინებს. მოდით, შევთავაზოთ: გავცვალოთ პრობლემები! ისინი ჩვენს ფინანსურ პრობლემებს გადაჭრიან, ჩვენ კი, ხის ნიჩბებით შევესევით მათ ნამქერებს.

## ცოტა ნაადრევად ხომ არ ზეიმობენ ტრიუმფს?

სერბული პრესა რამბუიეს მოლაპარაკების განგრძობას ბელგრადის ტრიუმფად მიიჩნევს, რომელმაც ამასთანავე შეძლო, განხეთქილება ჩამოეგდო დასავლეთის ქვეყნებში. „საკონტაქტო ჯგუფის შიგნით უთანხმოებათა არსებობას მოწმობს რუსეთის წარმომადგენლის ალექსანდრე ავდეევის განცხადება, რომ კოსოვოში ნატოს ჯარების განლაგების გეგმა არ არის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი და მხოლოდ ჯგუფის ზოგიერთი წევრის თვალსაზრისს გამოხატავს", – წერს „პოლიტიკა". გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევს სერბეთის პრეზიდენტის მილან მილუტინოვიჩის საქმიანობას, რომელმაც „ალკვეთა მასზე ზემოქმედებისა და ულტიმატუმის წაყენების ცდები". მასვე მიაწერენ შეთანხმების პროექტის იმ პოლიტიკური ნაწილის „გადარჩენასაც", რომლითაც გათვალისწინებელია არა კოსოვოს დამოუკიდებლობა, არამედ ფართო ავტონომია.

## ლიტვამ გაამკაცრა საბაჟო რეჟიმი

ამოქმედდა ლიტვის მთავრობის დადგენილება საბაჟო რეჟიმის გამკაცრების შესახებ იმ პირთათვის, რომლებიც ბალტიის ამ რესპუბლიკაში ჩამოდიან. ამიერიდან ლიტვაში სამ დღემდე ჩამოსული თითოეული მგზავრი მოვალეა იქონიოს სულ ცოტა 300 ლიტი (75 ამერიკული დოლარი) ან შესაბამისი თანხა უცხოური ვალუტით. წინათ 100 ლიტიც (25 ამერიკული დოლარი) საკმარისი იყო. ეს მოთხოვნა არ ეხებათ მგზავრებს, რომლებიც ლიტვის ტერიტორიას გრანზიტით გადაკვეთენ, აგრეთვე, სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ და მომუშავე პირებს.

ბენზინის, საწვავ-საპოხი მასალების, ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს ნაწარმის სპეკულაციის აღკვეთის მიზნით, რომელთა ღირებულება რუსეთში, ბელორუსიასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ლიტვაში, ამ საქონლის შემოტანაზე დაწესებულია შეზღუდვები. მაგალითად, ახლა ავტომანქანით ლიტვის საზღვრის გადაკვეთის დროს საწვავის გადაზიდვა აკრძალულია სხვა საცავებით, გარდა ბენზინის ავზისა. გაუჭირდებათ იმათ, ვინც ალკოჰოლით ვაჭრობს. ერთი ბოთლი არაყი, მაგალითად, ბელორუსიაში ღირს 1 ამერიკული დოლარი, ხოლო ლიტვაში – 4 დოლარი. ლიტვის ტერიტორიაზე შესულ მგზავრს ნება ეძლევა იქონიოს მხოლოდ ერთი 0,5 ლ ბოთლი არაყი, 100 ღერი სიგარეტი და არა უმეტეს 0,5 კილოგრამი საკვები პროდუქტი.

## ასე წერს ბრიტანული პრესა




ბლერი ევროსათვის ბრძოლას იწყებს. საკითხავი ის კი არ არის, შეუერთდება თუ არა ბრიტანეთი ერთიან სავალუტო მექანიზმს, არამედ ის, თუ როდის მოხდება ეს. ბრიტანეთს შეუძლია, ევროზე გადავიდეს უკვე ორმოცი თვის შემდეგ. „ბლერმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა გირვანქა სტერლინგს" – ასეთი ხმამაღალი სათაურებით გამოვიდა ხუთშაბათს ყველა ბრიტანული გაზეთი, და მართლაც, ბრიტანელებისათვის, რომლებიც ტრადიციულად ებღაუჭებიან საკუთარ თავისთავადობას და კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებას, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ტონი ბლერი, რომელიც დღემდე ითვალისწინებდა ამ განწყობილებას, საუკეთესო შემთხვევაში – თავშეკავებულს, არცთუ იშვიათად – სკეპტიკურს, ხშირად კი ამკარად მტრულს ევროპის ერთიანი ვალუტის მიმართ, შეეცადა ბალანსირებას ევროს მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ბავშვური თამაშის პრინციპით – „არც პო თქვა და არც – არა". მაგრამ ახლა უკვე თქვა „პო".

ამ სიახლის მნიშვნელობას ყველაზე უკეთ ცხადყოფს ის ფაქტი, რომ „ტაიმსმა", რომელიც, ჩვეულებრივ, თავისი სარედაქციო კომენტარისათვის ირჩევს დღის სამ ძირითად თემას, ახლა სარედაქციო სტატიებისათვის განკუთვნილ მთელ ადგილს – ნახევარ გვერდს – მთლიანად უძღვნის თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრის გამოსვლის შედეგების ანალიზს, სადაც მან მოხაზა კაბინეტის გეგმა დიდ ბრიტანეთში ერთიანი ევროპული ვალუტის შემოსაღებად მომზადებისათვის. და თუმცა, ეს გეგმა რამდენიმე წლისათვის არის დაანგარიშებული, და ევროზე გადასვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ეროვნულ რეფერენდუმზე, გაზეთს მოჰყავს ბლერის გამონათქვამი, რომ ევრო ბრიტანეთში რეალობად იქცევა, და გამოაქვს გადამწყვეტი დასკვნა: რუბიკონი გადალახულია, ქვეყანა უნდა ემზადოს საერთო-ევროპული სავალუტო სისტემის ნაწილად ქცევისათვის.

ჯერჯერობით კი, ვალუტები – და, შესაბამისად, ფასები – სხვადასხვაა, ბრიტანეთის მთავრობამ, როგორც იქნა, მიაპყრო ყურადღება იმ ფაქტს, რომელიც უკვე დიდი ხანია აღაშფოთებს არა იმდენად დარბაისელ ინგლისელებს, რამდენადაც აქ ჩამოსულ ტურისტებს. ინგლისში ყველაფერი: მდიდრული ავტომობილებიდან კათხა ლუდამდე – ღირს გაცილებით უფრო ძვირი, ვიდრე კონტინენტზე, ანდა, მით უმეტეს – შეერთებულ შტატებში. გაზეთს მოჰყავს პირდაპირ გამაოგნებელი ციფრები: ტელევიზორი „სონი ტრინიტრონი" პარიზში ღირს 77, ხოლო ნიუ-იორკში – 137 გირვანქით უფრო იაფი, ვიდრე ლონდონში. ტიმბერლენდის მამაკაცის ჩექმა ნიუ-იორკში 90, პარიზში – 109, ხოლო ლონდონში – 145 გირვანქა. და ასეა, პრაქტიკულად, ყველა საქონელზე.

ამ მოვლენის ანალიზს მიუძღვნა ვრცელი სტატია გაზეთმა „გარდიანმა", ხოლო სტატიის საბაბი გახდა 20 წლის განმავლობაში მთავრობის მიერ პირველად გამოთქმული შეშფოთება ქვეყნის მოქალაქეებისათვის ამ უაღრესად წამგებიანი გარემოების გამო. სახაზინოს კანცლერმა – ანუ ფინანსთა მინისტრმა – გორდონ ბრაუნმა განკარგულება გასცა, დაედგინათ ამ მოვლენის მიზეზი. ხოლო მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროდან, წერს გაზეთი, უკვე შემოვიდა სიგნალები მთავრობის პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლის შესახებ, რომელიც ტრადიციულად იცავდა მეწარმეთა ინტერესებს – ახლა იგი წინა პლანზე აყენებს მომხმარებლის ინტერესებს.

„ტაიმსი" დიდ მასალას უძღვნის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ არჩევნებს, რომელიც, მართალია, ორი წლის შემდეგ გაიმართება. უჩვეულოდ ადრე, რესპუბლიკელ-გუბერნატორთა თითქმის ნახევარმა უკვე გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს, პარტიის ყრილობაზე მხარი დაუჭიროს თავის კოლეგას, ტეხასის გუბერნატორს ჯორჯ ბუშ-უმცროსს. თვით ბუშ-უმცროსი ჯერჯერობით ემზადება, გამოაცხადოს თავისი პირველი ოფიციალური ნაბიჯი – ამრჩევი კომიტეტის შექმნა – და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მოიპოვოს თავისი პარტიას ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფოებრივი პოსტი, რომელიც მამამისმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა – 1992 წელს გადაულოცა ბილ კლინტონს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ ბუში ლიდერობს რესპუბლიკელ კანდიდატთა შორის. მაგრამ მას ფეხდაფეხ მიჰყვება კლინტონის კიდევ ერთი უიღბლო მეტოქის ნათესავი. ეს არის ელიზაბეტ დოული, 1996 წლის არჩევნებში დამარცხებული სენატორ დოულის ცოლი, რომელმაც დატოვა ამერიკის წითელი ჯვრის თავმჯდომარის პოსტი, რათა სერიოზულად ჩაუფიქრდეს არჩევნებში მონაწილეობას. საინტერესოა, აღნიშნავს „ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი, რომ ორივე რესპუბლიკელი კანდიდატი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით ჯერჯერობით უსწრებს თავის ძირითად მეტოქეს, ახლანდელ ვიცეპრეზიდენტს დემოკრატ ელ გორს. ბუშის მხარდამჭერ გუბერნატორთა შორის არის, აგრეთვე, მისი უმცროსი ძმა ჯებ ბუში, ფლორიდის შტატის გუბერნატორი. ხოლო, რაც შეეხება ჯორჯ ბუშ-უფროსს, რომელიც პრეზიდენტის პენსიით ცხოვრობს ქალაქ ჰიუსტონში – ტეხასში, სადაც გუბერნატორად არის მისი ვაჟი, მამამ გზა დაულოცა ჯორჯ-მცირეს საპრეზიდენტო რბოლაში.

და, ბოლოს – რაც შეეხება განსაცმელს, რომელმაც თითქოს ისე მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, რომ ამაღლდა მოდის ამაოებასა და ჭირვეულობასა ზედა. საქმე ეხება ჯინსის შარვალს. გაზეთ „გარდიანის" მოდების მიმომხილველმა ოდრი გილანმა აღმოაჩინა, რომ საყოველთაო სიყვარული „ეშმაკის ტყავისადმი" – ასე უწოდებდნენ ერთ დროს ჯინსს – თანდათან ქრება. და ეს უდავოა. განთქმულმა ფირმამ „ლევი სტროსმა" დახურა თავისი ჯინსის ფაბრიკების ნახევარი ამერიკაში. ეს სიახლე გაზეთის რედაქციას იმდენად მნიშვნელოვნად ეჩვენა, რომ დასდო პატივი, გაეხადა გაზეთის სარედაქციო კომენტარის საგანი, რაც მხოლოდ მის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან დაკავშირებით ხდება ხოლმე. მიუხედავად ამისა, გაზეთი ჩქარობს დაამშვიდოს საყვარელი შარვლის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელნი – „ლევი სტროსი" უბრალოდ ცოტათი ჩამორჩა ბაზარს, დასჯერდა მიღწეულს და განცხრომას მიეცა, ვინაიდან თავისი მომრევი აღარავინ ეგონა. ამასობაში კი, მყიდველები თანდათან გადადიოდნენ უფრო თანამედროვე მოდელებზე, რომლებსაც სთავაზობდნენ ისეთი ფირმები, როგორიც არის „კალვინ კლაინი", „გუჩი და ტომი ჰილფიგერი", რომ აღარაფერი ვთქვათ სუპერმოდურ იაპონურ მოდელებზე. თავისი საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჯინსი ათჯერ და ბარე ასჯერ რაც შეიცვალა, ეგუებოდა რა ნებისმიერ გარემოს, და, როგორც ჩანს, ჩვენთან დარჩება მომავალშიც, ამთავრებს თავის კომენტარს გაზეთი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

---

### მატჩის ექო

## იანის ზელტინში: „ამ სასახლის ჭერქვეშ სპორტის ოსტატი გავხდი"



თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოს და ლატვიის ნაკრებ გუნდებს შორის, როგორც გაუწყეთ, სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა. ლატვიელებს წარმატების მომტანი ორი ქულა ცნობილი კალათბურთელის – იგორ მიგლინიეკსის ძმამ რაიმონდსმა მოუტანა ბოლო წამზე.

დრამატული ფინალის შემდეგ სტუმართა გუნდის მთავარ მწვრთნელს იანის ზელტინშს ვესაუბრეთ:

– წინასწარ დავგეგმეთ, რომ მატჩის პირველი წუთებიდანვე სწრაფად შევვეტია მეტოქისთვის და სოლიდური სხვაობით დავწინაურებულიყავით. ვეეგონა, ამგვარი ტაქტიკით საქართველოს გუნდს დავჯაბნიდით და იოლად გავიმარჯვებდით. 10-15 წუთის განმავლობაში, მგონი, გამოგვივიდა კიდეც, მაგრამ შემდეგ, რატომღაც, ორთაბრძოლის ქართული სტილი – პოზიციური თამაში ვამჯობინეთ და დავისაჯეთ კიდეც. დაცვაში უამრავი შეცდომა დავუშვით, თან, მესვენების შემდეგ, თქვენი კალათბურთელები ბევრად უკეთესად თამაშობდნენ.

მატჩის მიწურულს მიუტევებელი ტაქტიკური შეცდომა დავუშვით, სამ ქულას ვიგებდით და ბოისას ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით: მეტოქე ან ორქულიანზე უნდა გაგვეშვა, ან ჯარიმა აგვეღო, მაშინ მატჩის შედეგიც სადავო აღარ იქნებოდა, თუმცა, სამდივნომ ზუსტად დააფიქსირა დრო – მიგლინიეკსის მიერ ჩაგდებული ბურთის შემდეგ მეათედი წამი კიდევ იყო დარჩენილი. მესმის თქვენი – ძნელია საკუთარ მოედანზე, თანაც ასეთი დრამატული შეხვედრა წააგო. ჩვენც მოგვსვლია მსგავსი რამ.

***– ვის გამოყოფდით დღევანდელ მატჩში?***

– თქვენი გუნდიდან კარგად ითამაშეს ჩხეიძემ, ბოისამ, ბერძენიშვილმა. ჩვენგან გამოირჩეოდნენ ბაგატსკისი, ვეცვაგარსი, ჰელმანისი. ბაგატსკისმა თავდასხმაში კი იყოჩაღა, მაგრამ დაცვაში ვერაფრით გამოიჩინა თავი. ისე, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ: სტუმრად 98 ქულის მოგროვება, თანაც თბილისში, იოლი საქმე როდია. საქართველოს ნაკრები მონოლითური კოლექტივი ჩანს, მაგრამ წარმატების მოპოვება იმიტომ უჭირს, რომ გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს, განსაკუთრებით ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა გაწუხებთ. ეს საკითხი ჩვენთვისაც მტკივნეულია, ამიტომაც წავაგეთ ჩეხებთან და ახლა ჯგუფში მე-4 ადგილისთვისღა მოგვიწევს ბრძოლა, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საკვალიფიკაციო ტურნირის გაუვლელად მოვხვდეთ.

***– ვიცით, რომ წლების განმავლობაში ასპარეზობდით საკავშირო ჩემპიონატებში, გითამაშიათ ქართველი კალათბურთელების წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, ბევრად განსხვავდება ჩვენი დღევანდელი კალათბურთი მაშინდელისაგან?***

– მაშინ თბილისის „დინამო" ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული. მარტო გურამ მინაშვილის, ვლადიმერ უგრეხელიძის, ანზორ ლეჟავას სახელები რად ღირს. 1960-1966 წლებში რიგის „ვეფის" ღირსებას ვიცავდი. განსაკუთრებით 1966 წელი დამამახსოვრდა. საკავშირო ჩემპიონატის ფინალი თბილისში – აი, ამ სპორტის სასახლეში გაიმართა. დაცვაში ვთამაშობდი – „ვიჭერდი" „პტიცას", ჩეჩურას, ვოლნოვს, პაულაუსკასს, ბაგლეის, რომლებიც მაშინ საბჭოთა ნაკრებში ამინდს ქმნიდნენ. განსაკუთრებით კარგად ვოლნოვის წინააღმდეგ ვითამაშე – იმ მატჩში მან მხოლოდ 2 ქულა შეძინა თავის გუნდს, ჩვენ კი დამატებით დროში ცსკა დავამარცხეთ და ბრინჯაოს მედლებს დავეუფლეთ. სპორტის ოსტატის წოდებაც მაშინ დავიმსახურე. ამ წარმატებაში ქართველ გულშემატკივრებსაც მიუძღვით წვლილი – არმიელებთან მთელი მატჩის განმავლობაში ტემპერამენტიანად გვქომაგობდნენ. ამის დავიწყება როგორ შეიძლება (ზელტინშს, ამას რომ ამბობდა, თვალები ცრემლით აევსო), ბალტიისპირელები ყოველთვის ვმეგობრობდით ქართველებთან და მომავალშიც ასე იქნება, თბილისის დავიწყებას ვერასდროს შევძლებთ. საგულისხმოა ისიც, რომ ქართველი გულშემატკივრები არ შეცვლილან: უწინდებურად ემოციურები, კალათბურთის თითოეული ნიუანსის მცოდნენი, სამართლიანები და სტუმართმოყვარენი დარჩნენ.

***– ლატვიურ კალათბურთს პრობლემები თუ აწუხებს?***

– მაინცდამაინც დიდი საწუხარი არა გვაქვს. ახალგაზრდულ პირველობებში 400-მდე გუნდი მონაწილეობს, უმაღლეს ლიგაში 10 გუნდი გამოდის, რომელთაგან მხოლოდ ორი – „ბროცენი" და „ვენდსპილსი" არის პროფესიული. რამდენიმე კალათბურთელი უცხოურ კლუბებში იმაღლებს ოსტატობას. ახლახან ლატვიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის პირველობაზე მე-4 ადგილი დაიკავა და მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მიიღო. გუნდი 50 ათასი ლატით (დაახლოებით 100 ათასი დოლარი) დააჯილდოვეს. მთავრობა ყოველმხრივ უწყობს ხელს კალათბურთის განვითარებას. ეროვნულ ნაკრებს სპონსორობას უწევს ერთ-ერთი უმდიდრესი ნავთობგადამამუშავებელი ფირმა ვენდსპილსიდან. შინაურ მატჩებს ამ ქალაქში ვთამაშობთ და თითოეული გამარჯვებისათვის ფირმა გუნდს 5 ათასი ლატით აჯილდოებს. ხელფასის, კვების, ფორმებისა და აქტიური დასვენების პრობლემა არა გვაქვს. ალბათ, მალე დადგება ის დრო, ლატვიური კალათბურთი მსოფლიო სარბიელზეც რომ იტყვის თავის წონად სიტყვას. ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, თუ ქართველი კოლეგებიც არ ჩამოგვრჩებიან.

ესაუბრა

ვაჟა დანელია.

### ყოველი მხრიდან

## ინტერტოტოს მოახლოვდა

გაიმართა ინტერტოტოს თასის გათამაშების უეფას სპეციალური კომისიის სხდომა, რომელმაც ნება დართო 14 ეროვნულ ფედერაციას ტურნირში მონაწილეობისათვის წარმოადგინოს 2-2 გუნდი. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 60 გუნდი, გაიმართება 5 რაუნდი.

პირველ რაუნდში თასისათვის ბრძოლაში ჩაებმება 40 გუნდი შემდეგი ქვეყნებიდან: შვედეთი, ნორვეგია, ჩეხეთი (2-2 გუნდი), საბერძნეთი, ავსტრია, ბელგია, დანია, შვეიცარია, პოლონეთი, რუმინეთი, ხორვატეთი, კვიპროსი, ისრაელი, უნგრეთი, საქართველო, სლოვაკეთი, ლატვია, სლოვენია, ფინეთი, ბელორუსია, ბულგარეთი, მაკედონია, ლიტვა, მოლდავეთი, ჩრდილო ირლანდია, უელსი, იუგოსლავია, ესტონეთი, მალტა, ირლანდია, სომხეთი, ლუქსემბურგი, ფარერები, ალბანეთი, აზერბაჯანი, ბოსნია.

მეორე რაუნდში პირველ ეტაპზე გამარჯვებულ 20 გუნდს დაემატება 12 გუნდი – იტალიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, პორტუგალიიდან, ინგლისიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან; ავსტრიიდან, რუსეთიდან, ბელგიიდან და დანიიდან.

მესამე რაუნდში ბრძოლას გააგრძელებს 24 გუნდი – ამ ეტაპზე ტურნირში ჩაებმებიან თითო გუნდი იტალიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, პოლანდიიდან, პორტუგალიიდან, ინგლისიდან და თურქეთიდან.

წლევანდელი ინტერტოტოს თასზე პირველი ეტაპის წილისყრა 15 აპრილს გაიმართება ძლიერი გუნდების განთესვის პრინციპით.

## თუ გაგდებაა, გაგდება იყოს!

ალბათ, ასე გადაწყვიტა იტალიელმა მსაჯმა სტეფანო ბრასკომ, როცა „ინტერის" და „პარმას" სათასო მატჩზე მინდვრიდან ერთბაშად სამი ინტერელი – ბერგომი, კოლონიეზე და სანეტი გააძევა. თუ რა მოხდა ამის შემდეგ სტადიონზე, ადვილი მისახვედრია – სახელგანთქმულმა ჯორკაეფმა მსაჯისკენ საცემად გაიწია. პოლიციელებმა კი „მთავარი დამნაშავე" ძლივს გააპარეს (იხ. ფოტო).

ასეთი რამ იტალიური ფეხბურთის ისტორიაში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. 1949 წლის 24 აპრილს ერთმანეთს ხვდებოდნენ „იუვენტუსი" და „ბოლონია". მსაჯმა კარპანიმ მაშინაც ერთბაშად სამი ბოლონიელი გააძევა თამაშიდან – ტაიტი, მარკო და ტაკოტი. ანგარიში 2:1 იყო „ბოლონიის" სასარგებლოდ, როცა მათ კარში პენალტი დაინიშნა, რამაც ბოლონიელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა, აღშფოთება და აყალმაყალი გამოიწვია. მაშინ კარპანიმ საერთოდ შეწყვიტა თამაში და „იუვენტუსს" ტექნიკური გამარჯვება ჩაეთვალა – 2:0.

საერთოდ, ასეთი შემთხვევა სერია „A"-ს არსებობის 70 წლის მანძილზე მხოლოდ 6-ჯერ მოხდა.

როგორც ეტყობა, სტეფანო ბრასკი საერთოდ „გულუხვია" მოთამაშეების დასჯის საკითხში – შარშან სათასო მატჩზე „მილანი" – „ტორინოს" ამარცხებდა 3:0. ტურინელებს ნერვებმა უმტყუნეს და დაისაჯნენ კიდევაც – „დაუნდობელმა" მსაჯმა ერთმანეთზე მიყოლებით სამი მოთამაშე გაუძევა მინდვრიდან – არტისტიკო, კუდინო და ტრიკარიკო.

*სურათებზე: ჯორკაეფი მსაჯის საცემად მიიწევს; პოლიციელებმა იხსნეს სტეფანო ბრასკი.*






უძღვება

ანზორ ბასილაია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 52. პარასკევი, 26 თებერვალი, 1999 წელი.

### სახელმწიფო დამღას ამზადებდა

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის თანამშრომლებმა, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის მუშაკებთან ერთად, სადგურ „თბილისის" მეორე სართულზე მდებარე „ოქროს ბირჟაზე", ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღის დამზადებასა და გამოყენების წესების დარღვევის ფაქტზე ამხილეს თბილისში მცხოვრები ზურაბ აბრამიშვილი.

### თავს დაესხნენ უცხოელს

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში, გუმათპესის ქუჩა №16-ში მცხოვრები №55074 სამხედრო ნაწილის რიგითი ვაჟა ეცადაშვილი და თბილისში, წერონისის ქუჩა №200-ში მცხოვრები ლერი ბეგლარაშვილი. ისინი ცივი იარაღით შეიარაღებულები თავს დაესხნენ დროებით თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ლიბანის მოქალაქეს სარიმ მარავის. თავდამსხმელებმა გაიტაცეს უცხოელის კუთვნილი საბუთები და 8000 ლარი.

### „ლიალია ჩორნაია" და ნარკოტიკები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებით, ნარკოტიკების გასაღების ფაქტზე დააკავეს თბილისში, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მცხოვრები მამიხან შავშოვა, მეტსახელად „ლიალია ჩორნაია", რომელსაც 17 ჩეკად დაფასოებული „ოპიუმი" აღმოაჩნდა.

### ავარია თბილის-სენაკის გზაზე

თბილის-სენაკის საავტომობილო გზის 141-ე კილომეტრზე ავტომანქანა „ვაზ–21013", რომელსაც მართავდა თბილისში მცხოვრები ივანე ტეტაშვილი, შეეჯახა ქუთაისის №2657 კოლონის „იკარუსს".

სამწუხაროდ, ავტოავარიას მსხვერპლი მოჰყვა. ადგილზე გარდაიცვალა მანქანის მძღოლი, დაშავდა მისი მგზავრი – ზაზა ფირცხალავა.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.

კოლეგა

## ლალის მძივივით ასხმული ძვირფასი წლები



ლანჩხუთის რაიონში არის ერთი უმშვენიერესი სოფელი აცანა. სტუდენტობამდე იქ ნამყოფი არც ვიყავი. საქართველოში, აბა, რომელ სოფელს აკლია პეწი და ლაზათი, მაგრამ აცანა მაინც სხვა გამოდგა ჩვენთვის – მასპინძელმა შოთა ქინქლაძემ ორმაგად შეგვაყვარა ის. ჩვენი თანაკურსელის – მუდამ თავაზიანი, მომღიმარი, ჭკვიანი და მეოცნებე ლალი ქინქლაძის მამა მალე ვაღიარეთ ჩვენს უფროს მეგობრად... როცა შევიტყვეთ, რომ შოთა ქინქლაძე წლების მანძილზე აცანის საშუალო სკოლის დირექტორი და ათასობით მოზარდის ჭეშმარიტი გულის მესაიდუმლე იყო, არც გამკვირვებია, ლალი და მისი უმცროსი ძმა, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ლევან ქინქლაძე ზრდილობითა და ტაქტით, თანატოლებთან ურთიერთობის შესაშური ნიჭით ასე რატომ გამოირჩეოდნენ.

ჟურნალისტებს ხეტიალი, მოგზაურობა გვიყვარს, ამას სტუდენტობის ჟამს ედება სათავე. ხან სოხუმში ვიყავით, ხანაც – ბათუმში, ხან – თელავში, ხანაც – აცანასა და ვაკიჯვარში (ვაკიჯვარი ოზურგეთის რაიონშია და იქ ჩვენი მეორე თანაკურსელის, ლალის უპირველესი მეგობრის ნაზიბროლა აროშიძის ოჯახი გველოდა)... მაშინ საზღვარგარეთ წასვლა ერთობ ძნელი იყო, მაგრამ, შიგადაშიგ, ამასაც ვახერხებდით.

ჩამოვიდოდა შოთა ქინქლაძე თბილისში, სასწრაფოდ მოგვეიკითხავდა ჯგუფის ბიჭებს და საკუთარ პურ-მარილზე თვითონვე დაგვიდგებოდა თამადად. საოცარი ორატორი, საოცარი ერუდიტი – მზე და თაფლი ამოსდიოდა პირიდან. ჩვენც ვცდილობდით მისთვის მიგვებაძა და თავი არ შეგვერცხვინა...

ჯგუფში სულ თხუთმეტი ვიყავით. ჭეშმარიტი, უხინჯო სტუდენტური მეგობრობა გვქონდა. ღმერთის წყალობით, ეს თვისება დღემდე შევინარჩუნეთ. ლალიმ, როგორც თანატოლებში გამორჩეულმა, სახელოვანი ოჯახის და სანათესაოს პატრონმა, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე რესპუბლიკურ გაზეთში დაიწყო მუშაობა. მაშინ ეს თითქმის მიუღწეველი იყო, რადგანაც ამ გაზეთს უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა და შტატგარეშე „მარგალიტებიც" კი წლობით იდგნენ რიგში. თუმცაღა, არც არავის გაგვკვირვებია, რადგანაც იმ „მარგალიტებს" პრეტენზიებიც საკმაოდ ჰქონდათ, ლალის კი, თავიდანვე, წერილების განყოფილების რიგითობაც არ უთაკილია... მერე მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებაში გადავიდა და მთლიანად ჩაეფლო ჩვენი ეკონომიკის წამყვანი დარგების პრობლემებში. ბოლო ხანს, საბაზრო ეკონომიკის თემებზე წერაშიც დაოსტატდა. მოკლედ და გასაგებად წერს, არასოდეს აკრიტიკებს პირადულის წარმოჩენისთვის, გულმოდგინეობს გზასაცდენილსაც და გამარჯვებულსაც, სძულს გამალიზიანებელი დიდაქტიკა, მისი ჟურნალისტური კრედოა სიმართლე და უშუალობა, ასჯერ გაზომე – ერთხელ გასჭერი... ლალი ქინქლაძეს არაფერი აკვირვებს, უმძიმესი პირადი გაჭირვების მიუხედავად – ნაადრევად გარდაეცვალა სახელოვანი მამა, 33 წლის ძმა... წონასწორობა მაინც არ დაუკარგავს და სიკეთის თესვის „კურსიც" არ შეუცვლია. თავს ევლება დედას, მეუღლეს, ძმისწულს – „ბასტი-ბუბუს" პირველი თაობის ვარსკვლავს ნინო ქინქლაძეს. როგორც კი დროს იხელთებს, გურიაში გარბის, მამისა და ძმის საფლავებს ეფერება და ძირძველ, მამა-პაპისეულ ოჯახს უვლის.

გვეამაყება, რომ ლალი ქინქლაძე ჩვენი მეგობარი და თანამოაზრეა. მისი ცხოვრება ლალის მძივივით ასხმული ლამაზი წლებია.

გულწრფელად ვულოცავთ მას დაბადების დღეს. ასე მხნედ, ბოლომდე ღირსეულად ევლოს ამ „მუხთალ, მაგრამ მაინც ლამაზ" (ეს მისი სიტყვებია) წუთისოფელში.

**კოლეგების სახელით**
**სპარტაკ ქობულია.**

გამოფენა

## ფრთაბუმბულწერა

უცნაური სათაურია არა? გეთანხმებით! ასეთი სიტყვა არც ერთ ქართულ ლექსიკონში არ მოიპოვება. მაგრამ როცა ამ წერილს ჩაიკითხავთ, დარწმუნდებით, თუ რამ მიკარნახა იგი. თბილისში ბავშვთა ფონდის შენობის (ყოფილი სამხედრო დიდების მუზეუმის) ერთ დარბაზში ამას წინათ გაიხსნა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ელენე (ლია) ბარნაბიშვილის ნამუშევრების მორიგი გამოფენა. აქ გამოფენილ არც ერთ ნამუშევარს წვეთი საღებავიც კი არა აქვს მიკარებული. მხოლოდ და მხოლოდ ბუმბულთა ფერების შეხამებითაა ისინი შექმნილი. მნახველს აოცებს: რა ხელმა შეძლო მხატვრის ჩანაფიქრის, ნააზრევის ასე სუფთად, ასე ფაქიზად, ასე ზუსტად განხორციელება.



ბატონი ნოდარ ტაბიძე მხატვრის ნამუშევრებს ასე აფასებს: **„აქ მზე მძლავრობს, ამიტომაც გადიხარ დარბაზიდან ოდნავ მთვრალი და შებარბაცებული.**

**შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მხატვარი ნამუშევრებს არ ასათაურებს, ეს ალბათ მისი ფილოსოფიაა – მნახველის ოცნებისა და ლტოლვის შეუზღუდაობაა".**



ლია ბარნაბიშვილმა 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და მუშაობა დაიწყო თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მთავარი მხატვრის თანამდებობაზე. ამ პერიოდში იგი გატაცებული იყო აკვარელით მუშაობაში. 1967 წელს სამუშაოდ გადავიდა თბილისის სილიკატურ კომბინატში ასევე მთავარ მხატვრად. ამ პერიოდში მუშაობდა კერამიკაში. იყო თბილისის ბავშვთა № 1 სამხატვრო სკოლის პედაგოგი, სადაც სპეციალურ საგნებს ასწავლიდა.

ამ წლებს პირობითად „თავის ძიების" წლები შეიძლება ეწოდოს. ქმნიდა ნამუშევრებს და სისტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამასობაში მისი ნამუშევრები შეიძინა კულტურის სამინისტრომ, მხატვართა ფონდმა, სამხატვრო გალერეამ, ხელოვნების მუზეუმმა. იგი მხატვართა კავშირის წევრია 1968 წლიდან. პირველი პერსონალური გამოფენა კი მოეწყო 1994 წელს „ქარვასლაში", მეორე – იმავე წელს ბავშვთა პირველ სამხატვრო სკოლაში; მესამე – 1995 წლის ივნისში საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. მისი გამოფენები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა დამთვალიერებლებში, კარგ შეფასებას აძლევდა პრესა, ტელევიზია, რადიო.

ლია ბარნაბიშვილის შემოქმედების სფეროში შედის ზეთის, აკვარელის, კერამიკის, ქსოვილების ხელოვნება და ბოლოს მიაგნო ორიგინალურ ფერწერას, რომელსაც პირობითად შეიძლება „ფრთაბუმბულწერა" ეწოდოს.

აქ უკვე მხატვარმა „თავის თავი" იპოვნა.

ზოგი სპეციალისტის აზრით, ამ მასალისაგან (ბუმბულისაგან) შექმნილ ნამუშევრებს ერთგვარი ხელგარჯილობის იერი დაჰკრავს. ეს ერთი შეხედვით. ასეთ შთაბეჭდილებას ალბათ მასალის დაუმუშავებლად გამოყენება ბადებს. თუმცა, ისიც ხომ თავისებური დამუშავებაა, მასალაში საჭირო ფერებს რომ ეძებს, ამოკრეფს და ერთმანეთს უხამებს. ამგვარად, მხატვარმა იგივე მასალას წამყვანი მნიშვნელობა მიანიჭა თავისი ნიჭით და უნარით, შეუნარჩუნა თავისი ძირითადი თვისებები და ნამუშევრის შექმნის საშუალებად აქცია, დაუმორჩილა თავის ჩანაფიქრს, მაღალმხატვრულ ფერწერულ სურათებად აქცია, რასაც, ალბათ, საერთო არაფერი აქვს ხელგარჯილობასთან. ჩემი აზრით, „ფრთაბუმბულწერა" ახალი სიტყვაა მხატვრობაში – ბუნებისა და ადამიანის შესაძლებლობების ჰარმონიული შერწყმით შექმნილი პეიზაჟები, ჟანრული სცენები, სიუჟეტური კომპოზიციები მნახველის მოწონებას იმსახურებს. ამაზე მეტყველებს არაერთი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში:

**„ნახატებს თითქოს ბუნების სურნელება დასდევს. მათი ყურებისას მნახველიც უნებლიეთ იმ სამყაროში აღმოჩნდება და მისი ნაწილი ხდება. ერთი საათის განმავლობაში თითქოს მრავალჯერ მოიღრუბლა და მრავალჯერ ისევ განათდა ცა; გაკნაჭულმა გოგომ ბავშვობაში დამაბრუნა; კინტოსთან ერთად თითქოს ძველ თბილისს ვესტუმრე, გადახრილ ლერწმებთან ერთად თითქოს მეც მიბერავდა ნიავი; ესპანელი ქალის ცქერისას, თითქოს ვიგრძენი, როგორ ჟღერდა მუსიკა, თვალი მეც გავაყოლე მეოცნებე ქალის თვალებს"** (მაია ნინიძე).

**„ცხოვრებაში არის წუთები, როცა ადამიანს ავიწყდება ყოფითი პრობლემები, გამოფენაზე ასეთი წუთები განვიცადე. წუთები დიდ ხელოვნებასთან შეხვედრისა. თუმცა, ალბათ, ეს ხელოვნებაზეც დიდია. ეს სიცოცხლეა! ეს ბუნებაა, ანდა ორივე ერთად – ორგანულად შერწყმული"** (ეკა ჩიქოვანი).

ერთიც უნდა ითქვას: მგონი, ლია ბარნაბიშვილის გარდა ქართველი პროფესიონალი მხატვრებიდან არავის უცდია ფრთაბუმბულის მასალით შეექმნა სურათები.

წერილი ისევ ბატონ ნოდარ ტაბიძის სიტყვებით მინდა დავამთავრო: **„ქალბატონ ლიას ნამუშევრები ჩემში ცისარტყელას ხილვით გამოწვეულ აღტაცებას იწვევს, მხოლოდ ერთი შენიშვნით: არამც და არამც არ იქნება ისე მეყსეული, როგორც შიოდი ფერის გაელვება".**

ამ აზრს მეც სავსებით ვიზიარებ.

**ვალერიან ჩიკურიშვილი.**

გამოიცა

## წიგნი მომავლის წარსულზე – მომავლისათვის

**ახლახან გამოქვეყნდა ვახტანგ ქარუმიძისა და ემა დარგალის მონოგრაფია „არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება". წიგნის რედაქტორია პროფესორი მამია დარჩია, რეცენზენტები – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე და პროფესორი ლეონიდე ადეიშვილი.**

**მკითხველს ვთავაზობთ წიგნის რედაქტორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორის, საქართველოს პარლამენტის წევრის, პროფესორ მამია დარჩიას შესავალ წერილს.**

კეთილი, საშური და სასარგებლო საქმე გაკეთდა. მომზადდა და გამოიცა მონოგრაფია „არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება". ავტორები წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდნენ არასრულწლოვანთა პრობლემებზე. შედეგიც სახეზეა.

წიგნი ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოა ყველა იმათთვის, ვინც მუშაობს არასრულწლოვანებთან და არასრულწლოვანთა პრობლემებზე. მასში სიღრმისეული, მეცნიერულ-პედაგოგიური, თითქმის ამომწურავი პასუხი აქვს გაცემული არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადების, აღზრდის, განათლებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის თითქმის ყველა საკითხს, თემას, პრობლემას.

ავტორებმა ყურადღების ცენტრში დააყენეს არასრულწლოვანთა შორის მუშაობის სახელმწიფო პროგრამა, ყოვლისმომცველი, მიზანმიმართული და კომპლექსური დოკუმენტი, მისი შესრულების მდგომარეობა, სიძნელეები და პრობლემები, ახალი პროგრამის შემუშავების მთავარი მიმართულებანი და პირობები, მიზნები და ამოცანები.

მონოგრაფიის პირველი თავი ეძღვნება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის საქმიანობას არასრულწლოვანებთან მუშაობაში. მასში მკაფიოდ ჩანს, რომ შექმნის დღიდან (1966 წლის 20 იანვარი) საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღმოფხვრისა და ნარკომანიის მიმართ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ამ სოციალურად საშიში მოვლენის დაძლევისათვის.

წიგნში ყოველმხრივაა განხილული არასრულწლოვანთა კანონმდებლობის საკითხები: არასრულწლოვანთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები, სიახლეები არასრულწლოვანთა კანონმდებლობაში. მასში გამოთქმულია ავტორთა მოსაზრებები არასრულწლოვანთა ასაკობრივ თავისებურებებზე, ბავშვთა და მოზარდთა სამართლებრივ აღზრდაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონოგრაფიის ის მონაკვეთი, რომელიც განიხილავს არასრულწლოვანთა შესახებ საერთაშორისო აქტებსა და დოკუმენტებს: ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის აღსრულების შესახებ, ე. წ. „პეკინური წესები". წიგნში ამ დოკუმენტების ყველა ძირითადი დებულებაა გაანალიზებული და განხილული.

წიგნში წინა პლანზეა წამოწეული არასრულწლოვანთა თანამედროვე პრობლემები: არასრულწლოვანი და დანაშაული, არასრულწლოვანი და ნარკომანია, არასრულწლოვანთა მაწანწალობა, მათხოვრობა, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, თამბაქოს წევა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

ამ წიგნში მკითხველი მიიღებს საინტერესო და დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამები.

წიგნს თავიდან ბოლომდე წითელ ხაზად გასდევს აზრი იმის თაობაზე, რომ დადგა არასრულწლოვანთა პრობლემების გადაწყვეტის დრო და ჟამი.

მონოგრაფიაში ავტორებმა გამოიყენეს არასრულწლოვანთა პრობლემებზე არსებული დიდძალი ლიტერატურა, საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო აქტები და კონვენციები, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, წერილები, სხვა მასალები.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა ვახტანგ ქარუმიძემ თანაავტორად ახალგაზრდა სპეციალისტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სწავლული მდივანი ემა დარგალი აირჩია. ჩემი ღრმა რწმენით, სიბრძნისა და გამოცდილების შერწყმამ ახალგაზრდულ მისწრაფებასა და ენერგიასთან, სასურველი შედეგი გამოიღო. საინტერესო და ფრიად სასარგებლო წიგნი სახეზეა.

წიგნი განკუთვნილია არასრულწლოვანთა აღზრდის, განათლებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხების შესწავლით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

**მამია დარჩია,**
**საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი.**

გვარიშვილობა

## სიხარულიძეებო, ყველა ქვეყნისა...



ამ დღეს (13 თებერვალს) დილიდან საღამომდე თბილისში აღინიშნებოდა კრიალა ცა, ცხრათვალა მზე და... 17 გრადუსი სითბო.

შედარებით მაღალი ტემპერატურა აღინიშნა ანჩისხატის ტაძრის ეზოში, სადაც 13 საათიდან შეგროვდა თბილისელ სიხარულიძეთა შთამბეჭდავი წარმომადგენლობა, რომელთაგან, ჩემი დაკვირვებით, არაერთი ადასტურებდა გავრცელებულ აზრს, რომ ამ გვარიშვილთა სტატისტიკისათვის დამახასიათებელია ღია ფერის თვალები (ცისფერი, ჭროღა, ანუ გურულად „ჯღამარე" ან „ჯღამარი").

ყოველ შემთხვევაში, პროფესორ იური სიხარულიძის ოპერატიულად გავრცელებული ლაკონური ანოტაციის წყალობით, „აღმოჩნდა", რომ ეს გვარი შავშეთიდან (მაჭახელას ხეობა) XVI საუკუნეში ჩამოსახლებულა ზემო გურიას და აქედან ფეხი მოუკიდებია მთელ საქართველოში. ასე რომ, დღეს რამდენიმე ოჯახს, მაგალითად, „გურჯანელნი", კახელადაც კი თვლიან (მაგ. ჟურნალისტთა ფედერაციის თავკაც აკაკი სიხარულიძეს):

მეტიც, გვხვდება, თურმე, აფხაზი სიხარულიძეებიც!

ასე რომ, გვარიშვილური სტატისტიკისდა მიხედვით ეს საგვარეულო 5 000-ზე მეტი სულით 49-ე ადგილზე ყოფილა! (ყოველ შემთხვევაში იმ დღეს ანჩისხატში სანთლების მარაგი ორჯერ შეივსო).

გვარი „გვარად" მშვენიერად კი ჟღერს, თუმცა, კერძო საუბარში აღინიშნა, რომ ტრადიციული სახელები სიხარულა, საყვარელა, გინატრე, გულჩინა, ღვთისავარი და სხვა განდევნა მანჩომ, ნანჩომ, ჯიმიმ, იკამ და მრავალთა სხვათა ახალთა.

ტაძრის მგალობელთა გვერდიგვერდ, რა თქმა უნდა, გომარ სიხარულიძის მიერ გაწვრთნილ მომღერალ სიხარულიძეთა მცირე გუნდის გალობათა ფონზე (ყველაზე უმცროსი – 8 წლის ნიკოლოზ სიხარულიძე) ტაძრის წინამძღვარმა მამა რევაზმა წირვისას (ამ დღეს, ხორციელ მაბათის ქართული ეკლესია აღავლენს წირვას გარდაცვლილ ყოველთა მართლმადიდებელთა სულების მოსახსენებლად) ცალკე მოიხსენია სიხარულიძეთა ყველა წინაპარი – გვარის ეთნარქის სიხარულა სიხარულიძის ჩათვლით, რასაც მოჰყვა ამ გვარის დღეს მატარებელთა დალოცვა-კურთხევა.

ჩემი აზრით, ფრიად საინტერესოა, რომ ხაზი დალოცვებში გაესვა გათხოვილი სიხარულიძეების და „შეძენილი შვილების" (ობლების, და, საერთოდ, ქართველი ქალების) გადამწყვეტ (!) როლს გვართაშორისო მოყვრობის და ერთობის დამყარებით ერის სიმრთელისა და გამრავლება-აღორძინების საქმეში.

კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი: მორიგ შეკრებაზე ისევ ანჩისხატში (ხარება დღეს – 7 აპრილს), სიხარულიძეთა გარდა, განზრახულია სიხარულიშვილების, სიხარულოვების, გაიხარაშვილების, მახარობლიძეების, მახარაძეების, მახალდიანების, გამახარიების, ხარებავების, ხარებაშვილების... მოწვევა (მე რომ მკითხონ, ამ პლურალურ „აქციას" ქართული დემოკრატიის აღმავლობის ნიშნად ჩავთვლი).

ნიუანსი მეორე: სიხარულიძეთა ქალ-რძლები, თურმე, აპირებენ მიმართონ მეძუძურ ქართველ ქალებს – ჩვილები გამოკვებონ მხოლოდ დედის რძით! (მართალია, ამ ინიციატივით თავად სიხარულიძეთა საგვარეულომ ამ ათასწლეულში, მაგალითად, ჯაფარიძეების რიცხმრავლობას არა მგონია, მიაღწიოს, მაგრამ, თავად ქართველ ერს მორიგი თავსატეხი ის ექნება, – რით გამოკვებოს თვით დედები?!).

ყოველ შემთხვევაში, სიხარულიძეების ენერგია და ნიჭი რომ ვიცი, არც ის იქნება გასაკვირი, რომ ერთ დღეს სადმე „დიდ ადგილას" (მაგალითად, ჩოხატაურთან, „ნასუფსარზე") შემოკრბეს მთელი საქართველოს გვარიშვილობათა წარმომადგენლობა...

გაგიხარიათ, ჩვენ მტერ-მოყვარეთაც ახალი თავსატეხი რომ გაუჩნდება, – ვაითუ, ქართველები ერთიანობის გზას დაადგნენო!

ერთი კია, ხარებას ანჩისხატში აუცილებლად დავესწრები...

**ციცო ჯაფარიძე.**

**P. S. ამბავი მომიტანეს, – სიხარულიძეებმა გადაწყვიტეს „ანჩისხატობაც" – იქვე აღნიშნონ (ანჩისხატში).**

იმრავლოს!

ღიმილის დოზა



**ქუჩაში დგას 600-იანი „მერსი". შიგ ორი მუტრუკი ზის. მეზობლად მდებარე ღამის კლუბიდან გამორბის ვოვოჩკა, მიდის „მერსთან" და მუტრუკებს ეუბნება:**

**– გესმით, ბიჭებო, უნდა მიშველოთ. ცოტა ხნის შემდეგ გამოვალ ორ ნაშასთან ერთად და თქვენ უბრალოდ მომესალმეთ. ნაშებთან მინდა გავიმარიაჟო.**

**– ოკეი, ბრატ, გაგიკეთებთ.**

**გამოდის ვოვოჩკა და გამოჰყავს ორი ქალი. „მერსში" ჩაიწევა მინა და ორი მუტრუკი იქიდან ხელს უქნევს ვოვოჩკას:**
**– ამას ვის ვხედავთ, როგორა ხარ, ვოვან!**

**ვოვოჩკა კი: – წადით თქვე პ-სტებო!..**

ხსოვნა

### ავთანდილ გოცირიძე



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ფარმაცევტული დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფართო დიაპაზონის სპეციალისტი, ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი **ავთანდილ ვარლამის ძე გოცირიძე.**

ბატონმა ავთანდილმა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიის, ანალიზის, ტექნოლოგიის სფეროში ორმოცდაათამდე სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა, რომლებმაც ავტორს ფართო აღიარება და დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვეს. იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალ სამკურნალო პრეპარატთა და ქიმიური რეაქტივების ტექნოლოგიების დამუშავებაში, წარმატებით და მაღალი პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობდა მათ წარმოებაში დანერგვას. განსაკუთრებით დიდია ა. გოცირიძის წვლილი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზის პროექტირებასა, მშენებლობასა და აპარატურა-დანადგარებით აღჭურვაში. მას იცნობდნენ, როგორც დიდად განსწავლულ, მადალნიჭიერ ინჟინერ-ტექნოლოგს.

ბატონი ავთანდილი ქართველი კაცის ყველა ღირსეული თვისებით შემკული მოქალაქე იყო; შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი და კეთილგანწყობილი, სპეტაკი, პრინციპული, ერთგული მეგობარი და კოლეგა, შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

მეტად ძნელია ასეთი პიროვნების დაკარგვასთან შეგუება, სულის სიღრმემდეა შეძრული ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, სადაც მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა და ყველას გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ავთანდილ! მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი ქართული მიწა!

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება, ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი**

### ბორის აუშტროვი



საქართველოს დიზაინერთა კავშირი, დიზაინერთა ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ბორის ანტონის ძე აუშტროვი.**

იგი დიზაინერთა შემოქმედებით სტრუქტურათა დაარსების დღიდან იყო იმ პირთა შორის, რომელნიც ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ ამ მნიშვნელოვანი მიმართულების რესპუბლიკაში დაფუძნებასა და განვითარების საქმეში. ღრმად ერუდირებული, ახალგაზრდული შემართებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. გულისხმიერი ადამიანის, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის, გულთბილი მეგობრის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის კოლეგებსა და მეგობრებში.

**საქართველოს დიზაინერთა კავშირი, საქართველოს დიზაინერთა ფონდი.**

გახსენება

### შოთიკო კავსაძე



ამბობენ, როცა ადამიანი კვდება, ცაში ახალი ვარსკვლავი ჩნდებაო! მას შემდეგ, რაც ჩემი საყვარელი ძმა გარდაიცვალა, ყოველ ღამე ნაღვლიანად და მოუთმენლად შევცქერი ცას, დავეძებ ახალ ვარსკვლავს, რომელშიც ჩემი **შოთიკოს** სული ჩასახლდა. დღემდე ვერ მიპოვნია ჩემი ძმის ვარსკვლავი. ნუ შეყოვნდები, ვარსკვლავო, ცოდვა ვარ, დიდხანს ნუ მალოდინებ. სანამ არ გიპოვნი, მე შენი ძებნით არ დავიღლები. როცა გიპოვნი, ყოველ ღამეს ყველაფერს მოგიყვები. ვიცი, მუდამ დამარიგებ და გაჭირვებაში დამეხმარები!

**შენი 8 წლის დაიკო თამთა კავსაძე.**
**1999 წლის 14 თებერვალი.**



შვილი როსტომ ლორთქიფანიძე, რძალი ქეთევან ნუკრაძე, შვილიშვილები მინდია, ნათია ლორთქიფანიძეები, რძალი თამარ სანოძე, სიძე მირიან ასათიანი, დები თინათინ, მაყვალა ლორთქიფანიძეები, დისწულები თამუნა გენძეხაძე, თემურ, გია ლოლაძეები, მძახლები იური სალალოვი, ეთერ სანოძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ (კუჭუნია) სეხაპიონის ძე ლორთქიფანიძე

პანაშვიდი 26, 27 II, 5 სთ. ჩიტაძის №11 გამოსვენება – წმინდა სამების ეკლესიდან, 28 II, 2 სთ. (საჯარო ბიბლიოთეკის უკან).



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრა მწუხარებით იუწყება კათედრის თანამშრომლის

მაია კაკაჩიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი

რუზანა გიორგაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცენტრალური სამხედრო საექიმო კომისიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამმართველოს უფროსს, გვარდიის პოლკოვნიკ რევაზ ჯიჯიეშვილს დედის

რაისა იაკობის ასულ ჯიჯიეშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.